

Handwritten notes at the top of the page:
საქართველოს
ქრონიკა
1883
საქართველოს
ქრონიკა

ივერია

1883

№ III, მარტი.

თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1883

ზინაარსი.

I	ქანშაუბეი, ზოკმა ჩერქეზების ცხოვრებიდამ კ. ვ. დადიანისა	3
II	შრომა ევროპიელთ მსწავლულთა, განსაკუთრებით ბროსსესი, ქართულის საისტორიო წყაროების გამოკვლევაში დ. ბაქრაძისა	38
III	ზაზაფხულდა (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა.	52
IV	წერილები ღორენცო ბენონისა (შემდეგი) თაზუმანის ელ. მამულაშვილისა.	53
V	გაზაფხულის ქუხილი (ლექსი ტიუტუნკვიდან) თ. რაფ. ერისთვისა	85
VI	შენიშვნები ისტორიასა და არხეოლოგიაზედ: რ. ძამსაშვილის «შემოკლებული ისტორია» და მდ. იოანე გვარამაძის «ქართლის-ცხოვრება» გრ. ყ—ძისა	86
VII	უკულმართი ნაბიჯი ი. გოგებაშვილისა.	103
VIII	პოლიტიკის მიმოხილვა: ეგვიპტელები დამარცხების შემდეგ.— ინგლისელთა გაჭირება შინ და გარეთ.— დინამიტები— მოკავშირე ირლანდიელთა.— არეულობა საფრანგეთში.— მართლა მონარხიელების ბრალია, თუ რესპუბლიკელებისა?— არეულობა ესპანიაში.— ეროვნული მოძრაობა ავსტრიის ნემეცებსაც დაეცყოთ.	128
IX	ნიკროლოგი, თ. გრიგოლ დიმიტრისძე ორბელიანი	138
X	«ივერიის» ფოსტა (ყდაზედი).	

კავკასიის საზღვარი 1/883 წ.

ივერია

საპოლიტიკო და სალიბერალურ
ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე

№ III

6022



თბილისი
 ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
 1883



Доволено цензурою. Тифлисъ, 11 Марта 1883 г.

შ ა ნ შ ა შ ბ ე ი

(პოემა ჩეჩქეზების ცხოვრებიდან)

ვუძღვნი თ. გიორ. შიხ. შარვაშიძეს.

ყუბართოს თეძი ორ სამმართველოდ
 ადრინდელიდანვე განყოფილია;
 მდინარნი ორნი, მათ განსაზღვრულად,
 კავკასის მთებით მოხადენია.
 მათგანსა ერთსა უხმობენ თერგად,
 მიდის და მიჭუსს კასპიის ზღვამდე,
 მისი ღრიალი და ღელვა მდგომად
 არ დამშვიდდების უკუნისამდე.
სად კაზრუს, მეფე კავკასის მთების
ცის გასარღვევლად ამაღლებული
 შენობას ნგრეულს წაწრულთ ცხოვრების
 ზე-გადმოჭყურებს განუძებული,—
 დღეს აოხრებულს, იმ მცირე სოფელს
 სახელად ელჯრეთ ეწოდებოდა,
 წინა-პარობით, მუნ ხალხთა მიფლობელს,
 უოკელი ერთ-ხმად ემონებოდა

მათ ზატრონობდა უანშაუბეი,
 თავადი, გვარად უირიმ-შამსალი,
 ესლა გამჭრალა მაცთურის ზრასკვით
 ჩერქეზთა მნათი მისი ლამზარი.
 მამინ საკვირველს მისსა მხნეობას
 მტერი მოსასლგრეტ კი ადიდებდა,
 ჩერქეზის თემთ მის შირველობას
 თავ-მოწონებით აღიარებდა.
 ამასთან იყო შირად ტანათა
 მოსდენილი და სანდომიანი,
 შორის თვის სწორთა და მეგობართა
 ჭკუით გამჭრელი, ენა-წყლიანი.
 მასთან გავშირი მეგობრობისა
 ურღვეველ ქონდა მტკიცე მამაძედას,
 გულით სანდოსა, მხნესა და სრდილსა,
 მას უმართლებდა ჭიშკი სრულს იმედს,
 კიდის-კიდემდე რითავ სსული
 იყო განთქმული და აქებდიან,
 ზნეობით წრთვნილთა ყოვლი მნახველთ
 მსახურებდიან და მონებდიან.

II

მამინ უბართო რისსა საგანსაჲ
 ვითარცა სჭულსა, იჭერდა მტკიცედ
 და ვინც იცავდა რითავ მათგანსა
 ის იჭებოდა ღირს მამულის ძედ

ჰირველი იყო სიჭკელე, სიმსნე,
 მეორე სტუმართ მოყვარობა,
 ეს ორი იყო სანატრელი ზნე,
 ეგ იყო მათი სასელაგნება.
 და ის ჩერქეზი, რომელიც ამ რაის,
 ვით გი შესძლებდა, არ ასრულებდა,
 თვის მოძმეთაგან განსებული შორის,
 მოძაგებული შეიქმნებოდა.
 ყანშაუბეი და მაჭაძედი
 იცავდენ ამ სჯულთ უმეტეს სსვათა
 და ჩერქეზეთის წესის მიმხედი
 ჭბამვიდა ყოველთ საქმეთა მათთა.
 მაგრამ შამსალი მხნობით სხვებზედ
 სრულიად იყო განსხვავებული,
 მით, რომ, სადაც ვი უბართოს ველზედ
 ჩერქეზი ბრძოდა, გამწარებული,
 იგი ყოველგან გმირულის ძელავით
 მტერს აყენებდა უვიწყარს ვნებას
 და უძწარებდა სიცოცხლეს ამით,
 სასელსა სძენდა სასელაგნებას.
 ამ მხნობითა, თავისუფლებით,
 არ აკლდა იგი ტკბილსა ცხოვრებას;
 მაგრამ მოუწყლავს ისიც მესთლობით
 ბედის ბორბლებზედ მბრუნავს დროებას.
 ამის ქვემოთ უამბობს მკითხველს
 სუსტისა გაღმის ჩემისა რხევა,
 თუ ვითარ მას გმირს, სიამის ჩვეულს,
 სიმესთლე ბედის წამოეწევა.

III

მაჭმადის ცოლი იყო ფატმანი,
 ყაფლანთ *) ასული, მაჭმადიანი,
 შვენივით ტურფა, ტანად ნარნარი,
 კეკლეუცი, ზდილი, სსიგ-მადლიანი.
 მისის შესვლით მისსა მნახველებს
 ტრფობის ისარი სშირად სობია,
 და იმ წყეულის ნაგმირსა ღასკრებს,
 გული საკვდავად უძონებია.
 მომხიბლველისა თვისისა სახის
 ესოდენ იყო დაწმუნებული,
 რომ სწამდა გული ყოვლის ჭახუგის
 ტყვედ ექმნებოდა დამონებული.
 იმა იმედით გატაცებულსა
 ჭალს შეუარდა შამსალზედ გული
 — ვით არ ინდომებს ჩემს სიყვარულსა
 ჭფიჭრობდა იგი განლაღებული.
 ამ ფიჭრმა ფატმანს გააბედინა
 სიყვარულისა გამოცხადება,
 გრძნობით დამწვარმა გააგებინა
 თვისი ტანჯვა და თვის ცეტსლთა დება.

*) ყაფლანი — ჩერქეზეთის თავადი შვილითაგანია, რომელნიც დღე-
 საც სახლობენ სოფელს ბზადოლში,

IV

ერთს ზაფხულის დღეს, ადრით ჩვეულებრივ
 შამხალ და მანჭმედ ერთად მგზავრობას,
 შექცეოდნენ დარღუბა შიშლინი.
 მტერთან ურაცხვის ომების ამბავს.
 ღ ფიქრთა მკვლეულთა, რა ტკბილსა საგნებს
 თვის თვალთა წინა მიმოხაზვიდნენ,
 ჭმუნვას უამუხს, სეკდებსა მავნებს,
 ძალა განლეულთ, განიფანტვიდნენ.
 მგზავრნი აწ მშვიდის კმაყოფილებით,
 მიუხალოვდნენ ბახსანის*) მდინარს,
 თვალთ ადევნებდნენ სიამოვნებით
 მდენელსა მჩქეფრად, კამკამსა მტინარს.
 ჭყურობდნენ ჩქრიალს ჭებეიდან ჭებეზედ
 და მარგარიტებრ წვეთების ფრჭკევას,
 ბუჩქად ყვავილთა მის კიდებზედ
 გრძობდნენ საამოს მის სუნის ფშვეკას.
 და უცხოდ, მუნვე სტკენა ბუღბუღის,
 განმფანტვი სმების, შორს ნაპირებზედ,
 მიმტაცებელი მგრძობულის გულის,
 შეზაკებული უცნაურს სმებზედ, —
 ყურს რა უტვობდნენ მოგზაურს გმირებს
 კმატებოდათ კმაყოფილება,
 ვლიდნენ სიამით, წყლისა ნაპირებს.

*) ბახსანი არის მდინარის სახელი.

თან სდეკდათ ლხენა, კმაყოფილება.
 მაგრამ რაღა გინდა სიამოვნება
 უსრულდებოდეს ჩვენსა გონებას,
 მაინც თან გეასლავს სითმე რამ მწუენა,
 ორივე ერთად ჭფელობს ჩვენსა ცხოვრებას.
 არ ვიცით, შამსალს რამ მოაგონებ, ჩვენ
 მასშინ ფატმანის გამიჯნურება, მას იმის
 რომელსაც თავი მან არ ამონა, იგი
 სწყინდა და სძაგდა ეს მოგონება.
 ჭფიქრობდა: «სღუკა ანუ ჭაჭი
 შოგთა დიატთა გულისა ჩება,
 მას ვერ მიმსუდარა თვით გონიერი,
 რას ითხოვს, რა ჭურს, რა ეჭირვება?
 დღეს ის იცინის, ცისკრებრივ დარის,
 და ითბობს გულსა სიყვარულისას,
 სვალ იგი, მსგავსად სამსრეთის ქარის,
 გვიღრუბლებს გრძობას სისარულისას
 შოგვერ შენზეა სრულ-კმაყოფილი,
 უხარის, მოსწონს შენი ნაკეთობა,
 თავს გეკლის, ვითა ვასდილს გამხდელად,
 სურს გაუყრელად შენთან ერთობა.
 შოგვერ რომ არღაღ შეუტნებულად,
 დაიწუებს რეუვას, იღულავს სღვისებრ
 იწუებს საზღვრიდან გარს სადინებლად
 და ტალღას გასტემს გულისა მისებრ.
 ეკრეა ფატმან, მაჭმედის ცოლი,
 რომლისა ქცევა გამკვირებია...
 მაჭმედ ჭახუვი, იგი პირ-პროლი,

მას სიმხნით ურთი ვერ სჯობნება. იგი
 იგი მძა არის ჩემი უძმესი, მე ცოლი მისი დად მიმითვლია,
 რამც იყოს ჩემსედ უსაძაგლესი, თუ
 თუ ძმის ღალატი გულის გამივლია.
 უირიმ-შამხალი ამ ღრმა თეჩრებმა,
 შორს გაიტაცეს არს დაღონებით,
 თაკ-დახრილია, არ ელსინება,
 მაჭმედ უნტურის მას დაკვირვებით,

ვით მთასა მალალს ძირიდმდე თსემად
 დასხვევს ნისლსა დღე ღრუბლიანი,
 და თანვე გრგვინვა წვიმის მწვეველად
 ჭერის უჩვად ელვებს, საშიშ-ხმიანა,
 მაგრამე რა მზე დასცემს თავის სსივს,
 განთანტავს ღრუბელთ, განსწმედს ჭაქრსა,
 კვლავვე გაგვიბობს არესა მას ცივს,
 რა გაგვიღიძებს ჩვენ მიწიერსა, —
 მსგავსვე ამისა, ჩვენ მეგობარი
 ჭირს განგვიქარებს საამო ქცევით,
 მაჭმედიც ცდილობს შამხალს გულის ჯავრად
 გადაუყაროს წყლიანის ენით.

ელიძვის, ეტევის: «რა გაგჩენია
 ღრმა მოსაწყენი, გასასუმარი,
 დღეს ომში ძლევა რადგან ჩვენია,

სხვა რა გაქვს სულის მოსაწყინარი.
 დაესვენ მაგას, ნუ მაწყენინე,
 ჩვეულებრ ღხენით აღივსე გული,
 იღსინე, მეცა მომაღსენინე,
 მასმე ამით შენი ერთგული.
 ყანშაუბეი მეგობრის სიტყვებს,
 თუძცა ისმენდა განუმეუბელი,
 მაგრამ მით წყენას, უამურს ფიქრებს
 ვერ იჭარებდა, — შეწუხებული.
 ბოლოს, მეგობრის კითხვათა ძალამ
 აუძრა გული მას სანასუსოდ
 და თუძც ტუეილი მას სძაგდა, მაგრამ
 მიზრად ჭმუნვის ეს სთქვა მან უცხოდ.
 უთხრა: «ყაბართოს ვეშაპის-პირი*)
 შემოხვევია, მისად შთამთქმელად,
 ამისთვის ეგელა მამულის-შვილი
 იბრძვით, თავს სწირავთ მის დასაცველად.
 თქვენში მეცა ვარ შვილი მამულის,
 ყოველ-წამ მსხვერპლად გამზადებული,
 სშირად გინასავს მკერდი ერთგულის,
 ტუვიით გამწვარი, დაღურჯებული,
 და იმ მკერდიდან მოხადენს სისსლსა
 ბევრჯელ უღებავს ყაბართოს კელი,

*) ვეშაპის-პირს ეძახოდენ იმ დროში ერთს თათრის ფაშას.
 რომელიც თათრის მმართველობის განკარგულებით ეომებოდა ჩერქე-
 ზებს. იმ ფაშას ეწოდებოდა ბათთალ საღაც იმის ნაბანაკარს ადგილს
 ეწოდებენ დღეს ბათალ-პაშინსკად.

მკრამ მით მახვილს მტრისას მომწყეულესა
 არ ვმონებივარ მოსისხლე მტერი.
 და იმა დღიდან მრავალის ბრძოლის
 გენჯეთაი *) მეავს თანამშრომელად,
 ჩემის მამულის გაჭირვების დღის,
 ტანჯვისა მწარის განმქარებულად.
 ამისთვის ნუ მგობობ, თუ მომწყენია,
 ჭხედავ? საბრალოს, ვით დამიღონდა!
 შენც კარგად იცი, ეს რა ცხენია
 და რა იმედიც მე მასკედ მქონდა!»
 თან მის ცხენს ერთგულს, დღედმდე დაუღლეეს,
 ზედან დამღერის ნაღვლიან სმებით,
 ხან უაღერსებს ძალ-შესუსტებულს,
 ფაფარს უსწორებს მძლავრის თითებით.
 ხან იქ სად წყარო, ზემოთ ბახსანის
 ზეგარდმო კლდიდან კლდეზედ ეშვება,
 და იფანტება სასკედ აღმასის,
 გადადის, ბახსანს შეუერთდება;
 მიერით მიდის, აშვენებს კელსა,
 მიმოიხრება და მიჩქრიალებს,
 ზოგან იტბორებს, გვიქმს საბანელსა,
 თითქო დაღლილა და შეისვენებს, —
 მუნ ყანშაუბეი, გენჯათას დაღლილს
 მკერდამდის წყალსა შეაზობინებს,
 იქ ცოტას ხნობით აჩერებს რა-ის,
 ცივს წყალს ავუერებს, სულს ადგმევინებს.

*) გენჯეთა არის ცხენის სახელი.

შეძლებ ჰატრონი საყვარელს ცხენსა
 უნაგიონსა ჭხდის და ზურგსა უზელს,
 მას საბრალისა, სისურტის მჩენსა,
 უზილავს ყურებს, თვალეში ჩასტკერს.
 ეტყვის: «გენჯეთა, შენ, ამსანაგო!
 მახუნად გხედავ, ხუ თუ მიკვდებ?»
 შეძლებ ჰასუსი მტერს რითღა ვაგო,
 მე უშენოთა მას ვით შევსწვდები.»
 ცხენი რომ შამხალს გაუსდა ავად,
 მაჭმედმა თვითვე ნასა, იცოდა,
 ამით, ეგონა, ამბობდა მართალს,
 მაგრამ შამხალი სულით სხვას ბრძოდს.
 მაგრამა მინც ჰმ მოხერხებით
 მაჭმედის გული სრულად აჯერა:
 იუოსმცა ვითომც მით დაღონებით,
 ჯითომც მას სწუხდა, ეს მოიფერა.

VI

ხანმა გამოელო, გენჯეთა ღაღვას
 არ ზმინეკს, ღონე გვლავ უბრუნდება;
 გრძნობს რა ჩვეულებრ თაგისსა ძალას,
 უსარის, ფრთხვინავს და ხალისდება.
 და ყოჩნის ფერსა, აბრეშუმეულს
 ფაფაშს შეიწხვეს, შეათამაშებს;
 ამით მის ჰატრონს, წყენა-შერეულს,
 ასიაძონებს, გახალისებს.

ესრედ ცხენისა მოჯობინებაჲ
 ჩვენის მსედრისა შესწევითა წყენა,
 და მძიმე თვიქრძა, უამურობამ,
 სიამოვნებას დაუთმო ბინა.

VII

ამ დროს მოესმათ ხმა ზახილისა,
 მათ მიისედას, ნასეს მსედარი,
 მოჭქრის სისწრაფით შავარდენისა,
 თქმად რამე ამბის, ამაღ მდეკარი.
 მათ შეიტადეს, მდეკარი მოსწვდა,
 სთქვა: «დღეს დაგვესხენ ჩვენ მოსაზღვრენი,
 და რაც კი ჯოგი მათ წინა შესვდა,
 ერთბაშე წარგეტაცეს—ცხვარი და ცხენი;
 გინც გავიგენით, დაგვიწიებით,
 მაგრამ ცოტაი, ვერ-მომრეველი,
 მათ წინა-რახში დავსტოვე წყენით
 და აწ გიახელთ, ამბის მცნეველი.
 მუნ ყანშუბერი და მანჭამედი
 სხვათა ორასთა ჭზღვენ მეომართ,
 გამბედაობა, ხმალი და ბედი
 მათ თანა ასლავთ, ომისა მდომართ
 დასცეს კიჟინა მისაწევარი,
 მისცეს სადავე მათ მართა ცხენთა,
 ველს აადინეს მტვერი და ჭარი,
 და დაემართნენ პირის-პირ მტერთა:

გაცხარდა ომი, სჭექს მუნ თოფები,
 კვამლმა დაფარა ორივე მხარე,
 მათ შორის ელავს ჩერქეზთა ხმლები,
 ვინ იცის, რამდენს ელის სამარე.
 ხმალ-ამოწვდილმან დასცა კიუინა,
 ჩერქეზი მოჭქრის გამწარებული,
 მუნ ეგებება მტერი მას წინა,
 ორივე რჩება მხარ-ხასეული.
 ზოგი ცხენიდან იჭრება მსწრაფლად,
 ზოგნი მოაჭვან ერთი მუნ ორთა,
 ზოგი საწყლად სწევს, სისხლი სდის მჩქეფრად,
 არის სიმრავლე დაჭრბლთა, მკვდართა.
 ასე გაგძელდა ომი ფიცხელი
 დიდიდგან ვიდრე მზისა დასვლამდე,
 იყო მუნ ცუმა, სულ ხელ-და-ხელი,
 დაეცა კაცი, თვლით სამასამდე.
 და ბოლოს ვინმე ერთმა ჩერქეზმა,
 სად ჯოგი მტერსა შემოემწეგდია,
 ვითარცა კეფხმან, ფიცხელმა მღეზმა
 იშიშულა ხმალი, იჭ შეუტია.
 მან ორი წილი მიტაცებულის,
 გამოიტაცა ჯოგი მტრისაგან,
 ეს იყო საქმე თავ-განწირულის,
 ნახეს ნაქმარად უანშუბუისგან,
 გათავდა ომი და გაიყარნენ,
 მტერნი მიეშვნენ თავისსა გზაზე,
 ჩერქეზნი შინად გამოემართნენ,
 წამოიძღერეს ტკბილსა სამ ხმაზე.

კარი მეორე.

ელჯრეთის ძირას სდეკს მწვანე კელნი
 ჯ მუნ სდის ზვირთნი მჩქეთრის ბაღსანის.
 კლდენი ფიალნი, ბუნებით თლილნი,
 ეზო მდიდარი დიდის შამხალის
 და კლდესა ზედა ციხე-ღარბაზი,
 დაშენებული მტკიცედ ნაკები,
 და ოთხიკ კუთხიკ კოშკი ლამაზი,
 შეშოზღუდულნი გარს გაღაგნები—
 გარდმოყურებენ გაშლილსა მხარეს,
 შორს განთენილსა, კრცელსა, მშვენიერს,
 კელსა, სამოვარს, სოფელს, მდინარეს,
 თვალის მიმტაცსა ბუნებას ძლიერს.
 ვითა ვარსკვლავი საცისკრო სხივსა
 აღმოსავლეთით გამოგვიჩინებს,
 გარშემო ნათლის ლახვრების მწვრივსა
 სტეორცნის და ბინდსა იგი განაზნებს,—
 ეგრედ მასშინა მყოფი მნათობი
 გოშიად, ცოლი გმიჩის შამხალის,
 არს ჰატრონისა ჭირისა მქრობი,
 ნათლად გულისა და ბინად სულის.
 მუნ სასასლისა გარემო ნაძვნი
 მწვანის შტოებით განშვენებულან
 და მათნი წვეტნი, ამჟად მხედნი,
 ვიდრე კლდის პირად ამღვლებულან.
 იქ მზე თვისისა აღმობრწყინებით.

ელბრუხს სსიკებს სძღვნის, ესალამება,
 იქვე არწივი სიამოვნებით
 ფრინავს, თავის ჩრდილს ეთამაშება,
 აქ ფრინავს ჭაღის ხადირნი ხშირნი,
 მიღამო ფრთხილად გამოსჩნდებიან,
 მონადირენი, მათიუდას წვრთნილნი,
 ქედისა ქედზედ ეპარებიან.
 აჭამდის მოსულთ მათ, ნაოძართა,
 რაც კმუნვა ქონდათ ომში მკვლართათვის,
 აქ სანასკუთა ლამაზ-ტურთათა
 შუებდა შესტკაფეს გრძობათა მათთვის.

ამ დროს იხილეს ქალი მზახელი,
 უცნობი, კილაც უცხო-შუენება
 მომხიბლვის სასიით, ტანით ხათვლი,
 რომლისა მზგავსი არ ინასება,
 მკერდამდის იყო წყალში ჩამდგარი,
 სად თავის სახეს უღიმდებოდა,
 და ბროლ-თითებით ნაშხუბი ცვარი
 მას სპეტაკსა ტანზედ ეპყურებოდა.
 ქალმან დამკრთალმან უამურ წამით,
 მუისკე მოიხსნა ნაწნავნი თმისა,
 რომელნიც თავზედ ეხვივნენ დაშლით
 და მით დადრებულა მან ტანი მზისა,
 ამის დანახვით მაჭამედს გული

მსწრაფლად გაუერთა და აუძგერდა,
 და ვით უეტრად მოჯადოსნული,
 ვერ შორდებოდა, დიდხანს უცქერდა,
 ელჯრეთის თაკადს, განუძებულსა,
 მალვით ღიმილი შეეტყობოდა,
 ვით შეუგნებულს, განკვირებულსა.
 მაჭამედს არას ეუბნებოდა.
 მაჭამედ ჭიფიჭრობს—რა სთქვას არ იცის,
 შერაცხოს მაცთურთ რამ ხელკანებად?
 თუ რართვან ერთი მნათობი ზეცის
 ელჯრეთს სწვევია მათ სადიდებლად?
 ჭკითხავს შამხალსა განკვირებული:
 «ნუ თუ ეს არის ადამის-შვილი,
 თუ სატანისგან მოკლინებული,
 ჩვენდა მოსაფრხედ, შემოჩენილი?
 შამხალი ეტყვის: «ქალია ვინმე,
 ტყვე, ნაპოვარი, გასასუიდელი,
 ზრდილი, ჭკვიანი, გავიცან ვითმე,
 შენად საცოლედ არის საფერი.
 გნებავს იყიდო? მე გიდალალებ,
 ჰატრონს ცხვრები სურს, მეტად ოქროსა,
 მე ვიცი შენი, რომ არ თვალე,
 იყიდე ეს სჯობს ყველა სასძლოსა.
 ვერ გეტყვიოთ მაჭამედს იამა რაზომ,
 როცა შეჭვირდა სუიდეას ასულის,
 მით ყანშუბეი დალალი ვითომ
 თვასს კეითხება, წესად გაჭრულს,
 მაჭამედი ეტყვის: «ფთხასი ცხვარი

ფასად რომ მივსტე, ჩავსთვლი ნაზოვნად,
და თუ ამხედ გითხრას უარი,
მივსტემ ნახევარს, რაც მუავს მამოვრად.»

მას ერთი ქმენი, ეტყვის შამხალი:

«ვიცი გწადიან შენ ჩემი ცხენი,
ჩემი მარჯვენა, სიმხნე და ძალი,—
ამ ქალს გაჩუქებ, ცხენს დამეხსენი.
გარდიჭრა იგი მსწრაფლ მისის ცხენით
და თაყვანი-სცა, ნიშნად მადლობის,
უთხრა: «რას ესდენ წყალობა ჭქმენით,
ცხენი თქვენ გახლდესთ, მე ეს მეყოფის.»
მამინ შამხალმან უთხრა ღიმილით:

«მაჭმედ, ამასა, მიკვირს, რას ამბობ!
გსურის, რომ მოკვდე მე ჩემის ხელით,
და დრო მინახე, განა მლაღატობ?»
მაჭმედ ეტყვის: «ჩისთვის დამცინი,
რას გილაღატე, რას მეუბნები.

შენს ცხენს ის მზე სჯობს, ამაღ იცინი?
მგონი შემცდარი მე არ ვიქმნები.»

კვლავ ყანშუბი უფრო იცინის,
და მაჭამედი ამხედ ჭსჯავრობს,
არ იცის რა ქნას, იჭირვის, რცხუგნის,
შეჩერება, კერარას ამბობს.

«არა, მაჭამედ, ამას ვერ გიგმობ,
ბნელსა ნათელი შენ რომ გერჩიოს,
ცოლს ვერ მოგყიდი, ასე ვერ გიძმობ,
რაც უბედობა წამომეწიოს.»

მაჭამედ ეტყვის: «შემოგლეკია,

შამხალა, რამე დრო სათრეველი,
 ან ღვინო სადმე დაგილევია,
 მაჭმადიანის ასარეველი,
 თორემ ვით ჭკადრე ელჯრუთის მზესა,
 ვინ ძმად მე მიძმო სულით და ქტევით,
 თქვენთა ლაღობათ გარდამატესა
 ჩერქესთ ზრდილობას საქმით და თქმევით.
 მაშინ არს კარგი ლაღობა, ენა,
 ოდეს არ იტყვის უადგილოსა,
 ლხინი, სამხნე და ყოვლი შეძენა,
 ითხოვს თითოი მისსა კილოსა.
 შენ ხარ მიზეზი, შენ მათქმევი,
 შენ განმიღვიძე უმზგავსო ნება,
 ჩემის გულიდამ გამაძებინე
 და შენი ისევ შენადვე გრჩება.
 გინდოდა, გეთქვა რამ სათრეველი,
 ცოლისგან მეტი ვერ მოიგონე?
 საყვარელს მიჭყავ სალაუბოდ ხელი,
 მწეინს და გემდური, ვერ მოგიწონე.
 შემდეგ მეგობრულ გამოჯავრების,
 ჩემად გარდავლეს ბახსანის ველი,
 და კვლავ ჩვეულებრ განწყობილების,
 ერთმანერთს მისცეს მათ ხელსა ხელი.

კარი მესამე.

მაჭამედისა სასახლეს ვრცელსა,
 ხალხთაგან ქებულს უხსოვარის დღით,

ჯარი ჩერქეზთ თემთ უშვენებს კელსა,
 შემოკრებული კიდემდე კიდით.
 ვერ იტყვს ეზო და დას-დასებად
 ისმის მათის ხმის ღიღინი ნელი
 მუნვე წინა-პართ მოსაგონებლად
 დამღერის ტებილად მეჩანგე ძველი.
 რომლის გარემო ომში გოდელნი
 ისხდენ რა ჩრდილ-ქვეშ მოსასვენებლად,
 ყურსა იტებობდენ სისხლით წითობილნი
 მწარის ჭრილობის განსაქარებლად.
 მუნ დერვიშები *) აწახუეს ლოცვებს
 მაჰმადსა სძღვნიან მხურვალის გულით,
 ცხედართა ზედა მოკლულთა გვამებს
 უკითხვენ ყორანს **) მათისვე სჯულით.
 მეორე მხარეს ბებენი მზრდელი
 ტყვიით გამწვასა გაზრდილსა სტირის;
 მწუხარის გულით ცრემლების მღვრელი,
 მარჯვენას ***) იკეთს სახსოვრად გმირ-
 აი სურათი იმ უვიწყარ დღის,
 ოდეს ჩერქეზნი მამაცად ბრძოდენ,
 ოდეს მაჰმადის და ყანშუბების
 მებრძოლნი მტერნი შიშითა სთრთოდენ.

*) დერვიში ჰქვიან თათრის სასულიერო პირს.

**) ყორანი არის თათრის სჯელის წიგნი.

***) ჩერქეზეთში იყო ჩვეულებად მიღებული, რომ ვინაც გაზრდი-
 ლი მოუკვდებოდა და განსაყუთრებით თუ ომში მოჰკლავდენ, გაზრდე-
 ლი ან ხელს ან ყურს მოიჭრიდა.

I

დღეს კი ნადიმად ზის მაჭმედ ქველი,
 მასწინძლობს, სტუმრებს ემსახურება
 და ჯარით სსსხდომად მან სეფა ვრცელი
 მოჭკანმა; ისმის ლხინი და შებება.
 გუშინდელს რმში თუმც მცირედ ივნო,
 მტრისა ტყვიან მას გასწვა მკლავი,
 მაგრამ მან მტერი მუისკე გამოსცნო
 და იმავ მკლავით მოჭკკეთა თავი
 აქ სხვა გმირებიც გაშარჯებულნი
 ლხინობენ, ამოდ შეექცევიან,
 მებრძოლთა მოსურით დამშვიდებულნი
 რმისკე ამბებს ხელად სხივიან.
 აქავ ფატმანი, მასწინძლის ცოლი,
 შამხალსა ტვბილად ესაუბრება,
 შვენების ღმერთა, კენუსის ტოლი,
 მოსახიბვლელად კვლავაც მზადდება.
 და აი ისეკ აღუჯკებული
 უანშაუბეის გრძნობებს უცხადებს
 და სიგიჟედმდე შეეყარებული
 ტრფობის ზადეს ქქსოვს, მასკე უმზადებს.
 მაგრამ შამხალის ჰატოოსნებას
 ვით შეარეკდენ ფუჭი ზრახვები,
 ამად ფატმანის დაუნდობლობას
 ჭკომობდა მამაცი განაჯავრები.

II

თვალი გვაქვს სშირად მოტყუებული,
 გული კი ყოველ ჟამს არ ეთანხმება,
 გვრეთვე ფატმან აღტაცებული
 თავის წადილსა რა ვერ მისვდება,—
 რცხვენის, იმაღვის, მიიწარება,
 ჭხედავს რომ მისგან განკიცხულთა,
 ტრფობისა ალი გულს კვიდება
 და შურთან ერთად არეულია.
 შეიწრებულა, რა ქნას არ იცის,
 იტანჯვის მწარედ, კერას მიმხდარა;
 ხან შეშოთდება, ხან ჩუმიდ სტირის
 შამხალის ეშხით სრულად დამწყარა.

III

უანშაუბი ამ მოგონებით,
 რა დიაცხა გაჯავრებული,
 მით უამუკად და დაღონებით
 ნადიმიდ სჯდება დაფიქრებული.
 მაგრამ მზის ნათელს ვერ შეაყენებს
 ნისლი რაც-ოდენ გარდაეთაროს,
 და იგი კვლავაც ათბობს, ანათებს
 თვისისა სხივით მრთელსა სამყაროს.
 მზგავსადვე ამის ჩვენსა შამხალსა,

თუმც საიდუმლო წყენა ეხვევა,
 მაგრამ ზნეობით ზრდილობიანსა
 მუნ მსიარული აქვს სიტუვა, ქცევა;
 მხალღდა ერთი ატყობს მოწყენას
 მაჭამედ გმირი თან-შენაზარდი,
 რომელიც უყოფს ჭირსა და ლხენას,
 ერთგული-მტკიცე სულისა ფარდი.
 და იგი შამხალს უახლოვდება,
 ენა-მასვილი, მჭევრ-მოუბარი,
 მივა და გმირთა შორის დასდგება,
 იტყვის: «რა შეგვხვდა ჩვენ დასამწარი?
 მართალი არის, გუშინდლის ომით
 მხნე, საიმედო ძმები დაკვარგეთ,
 მაგრამ მათისკე გმირულის ნდომით
 არ დავიჩაგრეთ, ძლევა მოვიგეთ.
 მათ ადასრულეს სურვილით თქმული,
 რომელს გვიბძანებს წმიდა ისლამი:
 მით, რომ შესწირეს ქვეყანას სული,
 გამოიყენეს ბრძოლისა წამი.
 სამშობლოს ველზედ სისხლი დასთხიეს,
 ძეგლად ეს გმარა, არ აღიგება!
 სახელოვანად მტერთა რა სძლიეს,
 დმერთმა მით მისცათ ცოდვათ შენდობა.
 და ჩვენ არც სჯული, არც ჩვეულება
 ნებსას არ გვაძლევს რომ აწ ვიგლოკოთ.
 და თუ ვიგლოკოთ, ეს ის იქმნება,
 ჩვეულებაც და სჯულიც უარ-ვეოთ.
 ჩვენი ადათი ყოველმა იცით,

ომში მოკლულთა არკთვლით სანტირლად,
 ის მიწვეულა სეგარდამო ცით
 და აქ ცოცხალნი ვაჭებთ მას სშირად,
 სომ თქვენცა ჰხედავთ მასპინძლის გულს
 ძვირფას შემთსკვეით მხიარულია,
 თქვენშიაც გრძნობა კაკასიული
 მეფობს და მტკიცედ დანერგულია.
 პირველ რომ ომით მტერთა დავსძლიეთ
 და მით ჩვენ მკვლარი უკელა გვიცხონდა;
 მასთან ძვირფასნი პირნი მეწვიეთ—
 აქ მოსაწყენი რა მაქვს, რა მქონდა?
 უადგილთა ვისიმე ჭმუნვა,
 გინდ მოფიქრება საწყენის საგნის:
 ვისაც არა სურს მასპინძლის მღურვა,
 გამხიარულდეს, ვარ მსკვერად ამის.
 ავასოთ უკელამ ბასსმით*) ჩვენ ჯამი
 და შეკვრათ იმის შესანდობარი,
 ვინ მტერთა დასცა გმირულად სძალი
 და მტრისა სელით იქმნა მომკვლარი;
 ვისაც სიცოცხლე მამულისათვის
 გუშინდელს ომში შემოეწიროს;
 ვის სამშობლოსა სასულისათვის,
 მის მსხვერპლად თავი დღესაც ეჭიროს.
 მაჭამედისა წარმოთქმულს სიტყვებს
 მსმენელნი ერთ-სმად ეთანხმებიან,

*) ბასხმა არის პიოლს მსგავსი სასმელი, რომელსაც ჩერქეზები
 ღვინის მაგივრად სმე.

და მორიგისად იღებენ ჯამებს,
 სმენ შესანდობარს და კვლავ სსდებიან.
 ყველანი იყვნენ მოხსენებულნი,
 ალლასსა მათთვის ეკედრებოდენ,
 მუნ მტენი, მათგან დატევილები,
 ისდენ საბრალოდ, მწარედ ისმენდენ.

IV

ბოლოს. თვამანი, მაჭმედის ცოლი,
 რომლის თვალები ვარკველებს სჭვივის,
 მსკრეტელთა მდნობი, მნათობთა ცოლი,
 შემოდის მთენად კომეტივს სსივის,
 და თვის ლამაზის, ნაზის სელებით
 ძლივსა მოზიდავს ოქროსა კათხას,
 მოართულს, შემკობილს ძვირფასის თვლებით,
 მუნ მცირე შთასსმულს თვით უტებეს ბასსმას.
 და ის წყეულად, ღმერთა შვენიების,
 ტვბილ-მომწამლველის ენითა ამბობს,
 ვით შესწავლული მზგავს სელაზნების,
 გრძნობისა ღასვრებს მსმენელთა ასობს.
 შემდეგ შამსალსა უასლოვდება
 მშვენირება ნათელთა მთენი,
 სტქერს ალტაცებით, არ უშინდება,
 კენუსის სასის ამაყად მჩენი.
 და გმირს წინ უდგამს კათხას ბასსმიანს,
 ნივთსა ძვირფასსა აძლევს სინაზით,

ეტყვის: «მსურს ვუძღვნა თქვენს სახელს სვიანს
 ნიშნად ხსოვნისა ესე სიმაღლით.
 მაშინ შამხალი ზნეობით სრული
 სდგება და იღებს ხელითა კათხას,
 სძღვნის მადლობასა ლომ-გული ტკბილი
 და ნელიად სომს მუნ შთასსმულს ზახსმას.
 აქ მაჭამედი ასსა მონასა
 აბჯრით აღჭურვილს მწკრივად დარაზმულს,
 ცხენსა მოსაწონს ერთად სამასსა
 შამხალსა უძღვნის ძვირფასად კაზმულს.
 და აჭა ესრედ ღვინი თავდება,
 ცისვრის კარსკლავი კაშკაშებს მთენად,
 დილის ნიაგით ბუნება სტკბება
 და მსეც ამოსვლით ანათებს ქვეყნად.

კარბი მეოთხე.

ერი გროვდება მოდის ყოვლის მხრით,
 სავსკა ეზო ჩვენის შამხალის,
 ყველა მწუხარე, ყველა თავ-დახრით,
 ეტყობა არვინ კარგს არას ელის.
 კაცი კაცს მოსდევს, ხალხი გროვდება,
 ერთი მეორეს ჩუმად შესტირის,
 ყველას ღრღნის დიდი რამ მწუხარება
 და შამხალი ვი აქ არსად არის.
 სად არის იგი, სად მიეფარა,
 სად არის თავი ჩერქეზთა ხალხის?

უძისოდ კრი, არს ვით ცხვრის თვარა
უმწყსოდ მძოკელი კელსედ ბალახის.

I

ყანშაუბეის სახლობას ზარი
დაეტა მესებრ აუტანელი
და მწარე სენმან თავისი ბჭყალი
ჩაასო გულში ამოუხსნელი.
ძლივს უჩნს შამხალსა სიცოცხლის ჩრდილი,
აღნობს და არღვევს ძალი რამ მკეთრის *).
მას დაუმზგავსეს წყლული და ჭრილი,
სხვად ვერას მისგდენ ექიმნი ერის.
და მუნ გოშიად, ცოლი შამხალის
რავდენ იტანჯვის, მას ვინ აღრიცხავს?
სახე აჭვს ოდენ მთვარისა მცხრალის
და გული მისი ცეცხლსა დაუწვავს.
აქ მეგობარნი ცრემლ-სისხლიანნი
დასცქერენ შამხალს მწუხარის გულით,
დაღონებულნი და სეკდიანნი,
იმედ-გამქრალნი, ობოლნი სულით.
სიჩუმე იცავს ელჯრეთის არეს!
თითქოს მცხოვრებნი გამუნჯებულან.

*) მკეთრი იყო ისეთი სნეულება, რომლისაგან ადამიანს დაუწყებდა ჩირქი და წრბოლი დენას და მისი მორჩენა წამლით შეუძლებელი იყო.

კაცნი და ქალნი სნეულს, მწუხარეს,
 გარს ეხვევიან, განკრებულან.
 მხოლოდ ხანდისხან მიჩანგებო
 სიტყვებს საბრალოს დამღერენ ნელად.
 და მათგან ისმის მწუხარე ხმები
 წინა-ხართ გმიერთა მოსაგონებლად.
 მათგანი ერთი, მოხუცი ძველი,
 მოწამე მრავალ ფიცხელის ომის
 რომელს უღებავს მტრის სისხლით ველი,
 და კვალი მასაც აჩნია ხმალის,
 უმღერს მწოლარეს ცხედარზედ გმირსა
 შემდეგსა სიტყვებს ნაღვლიან ხმებით,
 მას ხათუმები ზანს სცემენ ტკბილსა
 ღირსნი ქებისა, სრულნი მშვენებით.
 «ნუ ჭფიქრობ, გმირო, ელჯრუთის არეს
 წაგგვაროს ბედმან, ახაროს მტერნი,
 და შენის ხმლითა დაცულსა მხარეს
 მიგვიტაცებდენ, ვით კრავთა მგელნი.
 იმ შეუპოვრის გმირულის გულით,
 რომლისგან მტერნი შიშითა სთრთიან,
 კვლავ მათ შესვდები მოწვთილისა ხმლით,
 კვლავ ისე გიცნონ, ვითა გიცნიან.
 ცის კამარაში ვით შავარდენი
 გუნდსა მტრედისას იმონებს ფრთითა,
 მსგავსადვე მისა, მარჯვენა შენი
 კვლავაც დაჭკაფავს, მამაცო, ხმლითა.
 დღეს თუმცა გიმხერთ უამად მწოლარეს
 და გულნი ერთგულთ იწროვდებიან,

ჰვლავ გნასავთ რმად ცხენზედ მჯდომარეს
 და ჰკვლავდ მტერსი აღშფოთდებიან.
 აღსდგე და შენვე შენის მარჯვენით
 ჩვეულებრივად ეომე მტერთა,
 რათა მიღვევდი, მტარკალთ განდევნიო,
 განამხნეკებდე სამშობლოს ერთა.
 მაგრამ, მკითხველო! ჩვენსა სნეულსა
 ესე არც ერთი არ ეუერყის.
 სიკვდილთან ბრძოლით ძალ-განლეულსა,
 ვინ იცის, რას ცრძნობს, რას ელოდება.

დანი 16: II

იქი შუა-ღამეა! ყველასა სძინავს,
 მხოლოდ გოშიად არის მღვიძარე,
 რომლის მასლობლად ლამშრები ბრწყინავს
 და თითონ ჩასცქერს სნეულს მწუხარე.
 ჭიფიქრობს: «დაღუპულს, ბედისგან დასჯილს,
 რა მმართებს, ბედ-ერულს, დაობლებულსა.
 უწყალას ლახვრით დასეულს, დაჭრილს,
 და სჯსლობითა აოხრებულსა.
 რა მოვიგვარო, რითიღა მოკვებდე,
 მე გლახ-სიცოცხლე გაწობილებული?
 მიჯობს დანასა ჩქავ დაკაკვდე
 ჩემსა პატრონსა მომორებული!
 რა, დევეთო, ჩემსა უმწვილ-ქალბნას
 რა მოუვლანე ეგ საშინელი!

ჩემის ჰატრონის განთქმულს გმირობას
 ცხარის ცრემლით გთხოვ შენ ექმნე მსხსნელი. •
 და როს ამ ფიქრით გატაცებული
 ცრემლებსა ღვრიდა შეუხერებლად,
 მასინ ფატმანი შეხვეწებული
 ახლოს მიუჯდა მანუგეშებლად.
 ეტეოდა: «დაა! ცეტსლი დაძწველი
 მეცა მედების დაუშრეტელი,
 მაგრამ მაქვს ერთი რამ სათხოველი.
 ვარ მეხუდარე, შემომხვეწელი.
 შესწვიტე თუ გინდ ორიოდ წამით,
 წყარო უშრობი მაგ თვალებიდან,
 ჩვენც მწუნსარეთა ნუგეშ გვეც ამით
 ნუ გამოსულხარ მოთმინებიდან.
 აგერ თვე გადის, რაც შენს თვალს ძილი
 არ ღირსებია ღონე-მიხდილსა,
 წაგმწარებია სიცოცხლე ტებილი,
 დამხერ ჰატრონის ოდენ აჩრდილსა.
 მაგრამ თვით იცა, შენი ცრემლები
 მას არ ერგება სიცოცხლის წამლად.
 კვლარ გაუძლებ, შენცა მოკვდები,
 გიჯობს დათობა სიკვდილის ნაცვლად,
 წადი, დაწეჩი და მიიძინე,
 ვიდრე ღვიძილი მომწუინდებოდეს,
 უძლურს მოძვლელად მე მიიძინე,
 ვიდრე სისუსტე მოგეშეგებოდეს.
 დაჭყვა გოშიად: ლოგინსედ საწყლად
 თუმიც დაეშვა, ძილს თავი ვერ მისცა;

ფატმან შემცდარი მივარდა მსწრათლად
 და ყანშაუბეის ხელი ხელს სტაცა.
 მაგრამ სიცოცხლე ძლივს ეტეობოდა
 მტრისგან უძლეველს, შურითა ძლეულს,
 უამურს სიტყვებს ეუბნებოდა:
 დღედმდე ყველასგან სიამე ჩვეულს.
 აი ის სიტყვა, რომელსაც ფატმან
 ეუბნებოდა შამხალსა ნელად:
 «ნუ გავიწყლება, რომ ტრფობამ შენმან
 აღმინთო ცუცხლი მე დასაწყევლად.
 მაგრამ ჩემს გრძნობას შენ უარ-ჭყოფდი
 ავად მიგაჩნდა, გეზიზღებოდა,
 და მე კი იმას არა მკითხავდი,
 რომ წყაროსავით ცრემლი მდიოდა.
 ბედნიერად ვრაცხ დღეიდგან ჩემს თავს,
 რა კი წადილსა მე ჩემსას ვსწვდები,
 მაგრამ იცი შენ, სიცოცხლეს ვინ გწყლავს?
 ვიან არს მიზეზი გამოგიტყუდები.
 როს ნაომარნი, გამარჯვებულნი
 შეექცეოდით ნადიმის მდომნი,
 და ოდეს გმირნი შემოკრებულნი
 ირგვლივ ისხედით მამაც-ნაბრძოლნი,
 მაშინ მე კათხა ტეზილის ბახსმითა
 შემოგიტანე რა შენ სასმელად,
 შეზაკებული საწამლავითა
 შეგასვ სიცოცხლის მოსასპობელად,
 და აი, ესლა შენ მისგან კვდები
 ჩემის გულისა მოსაფხანელად.

წუ ზამისრულდა ყოვლი ნდომების
კი მამისადის მადიდებულად.

მაგრამ მასუსად ამას სიტყვისა
ისმოდა ოდენ კენესა ძლიერი.
მიხევი მზგავსთ მწარის ტანჯვისა
ფატმანი გასძღა, დღებდუ მშიერი.

III

სწევს და არ სძინავს, ეს ყველა ესმის
გოშიაღს, მწარედ ცუცხლ-მოდებულსა
სული და გული თუძცაღა ეწვის,
შეუშფოთველად მას უგდებს ყურსა.
მიკვირს, რად მსწრაფლად არ აღიჭრებნ,
ვითა მრისსანე ვეფხი მშიერი,

ფატმანის ხორცი ჰურად ეკმება,
რა აქვს სათმობი, ან მისაფერა?
მაგრამ გოშიაღს, ცოლს შამსაღისას,
უმს რამე თვისგან გამორჩეულა.
ჭირი არ უგზავს, ვით ლხინი სხვისას,
ვინ იცის, რას იქმს ბუდ-დაღეული!

IV

კვლავლამეს დღე სდევს, კვლავ გათენდება,
თუძც ელჯრუთისთვის ისეუ ბნელია,

ყანშაუბეი ეს არის კვდება,
 მთელი ყაბართო ნაღველ-სმულაია.
 საგრძნობელია, როს მხარე ჭკარგავს
 თვის ნაშობს შვილსა ღირს-მისანდობელს,
 მამულისა კვერთხს და მტრისა მზარავს,
 სამშობლოს დამცველს, მსახელოვნებელს,
 ყველანი გრძნობით ესაღმებიან,
 მთელი ერი გრძნობს ტანჯვასა მწკელსა,
 მგლოვიარენი მწკრივად სდგებიან,
 ფატმანიც მათში უხვად ღვრის ცრემლსა.

V

წარსდგა გოშიალ მოულოდნელად
 წინაშე ხალხთა მუნ მდგომარეთა,
 ითხოვს დასწყინარდენ მოსასმენელად
 სიტყვათა მისთვის ყოვლად მწარეთა.
 დაიწყო: «ვიცი, ჩერქეზთ ზრდილობა
 მე დამიწუნებს დღეს ჩემსა ქტევას,
 რომ ქმარზედ მოვსთქვა მე უბედობა,
 მაგრამ ვინ-ღა მგმობს, დაგუწვავ ელვას.
 თქვენ მოწამე ხართ ჩემის პატრონის,
 რა რივად მამულს თავს ამსხვერპლებდა.
 ყველას შმა იყო, ვით თავის ტომის,
 თქვენთვის სისხლს ღვრიდა, მტერს აზარებდა,
 არ დანანდა თვისსა დიდებას,
 სიცოცხლეს და სულს თქვენდა საამოდ,

თქვენ ვი არ იცით, რომ ის მოსწამლეს
და გამოგტაცათ შუკმან უყამოდ.

ჩერქესთ საჭებრად გქონდათ პირველად
ნამუსი, ძმობა, დანდობილება.

ესე გეჭირათ თქვენ საღმთო სჯულად.

ვინმცა შეგკადრათ მასევე ცილება?

ამით დაცულა თქვენი სამშობლო,

ამითი მტერი თქვენ დაგინაგრავთ,

რამდენ ას-წელმა ამ სახით განვლო,

და დღეს დიაცი მას გართმევთ, გპარავთ.

მან თუმცა სრულად შურ-სავსე გულით

მოსწყვიტა, დასწვა ჩემი სიცოცხლე,

მანვე სამშობლოს იმავე შურით

ძვირფასი თავი მოჭკვეთა ადრე.

და ამით იმან ჩერქესის მხარეს

სახელი დასდვა უნამუსობის.

თქვენ რაღას ეტყვით მტერსა მოსაზღვრეს?

თვით სული გქონან მოღალატობის?

გამო აქ, ფატმან, მოძიანსლოვდი!

ესე სიტყვებო შენი ბეჭდია;

დღემდე რასაცა გულით ღამოდია,

დღეს რაღა შენი სახალველია?

შენ არ მიეცო რქროსა თასით

შენის ქმრის სახლში მას საწამლავი?

რომ არ გასცავლა მან შენის საფრხით

შენზედ მაჭამედ ის საცოდავი?

მაჭამედ ქმარი შენი მართალი,

დღეს ძმა მძისაგან მოშორებულა.

ღმერთმან მოგაგოს ამის ნაცვალნი,
 რომ ქმარის სტანჯე სალსში ქებული.
 აი თვით სალსი ცხადად კითხულობს
 შენსა სახესედა შენს ბოროტებას! აჲ
 სთრთი და გემინის, ბერი თვით გმოწმობს,
 არ აქვს ადგილი შენს გამაწმენებს.
 ხომ კარგად გასსოფე წინა-ღამით შენც
 როცა გგონა ვიყავი მძინარე,
 რა უთხარ სულთმბრძოლს, ყველა გაგვიგენ,
 რაც მალგით ტექმნა, გამლაშვარე.
 რად სდგასარ, თვტმან, ვითხრცა მუნჯი?
 მისთვის რომ გასძელ შენ ჩემის სასხლით?
 ჩეკქვით მისტაცე მისაყრდნო ბურჯი,
 გული მეგობართ გასწონე ისრით.—
 აწ შენ ჩემს ჰატრონს, ჩემსა სიცოცხლეს,
 მსურის საქმით დაღეს დაგიმტკიცო,
 რომ სული ჩემი შენ ზრ მოგშოკდეს
 და საუკუნოდ შენთან დავიცო.
 ამასედა გულით დაჯერებულ ხარ,
 შენი სახელი ზრ მოკვდეს არ-როს,
 შენ მოკვდი, მეცა შენთან მოკვდივარ,
 რომ შენთან ვაყო, რამცა დამემწაროს.
 რა დაასწულს მან ეს მოთქმები,
 მსწრათელ გამოაღო უბილამი დანა.
 დაიცა მეკრძნულ, სთქვა: «ტობლად ვკვდები.»
 ამ სიტყვას სულით თან გაატანა.

...

VI

და ის ორნივე აქ განუყრელნი,
 ერთს სამარეში დასაფლავეს;
 უბარდოს ხალხნი დღესაც ყოველნი
 ფატმანსა გმობენ, ვით მოლაღატეს.
 და მათ აღუგეს სასოვრად ძეგლი,
 ზედ წარწერილი არს არაბულად
 ორთავ სანატრელთ მათი სახელი,
 მათზე მოთხრობის მოსაგონებლად!

VII

და იქ კლბრუსი მოწამე ყოვლის
 ბედნიერ დროის შამხალის დღეთა,
 დღეს გარდმოყურებს შუწხებულის
 თითქო გრძნობითა, ვით მამა ძეთა.
 უმწკერვალის თვისის სიმაღლით
 ცის წინაშე სდგას, თითქო ღაღადებს,
 ხმით საგლოვითა, ზე-აღმაკალით,
 დაცემულს მხარეს დმერთს შეაბრალებს.
 და ხშირად მისსა რეტა ნაღვლიანს
 მკერდსა ესკვას მჯავრის ღრუბელი,
 ჭუსილით მოსთქვავს სიტყუებს ელვიანს,
 ელჯრუთს ცვარსა სტემს, ცრეულად მფრქვევლი.
 მის ჭკემო თერგი აძაყად, მჩქეფრად

მიმდინარეობს კასპიის ზღვამდე,
 რომლის ღრიალი და ლეღვა შედგრად
 არ დამშვიდდების უკუნისამდე.
 და ესლაც სალსში მეჩანგები
 ამა ამბებსა დამღერენ ტკბილად
 და მათთა მსმენელთ ცხარე ცრემლები
 მწარე ფიქრებთან სდენიან სშირად.

„...“ პ. მ.—ძე ლადიანი

1882 წელსა

ს. ქვადაუში

ზრომა ევროპიელთ. მწავლულთა; განსაკუთრებით
ზროსხსნი, ქართულის საისტორიო წყაროების გა-
მოკვლევაში

უეტკელია, ყველამ ჩვენგანმა იცის, რომ ისტორიულ წყაროებს საქართველოსას იკვლევდა განსვენებული აკადემიკი ბროსესე; მაგრამ არა მგონია, ბერეს გაეგონოს, თუ ვინ დასდო ამ საქმის საფუძველი, რა გარემოებამ აღძრა მისი საჭიროება, რამდენად შეიმუშავეს თავდაპირველადვე ევროპაში ჩვენი მწერლობა და ბოლოს რაში მდგომარეობს ნამდვილ ის ღვაწლი, რომელიც ბროსესემ ჩვენ დაგვდო. ეს არის საგანი აწინდელის სტატიისა.

ჩვენის ქვეყნის შესწავლის დასაწყისზე ევროპაში ჩვენს გვაქვს მხოლოდ ნაწილები-ნაწილები აქა-იქ გაფანტული მასალა. საიდანაც ეს მასალა გამოგვაქვს, არიან: 1) ვიზანტიის ისტორიის (Histoire du Bas-Empire) მეცამეტე ტომში ჩართული სენ-მარტენის ბიოგრაფია: ეს ისტორია შედგენილია ოც-და-ერთ ტომად მეოთხმეტე საუკუნეში ლებოსიდან და გამოცემული მეცამეტე ტომამდე 1824 წ. თვით სენ-მარტენისაგან და დაბოლოებული 1836 წ. ბროსესისაგან; 2) წინა-სიტყვაობა ქართულის გრამატიკისა (Éléments de la langue géorgienne), რომელიც გამოიცა პარიჟში 1837 წ. და რომლის ერთი ნაწილი ეგუთვნის კლავროტს და მეორე ბროსესეს; 3) კრებული სიტყვა ანუ შესსმა ქართულ მწერლობაზე, რომელიც წარმო-

სტჟა ბროსსემ ჰეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში 1838 წ., როდესაც ის ამოხეულ იქმნა აკადემიის წევრად (*Discours prononcé à l'assemblée générale de l'Académie des sciences de St-Pét.*); 4) ბროსსესაგანვე შეკრებილი მასალები ქართლის - ცხოვრებისა 1201 წლიდან 1755 წლამდე (*Matériaux pour servir à l'histoire de la Géorgie depuis l'an 1201 jusqu' en 1755, St-Pét., 1841*) და 5) «*Отчетъ Императорской Академіи наукъ*» ბროსსეს სიკვდილის გამო.

ქართულისა თუ სომხურის ძველთა ნაშთთა შემუშავების დასაწყისი შეკავშირებულია იმ მოძრაობასთან, რომელიც აღძრა ევროპელთ მსწავლულთ გუნდში წასულის საუგუნის გასულს, ახლად აღმოჩენილმა ევროპისა და ინდო-სპარსეთის ენების ნათესაურმა გვარ-ტომობამ. როგორც ვიცით, 1784 წელს კაღკუტაში დაასრულა აზიური საზოგადოება, რომელსაც საგანდ ქჭონდა გამოკვლევა საზოგადოდ აზიის ენებისა და განსაკუთრებით ინდოეთის ენებისა. შემდეგ ამისა 1798—1801 წ., როდესაც ნაზოლეონ პირველი თავის მხედრობით იმყოფებოდა ეგვიპტეში, ძრანტურებმა გამოიკვლიეს ნილოსის დელტამინდვრები და შეჭვრიბეს იმ მხარეზე ყოველ-გვარი ცნობები— არხეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიური და სხ. ამ ორთა შემთხვევათა გავლენით დააფუძნეს პარიჟში განსაკუთრებით სასწავლებელი—*École-Spéciale*, რომლის პროგრამა იყო შესწავლა ენებისა—სახსკრიტულისა, სომხურისა და ჩინურისა. იმ დროსვე განკითარებულმა ორიენტალისტმა სილვესტრ-დე-სალიმ იკისრა სპარსულის ენის სწავლება *Collège de France*-ში. «ყველა გამოჩენილი პროფესორები *Collège de France*-ისა & *Collège-Spéciale*-ისა, ამოიბს ბიოგ-

ჩაძი სენ-მარტენისა, იკრიბებოდენ ერთ მეცნიერთან, რომლის უკველი ნიჭი და მაღალი ზნეობითი თვისება ყველასთვის უნდა იყენებინა განსაკვირველნი. რაღა საჭიროა თქმა, რომ აქ იგულისხმება სენ-მარტენი. სენ-მარტენი იყო თავ-და-თავთა დამფუძნებელთაგანი 1822 წ. აზიურის საზოგადოებისა, რომელმაც, როგორც განთიადის ნათელ-მოსილმა ვარსკვლავმა, თავის დეგისად აღიარია მზე აღმოსავლეთისა და თავისი სხივი მოჭფინა ქვეყანას თავის ყურნალის (journal Asiatique) შემწობით. ამ საზოგადოების წევრთა მიჯვეს სელი შესწავლას ყველა ენებისას—ჩინურისას, სომხურისას, არაბულისას, პალისას, სანსკრიტულისას, მანჯურიულისას. ამ საზოგადოებაშივე აღმოჩნდა აზრი ქართულის მწიგნობრობის შესწავლისა.

აქ ჩვენ საჭიროდ ვხადით სენ-მარტენის ცხოვრებაზე შევდგეთ. სენმარტენი დაიბადა 17 იანვარს 1791 წ.; სწავლა მიიღო სილვესტრ-დე-სასის სკოლ-მძღვანელობით; ჰქონდა მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთის გამოჩენილ ორიენტალისტებთან—ევენ ბიურნუფთან და აბელ რემიუსსთან. ოცის წლისამ დასელოვნებით იცოდა არაბული და სომხური ენები; გარდა ამისა, ისწავლა სპარსული, სირიული და თურქული; ცდილობდა აგრეთვე შეესწავლა სანსკრიტული და ქართული, მაგრამ საფუძვლიანად ვითხვა ამ ენებზე არ შეეძლო. სენ-მარტენი იყო მხოლოდ ოც-და-შვიდის წლისა, როდესაც 1819 წ. გამოსცა ორ ტომად თავისი შესანიშნავი *Mémoires historiques et géographiques sur l' Arménie*, რომელიც აქამოდე უკეთეს თხზულებათ ითვლება, რომელსაც სამეცნიერო ღირსებით უდრის მხოლოდ დიუბუა დე მონპერეს «მოგზაურობა კავკასიაში» და რომელშიაც შემოტანილია ყოველივე ცნობა სომხეთზე, გამოვრებული სხვა-და-სხვა წყარო-

ზიდაძე—სომხურიდან, ბერძნულიდან, ლათინურიდან, ვიზანტიურიდან და არაბულიდან. ამავე შრომაში სენ-მარტენს შემოაქვს, ანუ უჩვენებს იმ წყაროებს საქართველოზე, რომელნიც კი იმ დროს მხედველობაში ჰქონდათ. გარდა ამისა სენ-მარტენმა მიჰყო სული ლებოს დიდს შრომას *Histoire du Bas-Empire*, რომელიც სიკვდილის გამო მეცამეტე ტომს იქით ვერ წასწია. ეს ცამეტი ტომი იმას შეუვსია მრავალ-გვარის ძვირფასის შენიშვნებით და ვრცელის გამონაწერებით სომხურის ქრონიკებიდან. ამოდენა შრომით მანაც არ დაკმაყოფილებულა: სენ-მარტენის ბიოგრაფი გვარწმუნებს, ვითომც იმის სიკვდილის შემდეგ იმის კაბინეტში აღმოჩენილიყოს შემდეგნი იმისგანვე სომხურიდან თარგმნილნი თხზულებანი: 1) შემოკლებული მსოფლიო ისტორია; 2) ლაზარ. ჰარბუცის სომხური ისტორია; 3) მოსკო ქოჩენელის ისტორია; 4) მრავალი ვრცელი გამონაწერები სომხეთისავე ისტორიიდან, რომლის ავტორი არ არის სახელ-ცნობილი; 5) ეგიპუს ისტორია ვარდანანთა; 6) ნერსეს კლავციის ისტორია ტარონის თემისა; 7) თომა მეძობის ისტორია თამერლანისა და 8) იოანე კათალიკოსის სომხური ისტორია.

ამ გვარ განსაცნის შრომაში გართული სენ-მარტენი არ ივიწყებდა თვით ქართულს ძველს მწერლობას. სენ-მარტენი ჰხედავდა, რომ ისტორიული ზვე სომხეთისა და საქართველოთა ერთი-მეორესთან მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, რომ იმათის ისტორიის ნამდვილი და ჭეშმარიტი გამოკვლევა შეუძლებელია, თუ ერთი მეორეს არ შეუთანასწორდა, თუ ერთმა მეორე არ შეავსო და ა შეასწორა. გარდა ამისა ორივე ამ ჭკეულის ცნობები, სენ-მარტენის აზრით, დიდად საინტერესოა მთელის აღმოსავლეთისათვის, რადგანაც იმის შესწავლას იგინი

გზა-გვალს უნათებენ. საუბედუროდ, სენ-მარტენმა გვიან მიჭყო სული ქართულის ენის სწავლას, და ამის გამო საკუთარი შესანიშნავი შრომა არა დაუტოვებია-რა ჩვენის ლიტერატურის ასპარეზზე. სენ-მარტენს ის სამსახური მიუძღვის ქართველობის წინაშე, რომ იმან ჩააკდო ქართულის ისტორიის საძირკველი, რომელზედაც სხვებმა იწყეს შენება.

«მხოლოდ რამდენიმე თვემ გაიარა შემდეგ აზიურის საზოგადოების დაარსებისა, ამბობს ბროსეს *Elements de la langue géorg.*-ის წინა-სიტყვაობაში, როდესაც ამ საზოგადოებამ სხვა-და-სხვა აღმოსავლეთის ენების რიცხვში ქართულ ენას მიაჭნია განსაკუთრებითი ყურადღება. საზოგადოებამ იგრძნო საჭიროება ქართულის ლექსიკონისა და გრამატიკისა. ამ შემთხვევაში უზირატესობა კრების ჩჩევაში კგუთუნის მეცნიერმცოდნეს სომხეთის მწიგნობრობისას და ისტორიისას სენ-მარტენს. ცხადის საბუთებით სენმარტენმა დაუმტკიცა კრებას, თუ რა შედეგი მოსდევს ქართულის ენისა და წყაროების შესწავლას.

«საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ ქართული ასოები ჩამოესხათ და თავდაპირველად შესდგომიყვნენ ლექსიკონის ბეჭდვას. ლექსიკონი ძრანცუხულ-ქართული და ქართულ-ძრანცუხული, შედგენილი 4058 სიტყვისაგან კლავროტის მიერ, რომელსაც საქართველოში ემგზავრა 1808 წელს, გამოსცა კლავროტმავე 1827 წელს. კლავროტმა ქართული სრულებით სუსტად იცოდა და ამისთვის იმისი შრომა საჯარო ნაკლულეკანებით, თუმცა არ იყო უსარგებლო კერძიელთა მოგზაურთათვის.

«ქართულის გრამატიკის შედგენასაც მიჭყო სული კლავროტმა, რომელსაც, როგორც თვითონ გამოუცხადა საზოგადოებას, ხელთ-მძღვანელად ჭჭონდა იტალიელის მისიონერის

ხელ-ნაწერი, ვინ არის ეს იტალიელი, არ ვიცი, მაგრამ კლავ-როტის შრომა გვარწმუნებს, რომ იმას საფუძვლიანად შეუსწავლია ქართულის ენის მეხანიზმი და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ქართული წყაროები ჰქონდა თვალ-წინ. საზოგადოდ ამ გრამატიკის ბეჭდვა ძნელად სწარმოებდა და ბოლოს კლავროტის სიკვდილის გამო 1835 წ. სხვათა კლავროტის შრომათა შორის შეჩერდა. მაშინ საზოგადოებამ მე მომძინდო, ამბობს ბროსსე, იმისი განგრძობა. ამ გრამატიკაში მე შეკუთვნილი მხოლოდ 113 სტრიქონი დამ და ესეც უნდა ვთქვაო, რომ ჩემს ხელში იმისი პლანი შეუცვლელად დარჩაო.» ეს გრამატიკა ჩვენ ესლა ხელთა გვაქვს. ეს არის *Éléments de la langue géorg.* და ჩვენის თიქრით იგია უკეთესი სასელ-მძღვანელო ევროპეელთათვის, რომელთაც ვი ჰსურთ ქართულის ენის შესწავლა.

აქ იქნება საზოგადოდ ვინმე შემდეგი კითხვა მოგვცეს: რა გვარი მასალა ქართულის მწიგნობრობისა მოიპოებოდა 1820—1830 წ. პერიუმი? ანუ, რა ღონისძიების მოხმარება შეიძლებოდა იმის შესწავლისათვის უცხო ქვეყანაში, სადაც ქართულის ენის საფუძვლიანი ცოდნა, როგორცა სჩანს, არცარავის ჰქონდა და საეჭვოც იყო უმასწავლებლოდ? მართალია, ქართულის ენის მასწავლებელი არავინა ყოფილა პერიუმი, მაგრამ რომ იქ ხელი მიჭყვეს არათუ ჩვენის მწიგნობრობის შესწავლას, არამედ თვით კრიტიკულ შემუშავებასაც, ამის საბუთად ჩვენ ვუჩვენებთ, გარდა ზემოხსენებულის ლექსიკონისა და გრამატიკისა, მრავალ სტატეებს, რომელნიც დაბეჭდილნი არიან 1827—1836 წლების *journal-Asiatique*-ში და რომელნიც არკვევენ, სხვათა შორის, ქართულისა და მეგრულის ენების თვისებას, ქართულ ისტორიას, ქრონოლოგიას, სასულიეროსა და

საერო სჯულ-დებს, საბა ორბელიანის ლექსიკონს, ვეფხისტყაოსანს და სსკათა. ამ სტატიების ავტორები არიან: სენმარტენი, შუღცი, როტიე, კლპროტი, უცნობნი პირნი და ბოლოს ახლად გამოსული სალიტერატურო ასპარეზზე ყმაწვილი კაცი ბროსე, რომელიც შემდეგ სანკტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წევრად შეიქნება.

Éléments de la langue géorg.-ში შეტანილია სრული კატალოგი ქართულის მანუსკრიპტებისა ანუ ხელ-ნაწერებისა, რომელნიც აზიურ საზოგადოებას ჭჭონია თავის განკარგულებაში. ეს მანუსკრიპტები ეკუთვნოდა ანუ სასკლმწიფო ბიბლიოთეკას, ანუ თვით აზიურ საზოგადოებას, ანუ კერძო პირთა. იმათი შინაარსი საგნებია: ღვთის-მეტყველება, ძილოსოცია, სჯულდება, რომანები; გარდა ამისა კატალოგი შეუვსიათ სსკადა-სსკა ბიბლიოგრაფიულის ცნობებით, რომელნიც გამოუკრებიან საბა ორბელიანის ლექსიკონიდან, 1820 წლის ბიბლიურის საზოგადოების ანგარიშიდან ათონის ივერიის მონასტრის წიგნთა-საცავზე, აგრეთვე ორიენტალის ძრენისა და ბატონი-შვილის თეიმურაზის-მიერ გარდაცემულის ცნობებიდან. ამასთანავე კატალოგში ჩართულია ცნობები იმ ქართულ წიგნებზე, რომელნიც უზოვიათ ვენაში და რომში, ანუ დაბეჭდილი ყოფილა ამ უკანასკნელ ქალაქში მისიონერებისაგან. საფრანგეთის სასკლმწიფო ბიბლიოთეკის მანუსკრიპტების რიცხვში ყოფილა სსკათა შორის რამდენიმე ძველად-ძველი ეტრატზე ნაწერი წიგნები, მაგალ. სალიტურლიო კონდაკი სრულის კალენდრით და სვინაქსარი, რომელსაც ჭჭონია ჩართული მრავალგვარი აღაპები და რომელიც ოდესმე თურმე შეადგენდა საკუთრებას ფისელის ღვთის-მშობლის მონასტრისას. ეს მონასტერი მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ აღმოვაჩინეთ აწყუ-

რის მახლობლად, უწინ კი იმას ეკებდენ თრუსოს სეობაში. ხსენებული ალაპები გადმოღებულთა ანუ გადმოხატული ნამდვილის მათის სელით სენ-მარტენისაგან და მთლად ჩართული ბრუსესაგან იმის-მიერ 1829 წელს გამოცემულის Chronique géorg.-ში (იხილე ამ Chr. géor. ქართული ტექსტი, 113—128).

ქართულ ისტორიულ თხზულებათა შორის უძველესი და უმთავრესი, ესე იგი ქართლის-ცხოვრება ვასტანგ მეფისა არ აღმოჩნდა ჰარბიუში, ამ «ცხოვრებაზე» აწიურ საზოგადოებას ჰქონდა ცნობა მხოლოდ იმ გამონაწერით, დასაწყისიდან ფარნავაზ მეფის სიკვდილამდე, რომელიც ვლადიმერ შუტანს თავის «მოგზაურობაში» (Voyage au Caucase et en Géorgie) და რომელიც აქედამ სენ-მარტენს ჩართო თავის Mémoires-ში, II, p. 182—192, 195—200). საზოგადოებაში იცოდა აგრეთვე, რომ ერთი ეგვიპტელი ქართლის-ცხოვრებისა იპოებოდა რომის ვატიკანში (Chr. géor., 1820, p. x Ivij). არა თუ ვასტანგის ქართლის-ცხოვრება, თვით ვახუშტის საქართველოს ისტორიაც არ ყოფილა ჰარბიუში. იქ აღმოჩნდა მხოლოდ ორი ქართული კერძო ქრონიკა: ერთი ხმათგანი იპოეს შულცის ქაღალდებში, იმათ რიცხვში ქართული შემოკლებული გრაჰმატიკა, არ იცინა ვისი, საფუძველი ქართლისავე ლოლიკისა და ორიოდე კვლესიების წარწერები. ამ შულცზე ხვენ ის ვიცით, რომ იმან სენ-მარტენის ინსტრუქციით აკისრა 1830 წ. სამეცნიერო მოგზაურობა საქართველოში, მაგრამ ქურთებმა მოკლეს ადგილობრივ გზაში ქრონიკა შულცისა იყო ქართულიდან სომხურს ენაზე ნათარგმნი და შეიცავდა მოკლე ქართულ ისტორიულ მოთხრობას 1201 წლიდან 1757 წლამდე. ამ ქრონიკის თარგმანი ფრანგულ

ენაზე იწყო სენ-მარტენმა და დაახლოვდა ბროსსემ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბჭი იყო ვარიანტი, თვით ვახუშტისაგან ჩართული იმის ქართულს ისტორიაში. რაიცა შეეხება აზიურის საზოგადოების მეორე ქრონიკას, ის არის Chronique géorgienne—«ცხოვრება საქართველოსა» უცნობის ავტორისა, დაბეჭდილი ქართულის ტექსტით იმავე ბროსსესაგან საზოგადოების საჩუთ 1830 წელს პარიჟში და შეიცავს მიმოხილვას საქართველოს ისტორიისას 1373 წლიდან 1703 წლამდე. ეს ქრონიკა პირველის ქრონიკითურთ მეორედ დაბეჭდა 1838 წ. სანკტ-პეტერბურგის აკადემიის შემუშავებაში შესწორებული სხვა-და-სხვა ვარიანტებით.

რადგანაც აზიურის საზოგადოების წევრნი, ვინც კი ზეინის მწერლობის შესწავლას შეუდგა, ერთი მეორის შემდეგ დაინახნენ და ამ ასპარეზზე დარჩა მხოლოდ ბროსსე და იმან მარტო-მარტომ განაგრძო თანისი შრომა 1880 წლამდე, საჭიროდ ვრაცხო, ვიდრე ამ შრომას გამოვიკვლევდეთ სოკოიერთი ცნობები გადავცეთ ჩვენს მკითხველს ბროსსეს პირდაპირადად და იმის მოღვაწეობის თვისებაზე.

მარი ივანეს ძე ბროსსე დაიბადა პარიჟში 5 თებერვალს 1802 წ. ის იყო ღარიბის ღედ-მამის შვილი, ღე ემაწვილობითვე ემზადებოდა სასულიერო წოდებისათვის. ბროსსემ მიიღო სრული სწავლა ორლეანისა და ორს პარიჟის სემინარიებში; მაგრამ უარ-ჰყო სასულიერო წოდება და მიჰყო ხელი აღმოსავლეთის ფილოლოგიას, რომელიც შეიყვარა სასწავლებელშივე, სადაც სწავლობდა ებრაულს და არაბულს ენებს. ხუთის წლის განმავლობაში ბროსსე სწავლობდა ჩინურს ენას და ლიტერატურას და კიდევ გამოსცა რამდენიმე თხზულება ჩინეთზე; ბოლოს დასტოვა ჩინური ენაც და შეუდგა ქართულ ენას. ამ შემ-

თხვეკაში ბროსეს თავდაპირველად ხელ-მძღვანელად ჭეკანდა სენ-მარტენი. თვით იმის სიტყვით, 1824 წელს ახელ რემი-უზამ 22 წლის ბროსეს წარუდგინა სენ-მარტენს, რომელმაც ის დანახლოვა და მთელი თავისი ბიბლიოთეკა გაუხსნა ქართულის მწიგნობრობის შესასწავლებლად. რადგანაც იმ დროს, როდესაც ბროსეს გამოვიდა ჩვენის მწერლობის ასპარეზზე, ეკრძა ვიულ ენებზე არ იყო სახელმძღვანელო ქართულის ენისა და არ იყვნენ იმისნი მასწავლებლებიც, ბროსესმ მიჭმართა იმ მე-თოდს, რომლითაც, — როგორც საფუძვლიანის მეთოდით უცხო კაცისთვის — თვით სხვანიც ხელმძღვანელობდნენ. აიღო ხელში რაი სახარება, ერთი ქართული, მეორე იმ ენაზე, რომელიც მას ესმოდა გარკად და ერთსა და იმავე დროს სწავლობდა ქართულის ენის სიტყვებსაც და გრამატიკულ აგებულებასაც და როდესაც ამ გვარად შეისწავლა საკმაო რიცხვი სიტყვებისა, და გრამატიკის ძეგლები, მჭიდროს სამხრეკელი სწავლისა დაიღო. რამდენისაჲე წლის განმავლობაში ბროსესმ იმდენად შეითვისა ქართული ენა, რომ შესძლო თარგმანი ქართულიდან ძრანცუზულ ენაზე, ქრონიკის გარდა, ვახტანგის სჯულისა და უძველესის ჩვენს ჰოქმათა შორის რუსთაველის «კეფხის-ტყაოსნისა» მთლად (Éléments de la langue géor. p. XI et XVI). აქ ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ბროსეს შემწეობისათვის სან-და-სან მიჭმართავდა ხოლმე ჰარიუში შემთხვევით მისულ ქართველებს. იმათ შორის ბროსეს იხსენიებს იმერეთის სამეფო სახლის შვილს ტარიელს, მუსულმანის სჯულით ჭაიდან-ბეგს, რომელიც ორჯულ თურმე იმყოფებოდა ჰარიუში, ოსმალეთიდან შესული, 1831 et 1833 წ. განსაკუთრებითი სამსახური მიაგო მანი ივანეს ძეს, როგორც იმის ყოფნის დროს ჰარიუში, აგრეთვე შემდეგ კადა-

სახლებისა ჰეტეროურგს, ჩვენმა ბატონი-შვილმა თეიმურაზმა, რომელსაც ბროსსე დიდის პატივისცემით იხსენიებს. აი რას ამბობს თეიმურაზზე ბროსსე თავის სიტყვაში, რომელიც მან პირველად წაიკითხა 1838 წ. პეტერბურგის აკადემიის საზოგადო კრებაში: «მე არ შემიძლიან წარმოვსთქვა, თუ არ აღტაცებით და მოწიწებით, სახელი თეიმურაზისა, რომელმაც შეკავშირებულ არიან ძალადი ზნეობა, დიდად გახსნილი გონება და ვრცელი ცოდნა, რომელიც ლიტერატურულ მოღვაწეობაში ჰპოებს კეთილშობილურს დროს-გატარებას და რომელსაც მიზნად აქვს თავის შრომით აუგოს თავის მამულს ძველი უკვდავებისა, რომელიც ერთის სიტყვით, სკინიდისით უნდა აღვიარო მე ჩემ ხელ-მძღვანელად და მასწავლებელად. ან კი შემიძლიან მე—აბოლოებს ბროსსე—აღვრიცხო ამ პატიოსან კრებაში ყოველივე თეიმურაზის ღვაწლი, რომელიც უძაღვლეს მცენიერების წარმომადგენელს ვაღებულად ჰხდის მის წინაშე?»

ამ თეიმურაზზე ჩვენა გვაქვს შემდეგი ცნობა: ის იყო შვილი უკანასკნელის საქართველოს მეფის გიორგისა. არ ვიცით, როდის დაზადებულა თეიმურაზი; ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო აღზდილი თელავის სემინარიის რექტორის, დავით ალექსიძისაგან და რუსების შემოსვლაზე საქართველოში, ციციშვილის მთავარმართებლობაში, 1803 წელს, თეიმურაზი და ამისი ბიძა ბატონიშვილი ალექსანდრე ლეკების ჯარში ებრძოდნენ იმათ აღაზანს გაღმა და როდესაც ლეკები დამარცხდნენ ბელაქანში, თეიმურაზი გავიდა თავრიზს. შემდეგ, 1805 წ. თეიმურაზს კბოულობთ სპარსეთის წყობაში, რომელსაც ბძანებლობდა პირ-კუდი ხანი, კარაკლისის აღების დროს, სადაც რუსები დამარცხდნენ. 1810 წ. ახას-მირზის ჯარში თეიმურაზი არტილერიის ნაწილს უფროსობდა, მაგრამ ნება-ყოფლო-

ბით დაჭმობნილდა გენერალ ტომოზოვს, რომელმაც ის პეტერბურგში გაისტუმრა. თეიმურაზს ჭევენდა ცოლად გორის მოურავის ოთარ ამილახვრის ქალი, ელენე; ისინი დაჩხნენ უშვილოდ. როგორც ვიცით, თეიმურაზმა სიკვდილამდე დაჭეო პეტერბურგში, შეისწავლა ენები, იმათ შორის ბერძნული და ლათინური და მთელი ცხოვრება შესწირა თავის მამულის ღიტკრატურას. თეიმურაზმა სთარგმნა ქართულად ძრანცუზულიდამ—სამხედრო რეგლამენტი ნახოლეონისა; რუსულიდამ—სამხედრო ტაქტიკა კარტებით და პლანებით; საანთიმეტიკო და სამატემატიკო პროპორციები; არისტოტელის წიგნი კეთილზე და ბოროტზე; ციცერონის თხზულება ღვთაების ბუნებაზე; სპარსულიდამ—ათი გვირგვინი ანუ წიგნი ოსეობაზე სპარსთათვის შაჰი ანუ შირვანისა. საგუთარნი თხზულებანი თეიმურაზისანი არიან: მოკლე შთამომავლობის ხე კავკასის დინასტიისა სპარსეთში; წიგნი ქართულის აღძვარებისა, ჩართულის ხელისა, მხედრულისა და ხუცურის ასომთავრულისა, გადმოღებულნი თვით თეიმურაზის მიერ თბილელის ნიკოლოზოზ რაბელისანის რეგინალიდამ; მოკლე მოთხრობა არმანის კერპზე; დაარსება და შემდეგი ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე; როდის და როგორ დაიჭირეს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო; ვრცელი ისტორია ივერიისა, ძველი და ახალი, რომელიც შეიცავს ქართულ გარდამოცემას და მომეტებულ ცნობებს ბერძნულ-ლათინურის ავტორებისას და აგრეთვე ევროპელთა ისტორიკოსთ გამოკვლევას. პირველი ნაწილი ამ ისტორიისა, რომელიც შესწუდება არმანის დასასრულზე, დაიბეჭდა 1848 წ. პეტერბურგში; მეორე ნაწილი კი არ გამოსულა. როგორც ხედავთ, თეიმურაზს ჭქონდა მიწერ-მოწერა აზიურ საზოგადოებასთან, რომელმაც უგზავნიდა

სსკა-და-სსკა ცნობებს, იმათ შორის ცნობილია ვრცელი სტატია წარსულის საქართველოს შინაგან მდგომარეობაზე და დისსურტაციის ბაგრატიდებზე მეჩვიდმეტე საუკუნეში ვახტანგ მეექვსის სიკვდილამდე. აი ეს არის ის ღვაწლი, რომელიც, ბროსსეს სიტყვით, თეიმურაზმა დასდო მეცნიერებას. ჩვენის თქმით, სამეცნიერო ღვაწლადვე უნდა შეირიცხოს თეიმურაზის მხრივ თვით ის გარემოება, რომ შემდეგ თავის სიკვდილისა, რომელიც მოხდა 1846 წ., თავისი მდიდარი და ძვირფასი ქართული ბიბლიოთეკა მთლად დაუთმო პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას. ვრცელი კატალოგი რეგორც ამ ბიბლიოთეკისა, ბრეტვე ყველა ძეგლისა და სახლის თხზულებებისა და თარგმანების ქართულ ენაზე, რომლებზედაც ჭეშნადა თეიმურაზს ცნობა, თვით თეიმურაზის მიერ შედგენილი, დაბეჭდილია ძრანცრულ ენაზე აკადემიის მეფარებაში. (იხილეთ Discours... 55—114). შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომდენა მასადა გამკრობა თეიმურაზის ბიბლიოთეკიდა მბროსსემ თავის ნაღვაწში.

მიუბრუნდეთ ისევ ბროსსეს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამის შრომას საქართველოს ისტორიაზე ყურადღება მიაქცია საფრანგეთის მმართველობამ: კაროლმა კარლოს მეათემ ისურვა ბროსსეს გაგზავნა სენ-მარტენის პროგრამით საქართველოში ჩვენის არსელოვრის გამოსამიებლად: საუბედროდა, ეს მოგზაურობა შეაბკოლა 1830 წლის რევოლიუციამ.

ამ დროს პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი გრაფი უვაროვი ცდილობდა გაეცხოველებინა რუსეთში შესწავლა აღმოსავლეთის ენებისა და ისტორიისა და ამ აზრით უბედა აკადემიისთვის ჩვენის მხრის მწერლობის ღირსეულს წარმომადგენელს. უვაროვი მიჭმართა სასელ-განთქმულს სილ-

ვესტრ დე სასის, რომელიც დაახლოებით იქნობდა მარი ივანეს ძეს, როგორც ნიჭიერს, კეთილ-სუინილისაანს და შრომის-მოყვარე მსწავლულს. სილვესტრ დე სასის აზრით მხოლოდ ბრძანსეს შეეძლო სსენებულის კათედრის დაჭერა. ამ გვარზე რეკომენდაცია მისცა სასელ-- განთქმულმავე ორიენტალისტმა ფრენმა და ბრძანსე 34 წლისა დაინიშნა რუსეთის აკადემიის ადიუნკტად და 1837 წელს გადმოსასლდა პეტერბურგში.

ლიმიტრი ბაქრაძე.

(შემდეგი იქნება)

გაზაფხულდა

გამოზაფხულდა, გათბა დღე, შამოგვესინა მერცხლები,
ბუდე მიაკრეს ჭერშია, დადეს ნაჭოროფლი კვერცხები,
იქვე სსდებიან ტუუზადა, დასჭიკჭიკებენ ტუბილადა,
დროა ხეუნტ გამოვიღვიძოთ, რას მივარდნილვართ ძილადა?...
დროა ღობისა, ბარვისა, მოთხრა კაჭაჭის ფესვისა,
დროა მიწასთან ბრძოლისა, დროა სუნისა და თესვისა...
არქა, ბიჭო, კინქართო,—ინქარის ყველა სულგმული,
კარგ ნიშნებს ვსედავ, ჯვთის ძაღლმა, უსაქმოდ მიწუსს სულ
გული!...

თ. რაფ. შრისთაფი.

წერილები

ლორენსო ბენონისა.

(შემდეგი *).

თავი VIII

არეულობა. — მაგალითი მტარვალს.

მეორე დღეს დილით, ათი საათი იქნებოდა, რომ მამრ-
რექტორის ბძანებით, მე და თავადი განგვათავისუფლეს. ჩემს
ამხანაგებმა დიდის აშითა და ყოფით მიმიღეს. მე ძალიან ჰა-
ტივ-ცემული ვიყავი ჩემის ამხანაგებისაგან, რადგან, რასაც ვი-
მთხროდენ, ყოველისფერს ვუსრულებდი. ჩემს გარდა სხვა არა-
ვინა შეელოდა გაჭირვებაში. ამისათვის დიდად დავაკლდი, რა-
დესაც საზურობილეში ჩამსვენს. ესლა ვი მილოცავდენ განთავი-
სუფლებას და მეც მადლობას ვუსდიდი მათ.

აღძრედი და ძრედერივი თვალ-ცრემლიანი მომეგებნენ და
მე ვერ ვამეგო ამათ ცრემლების მიწეში. ისინი ჩემს დატუ-
სალებას იმას აბრალებდენ, ვითომ ჩვენი დაწეობილება გაეგოთ
და მეც თავისუფლებისათვის ვიტანჯებოდი. ერთი-ორი სიტ-

*) «ივერია» № 2, 1883 წ.

ყვა ვუთხარ მათ და ტყუილი ფიქრები გაუფანტე. ისიც შეკატყობინე, რომ მზად ყოფილიყვნენ ჩემს დამსახურებად.

სადილს უკან აღტყედი, თავადმა და მე ვითათბირეთ. ერთმანერთის თანხმობით, ჩვენის დაწყობილების შესასრულებლად დავნიშნეთ მეორე დღე. ჩვენ დავაწყეთ, რომ საუზმეზედ მუქთად გვექმია ჩვენის მომხრეებისათვის კარგი ტკბილი საჭმელი, როგორც კი შეიძლებოდა ქალაქში გვემოგონა (ამის ხარჯი სამთავრო ვიკისრეთ). ანასტასი რომ დანახავდა ამისთანა საჭმელებს, დასარბდებოდა და ეცდებოდა აეღო რამე. ამით დაიწყებოდა ჩვენის ხსების თავი. რომელსაც კი ანასტასი საჭმელს სთხოვდა, წინააღმდეგობა უნდა გაეწია. ყველამ შევფიცეთ ერთმანერთს, რომ აჩაპის აჩაფრისა შექმნიდებოდა, რადგანაც თავადი, აღტყედი და მე ახლავ ვიქნებოდით, და თუ საჭირო იქნებოდა, მივეშველებოდით. ყველასვე საჭირო ამ საჭმეში უფრო ის იყო, რომ ყველანი დინჯად მოექცეულიყავით და საჭმე უდროვოდ არ დაგვეყო. ეს საჭმე კიდევ იმ დრომდე არ უნდა დაწყობილიყო, ვიდრე მე არ ვანიშნებდი და, თუ საჭირო იქნებოდა. უნდა დაეუვირათ: «აღარ გვინდა მტარვალი!» ეს რომ დავაწყეთ, ერთმანერთს გავმოხრდით. აღტყედი და თავადი წავიდნენ, რომ სხვა ამსახურებისთვის გადაეცათ ჩვენი დაწყობილება, მე კი მარტო დავრჩი, ვფიქრობდი ჩვენს საჭმეზედ და თან ხელის ნაბიჯით დავდიოდი ეზოში, დაღონებული, როგორც ბრუტი ცეზარის მოკვლის წინაღ.

ანასტასის დასამარცხებლად სწორედ კარგი დრო ამოვიჩიე. მე ამოვიჩიე საუზმის დრო პირველად იმისთვის, რომ ამ დროს ყველა თავის საუთრებს გაუფოხნილდებოდა და მამსადამე ყველა მონაწილეობას მიიღებდა ანასტასის დამარცხებაში; მეორედ იმისთვის, რომ ამ დროს ჩვეულებისამებრ

პრექტები სამეცადინო ოთახებიდან გადიოდნენ სხვა ოთახებში და მე მინდოდა ამ ამბის დროს ჩვენი პრექტები გარედ უფიქროსო და იმისგან დაბრკოლება არ მოგვცემოდა.

დრო ახლოვდებოდა. წვიმიანი და ბურუსიანი დილა იყო. ჩვენი განუფიქრებელი ისეთივე მოღრუბლული და შექმუსნული იყო, როგორც ეს დილა.

აი დაჭკრა საათმა; მე ჩემ მომხრეებს გადავხედე: ყველამ ისეთი თვალით შემომხედეს, თითქოს მეუბნებოდნენ მზადა ვართო.

ერთი წუთი არ გასულიყო, რომ ყველანი პურის ნაჭრით ხელში დაბრუნდნენ ოთახებში. პრექტები წაღივად გავიდა. ანასტასია მსიარულად იწმენდა სულებს, ჩამოგვიარა და დაიწყო დათვალეობა. ის განსაკუთრებით ათვალეობდა ჩვენ წინ გაშლილს სილს: ვამის, მსხალს, ფორთოხალს, ნუშს, ჩამის, კარაქს, შეკოლადს და სხვას. ანასტასია ორი მომხრე იგეს-და-იგეს უკან მოსდევდა. «ეს რა ქეიფში ხართ?» სთქვა ანასტასიას სიცილით: „თქვენგანს ვისძეს ლატეკრეიაში სომ არაფერი მოუგია? რა კარგი ფორთოხლებია, განაგრძო მან და მიიშვირა სელი ერთის ჩვენგანის ყუთზედ: სწორე გითხრა აქ ამისთანა ფორთოხლები არსად მიქამია, პირში ჩერწყვი მომგვარეს. ჩვენ სომ ერთმანერთის კარგი მეგობრები ვართ და იმედი მაქვს ყველას ძმურად გავიყოფთ.“

— ძალიან ვწუხვარ! მიუგო ფორთოხალის პატრონმა: — რომ შენ იმათ გემოს ვერა ნახავ.

— ჭკუასეგ სომ არ შეიშალე; უთხრა ანასტასიას: ან იქნება გინდა, რომ ძალად წაგართვათ?

ამის შემდეგ დასტაცა სელი ერთს ფორთოხალს, თუმიცა იმის პატრონი ძალიან ცდილობდა არ დაეხებინა. ჩხუბის დროს

მე მივედი მათთან ჩხუბში მონაწილეობის მისაღებად. უკან მომ-
დგედენ თავადი და აღძრედი, ორივენი ანასტასის და იმის
მომსრეების შუაში ჩადგნენ, რომ დაეშორებინათ ერთმანეთი-
სათვის... გული ძალზედ მიცემდა.

— ძალად წართმევა იქნება? ვუთხარი მე.— რა უფლებით
ართმევ ძრანსეგოს ფორთოხლებს.

მტარვალი გაუვითლდა.— შენ რა საქმე გაქვს? მომიგო მან
ცოტა სნის სისუმის შემდეგ.

— მაშ ვისა აქვს საქმე, მიუუგე მე:— მინდა ვიცოდე რა უფ-
ლებით იღებ სხვის ფორთოხლებს.

ჩემმა ჩისანმა სიტყვებმა ცოტა არ იყო შეაშინა ანას-
ტასი, რომელმაც აღარ იცოდა, რა ჰასუსი მოეცა.

— შენ შენის ღონით მოგაქვს თავი? მაშ აბა ენასოთ, ყვე-
ლასზედ ღონიერი სარ, თუ არა. რადა გგონია, რომ ჩვენ ყო-
ველთვის ავიტანთ შენს მტარვალობას? თქვენ რას იტყვიით, ბა-
ტონებო? კვითსე მე შეგირდებს, (რამდენიმე დაიძასა ,,კერ
ავიტანთო...“) მე კი ვიფიცავ, რომ შენს სამაგულს ქცევას ვე-
ლარ ავირჩან. დაიკარგოს მტარვალი!

— დაიკარგოს მტარვალი! გაიმეორა ექვსმა შეგირდმა.

— დაიკარგოს მტარვალი! გაიმეორეს ყველამ ექვსის შეგირ-
დისაგან გამსხვეპულებმა.

— ნუ ვვირით! დაიუვირა ჰრექეკტმა, რომელიც კარებში
გამოჩნდა, მაგრამ როდესაც შეგირდები დაჩუმიდენ, იგი მაშინ-
ვე უკან გაბრუნდა. წინად სმა-ჩაკემენდილმა ანასტასიმ ჰრექეკ-
ტის დანახვასზედ ვიდევ სმა აიმაღლა.

— რას ნიშნავს ეს სსსსცილო ამბავი? ივითსა იმან; თან
ტუხები უკანალებდენ ბ ისეთი ყვითელი იყო, როგორც ქარვა.

— გაფთხილდი, რომ ეს სსსსცილო ამბავი სატირულ ამბად

არ გადაგეჭტეს. მიეცი ძრანჩესკოს თავისი თეორიოზალი, დროით!

— არაფერსაც არ მიეცემ.

— მე შენ ძალათი მიგაცემინებ, მივეუბნე მე და ვიპოვე ანასტასის; მე მომეყენე ალტრედი და თავადი. ამით დაიწყო საშინელი ჩსუბი. ყველანი ეძებნენ ანასტასის. „პიეტრო, ჯოკანი, მიშველეთ!“ ყვიროდა მტარვალის ძალაღის სმით. მაგრამ პიეტრო და ჯოკანი მისვდენ სანთ მხარეს იყო გამარჯვება; და, როგორც კარგი მტველები მტარვალისა, იქით გადავიდენ. ანასტასის ძასილზედ სიცილით მიუბრუნეს:— „ჩვენ აქა ვართ! აქა ვართ!“ მართლაც მივიდენ თავიანთ უწინდელ ბატონთან და დაუწყეს ბეჭებში ცემა.

ანასტასი სულ გადიროს მათის ამ გვარის ქტევით. ჩვენ გვეგონა არ დაგემორჩილებოდა, მაგრამ ჩვენს ძალას წინ ვერ აუდგა და დიდის მოთმინებით იტანდა ცემას. დაჩოქილი და თვალ-ცრემლიანი გვესველებოდა, რომ არ მოგვეკლას, — ეგონა რომ მოკვლას ვუბრუნებდით. მე, ალტრედმა და თავადმა ძლივს მოგსზეთ ეს ჩსუბი, რომელმაც გულში რჩინაირი სიმულილი აღგვიძრა: ჩვენ შეგვენიზლა სილანჩე დამარცხებული-სა, რომელიც აქამდის უსიჩცხვილოდ სხაგრაგდა შეგირდებს ჭიმის მოსების ქტევაც, რომელნიც აქამდის ანასტასის ბრძალ ემორჩილებოდენ, მაგრამ შეძდეგში არც კი ეს მოხები იტანჯებოდენ ნაკლებად.

ეს ყოველივე ძალე გათავდა, ასე რომ, როცა პრეპეტო სელასლად გამოჩნდა კარებში, ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ანასტასი იჯდა თავის ადგილს და თავჩაღუნული სტიროდა, მაგრამ ნუგეშს არავინ აძლევდა. ამჯანყებლები საშინლად და შეუბრალებლად დასცინოდენ მას. „მოხნია სტირის“, სთქვა

ერთმა — „აწა, ტყუილად შერება ეგრე“, სთქვა მეორემ; „თუ სტირის, სწორედ ფორთოხასფისთვის სტირის.“ — „თქვენო დიდებულეებო, გთხოვთ მიიღოთ თქვენის ქვეშევრდომისაგან ეს საწინააღმდეგო“, სთქვა მესამემ, სამასსაწოდ დაიხრქა ანასტაზის წინ და მიუტანა ცხვირთან მურხაბა-გაგლეხილი ზური, რომელიც თითონვე საჩხარით შესჭამა.

ყოველის მხრიდან მიუქანა, დაცინვა და ლანძღვა ისმოდა. — „იტირე, მოხვენებაჲ! შენ რამდენჯერ ატირებდი სხვას! — განა გენახებოდი, რომდესაც სხვებს უბძანე კარგა ვეცემეთ!“ — „ჰო, შენ ესლას აღარ იცინი, მაგრამ წინად ხომ გეცინებოდა სხვის ცემასზე!“ — „ჩემო საყვარელო მეგობარო, ჩვენ ვიდრე გასასწორებელი ვართ: სად არის ის დანა, რომელიც შეწამართვი?“ — „სად არის ჩემი ზურთი?“

ანასტაზის ყოველის მხრიდან ლანძღვა ესმოდა, ვიდრე ერთმა გულ-დამწვარმა მოწაფემ არ შექყვირა: ვინ გვიძლის რომ უგანვე გამოვართვათ, რაც ჩვენ გვეუთნოდა?“ — „მაგას მართლას ამოობ“, მიუგეს სხვებმა. იმ წუთშივე მისცვივდენ ანასტაზის ყუთს; თვითონ ანასტაზიმ კი თავს უშველა და დაიმაჯა.

მარტო მე გაშოშმინებული მეტის-მეტად გაბრახებულებს ჭკობიანი დაუცვლათ წესიერება თავიანთ ნივთების დარჩების დროს. მაგრამ ჩემს თხოვნას აცაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდა ამისთანა არეულობაში. ერთ წუთში ამოაქოთეს ამის ყუთი, იჭიდამ მარტო ის კი არ ამოიღეს, რაც იმათ ეუთვნოდათ, — ყუთიც კი დაამტვრიეს და რაც კი ანასტაზის ეუთვნოდა იყვით გასოთელეს, წიგნები, კალმები, ქაღალდები, — ერთის სიტყვით, რისაც გათუქება ვერ მოახერხეს — ფანჯრიდან გადაყარეს.

სულ-გამეღილი ვუყურებდი ამ არეულ-დარეულობას და აქვე, ჩემდა საუბედუროდ, ზირკულად დაკრწმუნდი, რომ ხალხის აღელვება უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე დამშვიდება. ჩსსაც ამ წუთში კვდნობდი, შეძღვეში არა ერთხელ მომგონებია, როდესაც რევოლუციების ამბებს ვკითხულობდი და როდესაც მე თვითონ ვიღებდი მონაწილეობას რევოლუციებში.

როდესაც ღრცვის შარი დაჩეკეს, მე თავისუფლად ამოვისუნთქე და გულში ვამბობდი, რომ ანასტასის ესლა მინც თავს დაანებებენ, მეოჟი... მაგრამ ამაში მოკტყუვდი: იმას ვიდევ სხვა ტანჯვა უნდა გამოელო. აკედით თუ არა კიბესედ, ურთმა საშინელმა აზრმა გაუარა ყველას თავში: „ანასტასის ძმარი გამოგსწოროთო.“ ძმრის გამოწოგვა სკოლელების აზრით ნიშნავდა იმას, რომ დამნაშავე კედელზე მიეჭულიტათ, მსოლოდ მოკვლით ვი არ მოკვლათ. ღვთის მადლით, ზრეძეკეტი მოვიდა სწორედ იმ დროს, როდესაც კედელზე მიეჭულიტილს ანასტასიოს ტუხები ვიდევ გაულურჯდა.

სუთ დღემდის ამ ნაირად აწვალბდენ მას. როდესაც ვი წვალბას თავს ანებდენ, ისე კრიდებოდენ, როგორც ტირიანს. ხანდისხან ზირობას სდებდენ, რომ სმა არავის გაეცა და ვაი იმას ვინც ამას არ აასრულებდა. იქამდის მივიდა საქმე, რომ ყველას შეეძლო ანასტასისთვის ებმანებინა: «ანასტასი! მომიბებნე ესა და ეს ნივთი; აიღე ჩემი ბურთი; წყალი დაასხე ჩემს ყვავილებს და სხვა.»

ასეთი იყო იმის მდგომარეობა ჩვენს განყოფილებაში: ჩვენს გარედ, რომელ კლასის შეგირდებსაც ვი შეეურობოდა, ყველანი დასტინოდენ და ღანძლავდენ. ამ გარემოებამ ისე შეაწუსა ანასტასი, ისე გამოიცვალა, რომ მესუთე დღეს კაცი სრულიად კვლარ იცნობდა. მომაკვდავსავით ჩაყვითლდა და არავის არ ებ-

წალებოდა მე და აღძრედის მეტს.

უფროსებს უნდოდათ იმის მიქომავება, მაგრამ ვერას
განდენ, ამით უფრო აღეკვებდნენ შევირდებს. ბოლოს საქმე
იქამდის მივიდა, რომ უფროსებმა განიზრახეს იმის დაცვა შე-
ვირდების სიბრძნისაგან, რისგამოც ანასტასი განგებ საავად-
მყოფოში გაგზავნეს, სადაც ორ დღეს იწვა. მამა-რექტორმა
სთხოვა მშობლებს რამდენიმე სწით წაუყვანათ იგი, ვიდრე შე-
ვირდები დამშვიდდებოდნენ. ერთის თვის უკან ისევე მოვიდა,
გაყვითლებული შემოიყვანეს კლასში იმისმა მშობლებმა და
გოთსოვეს დანაშაული გვეზატივებინა.

ასეთი ტანჯვა და წვალება გამოიარა ამხარტაკანმა და
მტარვალმა ანასტასი.

თავი IX

მმართველობის დადგინება და რომელი პატივისცემა
(ჯრიუმფი).

წასაკვირველია, მეითხველს ესომება, რომ მეც მსურვა-
ლე მონაწილეობა მივიღე მტარვალობის მოსზობაში და თავის-
უფლების დამყარებაში. მე არ ვიცი, შესძოდა თუ არა კარგად,
რასა ნიშნავდა ესა, მაგრამ სიტყვები «მტარვალობის მოსზობა,
თავისუფლების დამყარება» იზიდავდა ჩემს გულსა. ცამეტის
წლის უმაწვილს ძალიან ძალე გაიტაცებს სოლმე ასეთი სიტ-
ყვები და თუ ესენი წარმოსთქვა, საქმე შესრულებულად მიან-
ნის.

თუნდ რომ ვიდრე ეს არის არა უოფილიყო ჩემის ოც-

ნების საყვარელი საგანი, მაშინაც კი ის საშინელი არეკ-დარეკ-ვა, რომელიც სუიუკვდა ჩვენს კლასში ანასტასის დამარცხების შემდეგ, მაიძულებდა შემომეღო რამე განონები და მომეთხოვა ყველანი მას დამოჩნილებოდენ. ჩემის აზრით მხოლოდ ამ ღონისძიებით შეიძლებოდა თავისუფლების დაცვა მტარვალე-ბისაგან. სწორე უნდა გითხრათ, თვითონ თავადისაც მეშინოდა—ვაი თუ უფლება სელში ჩაიგდოს მეტქი. მაგრამ ეს შიში ტყუილი იყო: თავადი იმიტომ კი არ იყო საშიშარი, რომ უფლებას სელში ჩაიგდებდა, არამედ იმიტომ, რომ ვაი თუ მეტის-მეტის გულ-მოდგინებით და აღტაცებით თავისუფლების საქმე წაესდინა.

მეორე დღეს, ანასტასის წასვლის შემდეგ, თავადის და აღტაცების თანხმობით, შეკვრივე მთელი განყოფილება ჯ მოვასსენე მოკლედ ჩემი აზრი განონების დაწერაზე და აგრეთვე მმართველობის დაარსებაზე, რომლის მოვალეობაც იქნებოდა უური ეგდო, რომ ყველას განონები აესრულებინა. ეს აზრი ყველამ მოიწონა, და როდესაც მოწაფეების გამოსაცდელად წარმოვსთქვი სიტყვები: «რესპუბლიკა» და «კონსულური მმართველობა», ყველანი აღტაცებაში მოვიდენ. ამით წაქეზებულმა შეკვირე: «ვისაც რესპუბლიკა გინდათ, სელი აიშვირეთ.» ყველამ სელები აიშვირა. მაშინ, თავადის წინადადებით, მე მომანდეს დამეწერა კონსტიტუციის პლანი, და რაც შეიძლებოდა ძალე წარმედგინა ხალხისათვის დასამტკიცებელად.

საკვირველია, მაგრამ სრულიად მართალი კი, რომ პიემონტში, იტალიის იმ ნაწილში, რომელსაც მტარვალთა მმართველობა განაგებდა, — საზოგადოების აზრი რესპუბლიკის თანამგერძნობელი იყო. საბერძნეთისა და რომის ისტორია — ერთად ერთი საგანი იყო, რომელსაც ჩვენს სკოლაში კარგად ასწავ-

დიდენ. ამ ქვეყნების ისტორიაში რესპუბლიკას დიდად აქედნენ და იმპერიას ვი დასცინოდენ.

ამხანაგებისგან მონდობილი კონსტიტუციის განონების შედგენა ერთს დღეს გავათავუე. კონსტიტუცია შესდგებოდა ოთხმოცის მუსლისგან. ძალიან ვწუსკარ, რომ ესლა იმ კონსტიტუციის პირი აღარა მანქეს, იქნება ესლანდელს სასკემწოთოებს გამოსდგომოდათ. მე იმ კონსტიტუციისა რამდენიმე მუსლი დამასსოკდა, რომელთაც აქვე ამოვწერ:

მუს. 8. ნაციონალიური უფლება ეკუთვნის მთელს განყოფილებას. სმის უძრავკესობით ეს უფლება ჩაჭბარდება ორს კონსულს, რომელნიც დაიცვავენ თავისუფლებას და გაასამარხოლებენ სალსს.

მუს. 5. ეს კონსულები აღმოიჩნევიან ექვსის თვის ვადით. ვადის გათავების შემდეგ სკემოარედ ორივეს ერთად ამოიჩნევა ან შეიძლება, ერთი ვი შეიძლება ამოიჩნეს.

მუს. 16. სალსის ძიზიკურად დასჯა გაუქმებულია, რადგანაც ასე დასჯა თავისუფალს ვაცს ან შეეფერება.

მუს. 18. რესპუბლიკის წინაშე მოლაღატე ვაიდვენება სამშობლოდგან. ამ განჩინების დადგინება მსოლოდ მთელს სალსს შეეძლება, წინადადებას ვი კონსულები შეიტანენ. ამ ვაკრად დასჯილი ვაცი ჭკარგავს ყოველს თავის მოქალაქურს უფლებას.

ჩემის კონსტიტუციის პრეკტი ყველამ ერთ-ხმად მიიღო, მსოლოდ თავადის თსონით დამატებულ იქმნა შემდეგი მუსლი: «ყოველივე საჩისნი და წოდება გაუქმებულია». ამ წინადადებისათვის იმას ამხანაგებმა ტაში დაუერეს.

მერე შეკუდექით კონსულების ამოიჩნევას. ვადამდგარმა თავადმა, რომელიც თავის თავს მარტო ვუსეხეს უძინდა და

სხვა ამხანაგებმა ყველამ ერთ-ხმად მე ამომიჩიეს. ამავე დროს ამოვიჩიეთ ორი ლექტორი; აჩიევანი იმ ორს ძმას შეხვდა, რომელნიც უწინ მტარვალ ხნასტაზის ყურმოჭრილი მონები იყვნენ. ბოლოს ჩვენს ამომჩიელებს მადლობა გადავუხადეთ და დავადგინეთ, რომ რესპუბლიკის მართვას ჩვენ ოთხის დღის უკან შევდგომოდით; ამ დღესვე უნდა დაგვეფიცნა, რომ კონსტიტუციას ერთგულად ვემსახურებოდით.

ჩვენის აზრით, ჩვენის განყოფილების ღირსება თხოვლობდა, რომ სახლის კანონების შემოღება დიდის ამბითა და ყოფით ყოფილიყო. ამისათვის ოთხი დღე ვადა არ იყო დიდი ხანი, რომ მოვმზადებულიყავით ამ ზატარა დღესასწაულისათვის, რომელიც დაუვიწყარი უნდა ყოფილიყო სკოლის მატრიანში.

ამის შემდეგ ჩვენი ზატარა რესპუბლიკა სწორედ ფურცლის სკას დაემკნას. ყველა იმაზედ ჭფიქრობდა და იმისთვის ირჩებოდა, რომ რომაული ტრიუმფი მოგვემზადებინა. ეს ბედნიერი აზრი ძეგუთვნოდა მხოლოდ მე. ვინ დასთვლიდა იმდენს ხეებს, კორდონებს, და სხვა-და-სხვა ფერს ქაღალდებს, რაც ჩვენ ამ ოთხს დღეში მოგვინდა! სამეცადინო სალა სამუშაო ოთასად გადაიქცა. მემუსიკენი თავიანთ საკრავებს ამხადებდენ, ლექტორები წიგლებს და ცულებს ბჭევიდა ქაღალდებს აკრავდენ!... ჩვენ ამას ნურათერს ყურადღებას მივაქცევთ, შევხედოთ მხოლოდ მათს დიდს შედეგს.

მეორე კვირას, წირვის შემდეგ, შეუწყვეტელმა დოლის ხმამ გვაცნობა, რომ უნდა ეზოში წავსულიყავით და იმისთვის ვაჩს შემოგვეჩინა. პრეჟექტმა ამ ეზოში სხვებს შემოსვლა აუკრძალა, მაგრამ ის ფანჯრები, რომელნიც ამ ეზოში გადმოიჭიჩებოდენ, სავსე იყო მაყურებლებით. ესენი იყვნენ სხვა

განყოფილებათა მოწიფეები, რომელთაც ჩვენი ეს ამბავი დიდის უვირლითა და ტაშის კერით მიიღეს. ჩვენ გვეყვანდა ორკესტრიც, რომელიც სამსუდრო მარშს უგრაჟდა. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ იმათი საკრავები სულ ქალაქდისანი იყვნენ და სწრაფად სმას არ იღებდენ, მხოლოდ თითონ დამკვრელები პირით უგრაჟდენ. ყველა მემუსიკე ჩანდული იყო წითელ ქალაქდებისგან გაკეთებულს მუნდირში და გულსედ ვითელი ბჭყვიასა ქალაქდის ლენტე ჯვარედინად ჭქონდა გაკეთებული. მემუსიკეებს მოსდევდენ ლიტორები თავიანთ წნელებით და ბჭყვიასა ცულებით. გქელი, განგებ გაკეთებული წვერი, მთელს გულსედ მოფენილი, და დიდი ბეწვის ქუდი—ამლეკდა. მათ მრისხანე შესედულობას. გვერდსედ დიდი პტყელი სძალი ეკიდათ. ოთხს კაცს მსრებით მოჭყვადათ ორი კონსული, რომელნიც ტრასტრეკანსედ იდგნენ, ტრასტრეკანი ფიტრებისგან იყო გაკეთებული. ჩვენდა სამწუსაროდ გამოუცდელეებმა დახბოლოკეს ტრასტრეკანი და კონსულები გადმოყარეს.

ჩვენი კონსულური ტანისამოსი წააგავდა ისტორიულ ტანისამოსს, რომლისათვისაც არა ვხოგავდით არც ფუფს და არც შრომას. ტანისამოსის გარდა ჩვენს გქქონდა ორი დროშა. ერთს მათგანსედ ეწერა: «კავშირი შეიქმს ძლიერებას»; მეორესედ კიდეკ ასე ეწერა: «რესპუბლიკა, ძმობა». ექვს უმარვილკაცს, რომელნიც ამ დროშებს მისდევდენ, ისე მშვენივრად ეცვათ, განსაკუთრებით უფრო აღტრედს, რომ კაცს თვალს მოსტაცებდა.

როდესაც ერას გარს შემოუყარეთ იმ ადგილსკე მიუკდით, საიდანაც დავიწყეთ ჩვენი მსკლელობა და დავისკენეთ. კონსულების ტრიუმფალური ტრასტრეკანი ძირს დადგეს, ლიტორები ორსავ მსარეს მოუდგნენ და მთელი განყოფილება კონ-

სულელებს დასი შემოაერთეს. მასინ მე დავიწყე კითხვა კონსტი-
ტუციის მუხლებისა, რომელსაც მე და თავადმა ერთგულობა
შევფიცეთი შედგე სასულდობრ ყველგა გამოიწვიეს და დაფიცეს
კანონების ერთგულებაზედ კონსულების მოჩილებაზედ ზე ჩვენ
დაფიცებულეებს გკონიდიო. ამის შემდეგ კიდევ მხიარულება ზე
ყვირილი ასტუდა: «გაუძარჯოს რესპუბლიკას! გაუძარჯოს ჩვენს
კონსულებს!» ჩვენს ყვირილს თანჯრებიდამ მაცქერალი შეგირ-
დებიც ბანს აძლეკდენ ზე ხელცასოცებს გვიქნეკდენ. ორკესტრმა
დაურა მარში, რომელმაც ჩვენ დიდს აღტაცებაში მოგვიყვანა.

საღამოზედ წირაღდნები აკანთუო (მორე განყოფილების
თანჯრებში) და ეს ამბავი გავათავეთ ფიოთ, რომ ტუბილი საჭ-
მელი დავარბეთ კონსულების სარჯზედ ასე გაიარა დამემ,
რომელიც ჩაიწერა ასეუგუნოდ მოსავონებლად სკოლის მატია
ნუმიოც ხომ ოფი მდებარე იყო. ოთხმოცდაათი წელიც
სამოც ემწიგონს მტკაბი ამიგნებამ ამიგნებამ ოთხმოცდაათი
წამიგნებამ. ოთხმოცდაათი წელიც მთავრობის მატია
მწიგნებამ ოთხმოცდაათი წელიც მთავრობის მატია

თავი X

დონ სილვესტრის აღწერა. — მცირე მიზნებისაგან დიდი შედეგი
წარმოსდგება.

საზოგადოებრივი შეგირდები ჩვენ არ გვემოჩილებოდენ და გა-
დამდგარს თავადს ეს ძალიან აბრაზებდა, მაგრამ საზოგადოდ
კოსაქმე ჭარბად მიდიოდა დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ ჩვენ
ვსტუმბოდით თავისუფლებით, რომელიც ჩვენის შრომით მო-
ვიზოგეთ. მაგრამ ერთს უბრალო შემთხვევას, რომელიც ზირად
მე შემესებოდა, სამწუხაროდ ცუდი შედეგი ქმნდა ჩვენს რეს-
პუბლიკაზედ. მართალს ამბობენ, რომ უბრალო მიზნებისაგან
შედეგებელი საჭმე წარმოსდგება.

ჩემს მოთხოვნაში აქამდის არ მომიხსენებია ჩვენის განყოფილების პრეტეკტი, იმისთვის რომ მეშინოდა მეითხველს ჩემდამი რწმუნება არ დაეკარგა, იმედი მაქვს, რომ იმის ცუდგანცობას იმისივე ცუდის საქმეებით დაკამტვიცებ.

ჩვენის განყოფილების პრეტეკტად იყო ძველი, მახინჯი, ჭუჭყიანი, დიდ-მუცელა, წითელ-ცხვირა და წვრილ-თვალიანი. დონ სილვესტრი თავის ლოცვანსაც ძლივს კითხულობდა. იყო კაცი უცოდინარი, მაგრამ ბავშვების ყურის მგდებლად კი დაეყენებინათ, თუძეც ბავშვები სწავლითაცა სჯობდენ და ყოფა-ქცევითაც. ამასთანავე სასმელს ისე ეტანებოდა, რომ ბევრჯერ სიგიჟედის მიაღწევდა სოფმე; დაწმუნებული იყო, რომ ჩვენ იმის მოწამლა გვიბოძოდა და ხანდისხან კიდევ თავის ღვიზის მოწამლას გვაბრალებდა; და სან გვეტყოდა სოფმე: თქვენ მე მოკვლას მიპირებთო. ასეთი ეჭვიანი იყო, რომ ერთხელ ერთი მოწაივე კარცერში ჩასმეკინა, რადგან მოეჩვენა ვითომ ის მოწაივე დანას უღესავდა ყელის გამოსატყველად. რამდენიმე წლის შემდეგ ეს საცოდავი კაცი მოკვდა და უკანასკნელ დღეებში სულ დაწმუნებულსა და ხანჯალსად ბოდავდა.

ვინ დაიჯერებს, რომ ამისთანა კაცს ებნა კარვის დედამისი ოცი ბავშვი, მაგრამ ხამდვილი ვია. ძნელია წარმოსადგენად, თუ რას არ ვითმენდით, როდესაც დონ სილვესტრის იპოხონდრია მოუვიდოდა: დაუწყებდა სოფმე შეგირდებს უბრალოდ ცემას, ხმელ პურსედ და წყალზე დაკლებას და უფროსებთან ტყუილის ამბის მიტანას. სიტყვის შებრუნება არ შეგეძლო, უარესად გაბრალდებოდა და წიგნებს, გასაღებებს, საწერელს—ერთის სიტყვით ყოველისფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა, თავში გვესროდა. ერთხელ ერთში თახახი მესროლა და რომ მომხვედროდა იქვე სულს გამაყრკინებდა. დღე

ვანდლამდის გასაკვირველსა ვარ, რომ არავინ შემოაკვდა.

ის იყო მოკრისი სონეტის ჭანიბალის სიკვდილზედ, რომელსაც მართო თეთრად გადაწერალა უნდოდა. მე მივედი პრეჰეკტთან და ვთხოვე ერთი თაბახი თუთრი ქალაღდი მოეცა. პრეჰეკტი თითონ ურიგებდა ქალაღდს და ისე ცუდს, რომ რისამე შესასველად თუ გამოდგებოდა, თორემ არაფრის დაწერა არ შეიძლებოდა. მე ვუთხარი მას: «გთხოვთ, ბატონო, პრეჰეკტო, კარგი ქალაღდი მიბოძოთ.» — «ჭკუდავ ამას, გლესსაც მიძახის!» შეჭყვირა მან ზე მამინვე ერთი კარგი სილა მტვიცა, ასე რომ თვალებიდამ წინწკლები წამომცვივდა. ასეთმა პირუტყულმა ქტევამ ისეთს ბრახზედ მომიყვანა, რომ სიტყვით არ შემიძლიან გამოვსთქვა. ჯერ სრულიად ენა ჩამივარდა, კერა ვუთხარი-რა, მაგრამ მერე მეც შევბედე: «ვირო, წუწვო, სამაგლო მეტქი!» — «დაიწოქე!» შემომვიერა გაცოფებულმა პრეჰეკტმა. — «არ დავიწოქებ!» ვუთხარ მე არა ნაკლებ გაბრახებულმა. «ენახოთ!» მითხრა იმან და მომწვდა ქამარში, მაგრამ მე დავეჭიდე ერთს სტოლს და დონ სილვესტრმა ვერ შესძლო ჩემი გათრევა. მამინ სელებში დამიწყო ცემა, რომ სტოლი გამეშვა, მაგრამ ამითაც ვერაფერს გასდა. ამ დროს ვიცე-რეჰტორი შემოვიდა და მე ტირილი ვვლარ დავიტირე, რადგანაც სელები ძალიან დაბეული იქონდა. დონ სილვესტრმა ეს შემთხვევა უამბო მას, მაგრამ თავის პირუტყული ქტევა ვი არა. «დაიწოქე!» დამიყვირა ვიცე-რეჰტორმა: «დაიწოქე წინა ოთახში!»

მე იმ ოთახში უნდა დამეწოქნა, რომელსედაც ყველა შევირდებს უნდა გაეარათ კლასში შესვლის დროს!... მე მომავუნეს ასეთი დამცირება — მე, უფროსს კონსულს! არა, არასოდეს. სიკვდილი მირჩევნიან ამისთანა შეურაცხუფას. მაგრამ დახედე უბედურობას: ორმა ჩემმა ჯალათმა გამათრიეს შუა ოთახში ზე

უნდოდათ ძალად დაეპოვნებინეთ, მაგრამ ვერ მოახერხეს. გაბრაზებულმა პრეპეტმა მტაცა საყულოში ხელი და ისე მიმანარცხა კედელს, რომ იქვე უგონოდ დაუკნია. როდესაც გონსუდ მოკვდი, ვნახე რომ იატაკზედ კვებე მოსვრილი სისხლში, რომელიც წყაროსავით მდიოდა ორივე ცხვირის ხესტობიდან. მე ვგრძნობდი ყურებში რაღაცა შუილს, თავიც ისე მეწოდა, თითქო ტეცხლი წაუეიდნათო. პრეპეტი და ვიცე-რექტორი დამყურებდნ და ცდილობდნ ჩემს წამოყენებას. ამით დანახვასუდ მე უფრო უკანაზღვი წამოვბტი ზეხედ, გაკარდი გარედ და შეკარდი მამა-რექტორის ოთახში.

— დედა-ხეში ესლაკე დაძახებინეთ! შეევირე მე.— მე დედა-ხეში მინდა ვნახო! კუბებოდი ტირილითა და ჭკითინით.

სისხლასა და ხემის დასიებული სხნის დანახვასუდ საწყალი მოსუცი ძალიან შემინდა. შემდეგ მოვიდა ჩემთან და გვერდით მომიავა. იგი ისე ალერისინანდ და ტებილად მელახარებოდა, რომ გული ამომიფდა და თვალებიდან ცრემლები გადმომცვივდა. ამით ცოტა არ იყო გულსუდ მომეშვა. ასლავი შემეძლო მეამხნა იმისთვის, რაც მოხდა, შემდეგ ამ ამხის მოსმენისა, გულ-ვეთილის მამამ პირნის წაკულოდი იმას საზად-მყოფოში, სადაც ღოგინში ხამაწვინა. თითონვე შეელოდა მოძულელს ჩემის ზი ის დანახას და ცივის ტილოების დადებს.

მე იმის დაბრებას სინარულით ვუგდებდი ყურს; მაგრამ მანც ჩემს სიტყვასუდ ვადეჭი: დედი-ხემის რახვა მინდოდა. მეორე დღეს დილით დედა-ხემთან გაცი გაგზავნეს. ჩემმა მდგომარეობამ დედა-ხეში ძალიან შეაწუხა. მე მას გუანზე ყოველისფერი და მტკიცედ გამოკრესადე სკოლის თავის დანებების სურვილი; დედა-ხეში დაყბულდა რომ წაკუეხან; თუმცა, რასაკვირ-

გულია, თავის ნებით არ შექმლო. გულ-კეთილი დედა-კაცი! დმერტმა უშველოს!—იმან მითხრა მსოფლოდ, რომ ჯერ მამარქეტორი უნდა ვინახოვო. ისინი დიდ-ხანს ლაშარაკობდენ და მართავეს ლაშარაკსედ ვატყობდი, რომ ჩემს წაყვანას არ ეწინააღმდეგებოდენ. ასედაც მოხდა, მეორე დღეს დედა-ჩემი მოვიდა და წამიყვანა თავის საკუთარ სოფელში, რომელიც ქალაქსედ ახლას იყო.

ის თქვა, რომ მე გავიმარჯვე ამ საქმეს, ადგილის გამოცვლა, მშვენიერი ჭაერი, სრული თავისუფლება, რომელიც მე შევიძინე, — ყოველივე ეს მახარებდა მე და გულს მიტებობდა. ერთის კვირის შემდეგ ჩემს დარღს სულ დავივიწყებდი, თუ რომ მარჯვენა თვალი დაღურჯებული არა მქონოდა, რომელიც ვიდეგ ჩემს დარღს მაგონებდა. ამას გარდა მარტობა (არც მამა და არც ძმები არ მოდიოდენ ჩემთან) ვიდეგ უფრო მაწუხებდა და სინანულით ვიგონებდი ხოლმე ჩემს საწყაღს ალტრედს, ჩვენს ახლას ჰატარა რესპუბლიკას და სასუქებს, რომელთაც მე მივიღებდი, თუ სკოლაში დავრჩენილავი. ვიდეგ გავიდა ერთი კვირა და უფრო საშინლად მოვიწყისე. დედამ შეამჩნია მოწყენილობა და მითხრა: «რათა, შვილო, ხომ არ გინდა სკოლაში დაბრუნება, ალტრედის ნახვა და სასუქების მიღება?» თუმცა წინად არ მინდოდა წასვლა, მაგრამ ბოლოს ვი დაუფურე დედას იმ პირობით ვი, რომ მართის თვის შემდეგ, როდესაც სწავლა გათავდებოდა, სკოლისთვის საუკუნოდ დამენებინა თავი. ამასი არავინ დამხარავებდა: ჩემს დედ-მამას უჩემოდ გადაეწყვიტათ ჩემს მაგივრად ჩემი უმცროსი ძმა გაეგზავნათ სკოლაში.

იმ საღამოსვე სკოლაში დაბრუნდი. მიწლის უმაღლე სასიამოვნო ამბავი გავიგე. დონ სილვესტრი დაეთხოვია სკო-

ლიდამ და იმის კათედრა სხვისთვის ჩაუბარებინათ. გამეხარდა, რომ ჩემი ამხანაგები ჩემის წყალობით განთავისუფლდნენ დონ სილვესტრისაგან. მაგრამ ეს მდგომარეობაში დამხვდა ეს პატარა რესპუბლიკა, რომელიც თხუთმეტის დღის წინად დაეტოვებოდა: ჯუსეპეს, გადამდგარ თავადს, თავისის სასტიკის ქრეკით სრულიად დაერღვია ჩვენი დაწყობილება. ჩემს მაგივრად კონსულად დანიშნული ალტრედი ამოდ ცდილობდა დაემლეკინებინა თავადისთვის სასტიკი ქრეკა; ის მინც სასტიკად სჯიდა დამნაშავეებს რესპუბლიკის წინაშე. საქმე იჭამდის მისულიყო, რომ მოძეტებული ნაწილი მოწათგებისა დაეთხოვა რესპუბლიკიდან. დათხოვნილებს დაეარსებინათ საკუთარი სამმართველო, ამოეჩნიათ თავიანთი კონსულები და ძველს ორს კონსულს აღარას უჯერებდნენ. დღე-დღეზედ ორივე დასის შუა არეულობა უნდა მომხდარიყო. ყველა ეს დაწყობილება ალტრედმა მიამბო, რომელიმაც შემოიტარა: «ჩვენ მხოლოდ შენი იმედი გვაქვს; მარტო შენ შეგიძლიან ჩვენი შველა.»

ამ ამბებმა ძალიან გამაოცეს; ესლაც ვი არ შემიძლიან დაბეჯითებითა ვსთქვა, მქონდა ვი იმდენი გამბედაობა და ენერჯია, რომ აღმედგინა წესიერება საზოგადოებაში? იმ დროს, როდესაც მე ამ ძნელს საქმეზედ ვფიქრობდი, უეცრად სამეცადინო ოთახში შემოვიდა მინისტრი და გამოუცხადა პრეპეტს, რომ, მამარეკტორის ბძანებით, ლორენცო და ალფრედი მეორე განყოფილებიდან პირველ განყოფილებაში უნდა გადავიდნენ. მამარეკტორმა იცოდა როგორი მტვიცე ვაგშირი ვკაერთებდა მე და ალტრედს და გადაეწყვიტა არ ვაკეშობრებინეთ ჩვენ ერთმანერთს.

ეს საქმე სწორედ კარგად მოხდა, ამ შემთხვევამ გამოიყვანა ვაჭირებიდან. ალტრედმა და მე შევავროვეთ ჩვენი წიგ-

ნები და რკეულები, ხელი ჩამოვართვით ჩვენს ამხანაგებს და ხუთის წამის შემდეგ წაკედით პირველ განყოფილების კლასში. ახალმა ჩვენმა ამხანაგებმა დიდის სიამოვნებით მიგვიღეს.

თ ა ვ ი XI

ახალი პირები. — აღახეება პირველის განყოფილებისა. — მისი გამარჯვება.

მე ძალიან ბედნიერი ვიყავი და ძალიანაც ვშრომობდი. ყოველის დღის გაკვეთილების დასწავლის გარდა, მე კემზადობდი ეგზამენებისათვის, რომელიც ერთის თვის შემდეგ უნდა ყოფილიყო. მე ვწერდი ლექსად დიდს თხზულებას, რომელიც უნდა წამკითხა საჩუქრების დარიგების დროს. ამას გარდა, რადგანაც კარგი ხმა მქონდა, ყოველ-დღე ერთს ან ორს საათს გალობას ვსწავლობდი.

სწავლაში გართული ვიყავი, მეგობრებს ძალიან ვუყვარდი, აღძრვდიც განუშორებლევ ჩემთან იყო, მოძაკალში საჩუქრების მიღებას და სკოლიდამ გამოსვლასაც მოკელოდი. . . . ამასედ მეტი სხვა რაღა მინდოდა. მეორე განყოფილების აჯანყებას მე გულ-გრილად ვუყურებდი. არას დროს არა ვყოფილვარ ასე ბედნიერი ვინ მოიფიქრებდა, რომ ამ დროს მოხდებოდა ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც სრულიად შესცვლიდა ჩემს ცხოვრებას.

პირველის განყოფილების ესო საჩაის გვერდით იყო, ამ საჩაისში ეყარა დამზალი ხეები და თავისუფლად დასერილობდა ჯოგი თაგვებისა, რომელთაც დროს გასატარებლად პურსა და საჭმელებს ვუყრიდით. ამ ცხოველებმა ერთს ჩვენს ამ-

ხანაგს, სახელად ვადონს, ნადირობა შეაფარეს. ზირველად იცხადონმა უამოურესად თაგებს ომი ქვების სროლად; შემდეგ ხანგლებით დაუწყო ჭერა, ბოლოს მოიგონა მასე, რომელსაც ყოველ-დღე თოკით ხაუშვებდა სოლმე საჩაიაში. ვადონი მთელის საათობით იდგა ერთს ადგილს და უტქეროდა თაგებს, მაგრამ მეცადინეობა ხშირად ამოდ ჩაუვლიდა სოლმე. ორის კვირის შემდეგ ჩემის პირველ განყოფილებაში გადასვლისა, ჩემდა საუბედუროდ, მახში ერთი უბედური თაგვი მოემწყვდა. ამ თაგვის დაჭერა მოხადირის ამხანაგებს ძალიან გაესარდათ, სათამაშო საზნად ეს თაგვი გაუხდათ საწყალ ფაგვს ნავთი დასხეს და დასწვეს.

ამ დროს წარი დაგვირეკეს, ჩვენ ორ-რიგად დაგვიწერივდით და წალაში წავედით; ვადონს მხრებზედ მასე ელა და ისე მოჭჭონდა. ჩვენ უნდა გაგველო ბნელი, ვიწრო დერეფანი. იქ შეგვხვდა ვიცე-რექტორი, რომელიც შედგა და დათვალეობა დაგვიწყო. ვიცე-რექტორი საკვირველის ხასიათის კაცი იყო. იმას ჭჭონდა ორი ხასიათი, რომელნიც ერთი-ერთმანურთისგან განიჩეოდნენ. დილა-დილაობით ის იყო ჩუმი და თერ-მკრონალი; სადილს უგან გი ეს პატოვ-სატეში კაცი (სადბლს პირველ საათზედ სჭამდა) სრულად იცვლებოდა. მარტო ხასიათით ვიანა, თვით გარეგანის შესედულობითაც. თვალები უბრწყინავდენ, ღოყები უწითლდებოდენ; იგი იწყობდა მხიარულად ყბედობას. იმის ხუმრობა ის იყო, რომ ხშირად დააყენებდა სოლმე მთელს განყოფილებას და დათვალეობას დაუწყობდა; შემდეგ უერწად აიღებდა ფესს და მარდად შემოჭკრავდა რომელსამე მოწაფეს. ეს ყველამ იცოდა და ამიტომაც, როდესაც ვიცე-რექტორის დავინახავდით, ყველანი ვკრიდებოდით. ესეთი ჩვენი სიფრთხილე იმას ძალიან ასიამოვნებდა.

ამ დღეს ვიცე-რექტორმა მოიწადინა ვადონისათვის შე-
მოკერა ხუხი. როდესაც ვიცე-რექტორმა აიღო ხუხი შემოსა-
კვრელად, ვადონი უეტრად უგუნ გადახტა: საუბედუროდ ამ
დროს სულიდამ მხე გაკარდა, თავისივე გაიღო, იქიდან ელვა-
სავით გამოსტა თავი და ეს პირი-სასეში ვიცე-რექტორს,
რომელიც იატაკზედ გაიშოტა. ჩვენ სიცილი ჰკვივარდა.

თხუთმეტის წამის შემდეგ, ვადონი წაიყვანეს მამა-რექ-
ტორთან. კლასის ზარს დაჭკრეს, მაგრამ ვადონი არსადა სჩან-
და. სწავლის გათავების შემდეგაც ვადონი კიდევ არსად იყო.
კახშიძის დროც მოდიოდა: მაგრამ სად არის ვადონი! რაღა
ფიქრი უნდოდა, რომ ვადონი ტრუსადად იჯდა. ყველანი სა-
შინლად ჰვლელდით და ვევირდით: «ეს უსამართლობაა, სა-
შინელი უსამართლობა! ჩვენ ამას ვერ მოკითხვით!»

ყველანი ერთად შეგროვდით და დავიწყეთ ლაპარაკი,
მაგრამ საქმე ვერაფრით დავაბოლოვეთ. «დეპუტაცია გავკახავ-
ნოთ მამა-რექტორთან», სთქვა კილამაც. დეპუტატად ყოფნა
არავის არ უნდოდა, ამისთვის რომ ამ წინადადებას არავინ არ
თანაუგრძნობდა, სძორცამ, რომელიც აქამდის ჩემად იყო,
მხრები აიწია და წარმოსთქვა: «ე სისულელა!»

სძორცა მე წინად მოვიხსენიე ჩემს წერილებში. იმან უეტ-
რად გაითქვა სახელი ერთის მამაცურის ქცევით, რომელიც ყუ-
რადლების დირსია. ერთხელ პრეპეტი იმას ტემს დაემუქრა:
სძორცამ გულ-გრილად აიღო ხელში დანა და, როგორც უში-
შარი მეომარი, დადგა და სთქვა: «მოდით, თუ შეგიძლიანთ!»
ასეთმა მოწათვის გამბედაობამ შეაყენა იგი და კვლავ ბედავდა
დამუქრებას. ამ დღიდან სძორცა უშიშარ მოწათვედ ითვლე-
ბოდა.

მოწათვები ხანდათან უფრო ზღუდენ. ბერი სიტყვები

დაიხარჯა უსარგებლოდ, ვიდრე სძორცამ არ წარმოსთქვა:

— რასაჭირთა მაგდენი ღაპანაკი? თქვენ იმ თავებებსა ჰგებ-
ხართ, რომელთაც უნდოდათ გატისთვის ეუკანი შეებათ ვისერ-
ზედ, მაგრამ არ იცოდენ კი როგორ მოეხერხებინათ. ღაპან-
აკი ცოტა უნდა, საქმე კი ბევრი. დამიჯერეთ, რომ ორის
საათის უკან ვადონი აქ იქნება.

— მერე როგორ? შეჭვირეს თორმეტმა მოწათგემ ერთად.

— აი როგორ: ჩვენ გვინდა ვადონი დაგვიბრუნონ, ეგრე
არ არის?... მას ერთხელ ვიდრე გვითხაეთ: მენდობით მე და,
რასაც გეტყვით, შეასრულებთ?

თავის დღეში სძორცას ასე დიდ-ხანს არ უღაპანაკინია.

ჩვენ ვგრძნობდით, რომ სძორცა გულადობით ყველასა
გვჯობდა და არეულობის უფროსად დაგაყენეთ. იგი ამაყად გას-
წორდა, თითქო ვიდრე გაიზარდა, გვიკვირდა იმის შავის სა-
ხის სიმშვენეურე. ყველა სულს ვართმევდით თითქოს დამორ-
ჩილების ნიშნად.

ზარის დარეკამ ყველა მოწათგემი შეაგროვას ჰურის საჭ-
მელ ოთახში; დაკსუდით თუ არა ვახსმისედ, ვიცე-რექტორიც
მოვიდა. ის რომ დავინახეთ, ჩვენს სტოლზედ სტვენა და ურია-
მული ასტუდა. მერე და მესამე სტოლზედ მსსდომებმაც ბანი
მოგვცეს; თითქმის ჰატარა მოწათგემმაც კი მიჭბამეს მათ. გა-
ჯაკრებულმა ვიცე-რექტორმა, ინდოეთის მამალივით გაწითლე-
ბულმა გვიბძანა დაგჩუმებულყავით. ჩვენ ჰასუხად ვიდრე დავუ-
მეტეთ და დავიყვირეთ: «სად არის ვადონი? ჩვენ გვინდა ვა-
დონი!» ჰურის-საჭმელ ოთახში ყველა გუნტულიდამ ისმოდა
ყვირილი, ასე რომ ვიცე-რექტორის ხმა კულანაკინ გაიგო.

ვიცე-რექტორს ეგონა, რომ რაკი ვახსმეილამ ავდგებოდით,
აღარ ვიყვირებდით, ამისათვის გვიბძანა ავდგარვიყავით და და-

იწყო უდროვოდ ღოცვის კითხვა. მეოთხე და მესამე განყოფილება მანც არ დაიძრა და უვიროდა: «ჩვენ ჯერ ვახშამი არ გვიტყვია! ვადონი დაგვიბრუნეთ, ვადონი!» მეორე და მესამე განყოფილებამაც ხანი მოგვცა. ეს ორი განყოფილება, თუმცა ადგა, მაგრამ ისეკ მალე დაჯდა. მაშინ ვიცე-რექტორმა განიზრახა თავის ძალა მოესძარა. იგი მისწვდა ერთს ჩვენგანს საყელში და უნდა ძალად აეყენებინა. მთელი განყოფილება წამოიშალა და გაიქცა იმ მოწათვის საშუელად. გაიძარათა ომი ვიცე-რექტორის და პირველის განყოფილების შუა; ვიცე-რექტორს პრეჭეკტი შეელოდა, პირველ განყოფილებას კი მეორე და მესამე განყოფილება. ორივე ბერები დამარცხდენ და გაიქცენ პურის-საჭმელ ოთახიდან, რომლის კარებიც მაშინვე ჩაკვეტეთ. ამის შემდეგ ჩვენ გამარჯვება ვიდლესასწაულეთ, ვახშამი კი სრულიად დაგვაგვიყდა და ან ვინ იფიქრებდა ტამაზედ, როდესაც ასეთი აღელვებულები ვიყავით.

ათის წამის შემდეგ, კარი გაიღო და შემოვიდა მინისტრი. იმის მოსვლა ჩვენთვის გამარჯვებას მოასწავებდა; ვიცე-რექტორს არ შეეძლო გამოჩენილიყო. რადგან მინისტრი გაჯავრებული არ შემოვიდა, ამისთვის ჩვენც იგი დამშვიდებით მივიღეთ. მან ერთი სიტყვა არა სთქვა. რამდენიმე წუთის შემდეგ, დაიწყო ღოცვის კითხვა, რომელიც ჩვენ ღმობიერებით მოვისმინეთ, მოწათეები რიგ-რიგად დადგენ და გამოვიდენ პურის საჭმელ ოთახიდან; იმათ მოთავედ ჩვეულებისამებრ პირველი განყოფილება იყო.

პურის საჭმელ ოთახიდან კარი მეორე განყოფილების ეზოში გამოდიოდა. მარცხნივ იყო კიბე, რომელიც ზემო ეტაჟში ადიოდა, სადაც კლასები იყო. კიბეზედ ასვლის მაგიერად ჩვენი განყოფილება, სტორცას ბძანებით, მარჯვნივ წავიდა და ეზო-

ში გაიფანტა. სხვა განყოფილებათაც ჩვენ მოგვბამეს, ყველა მოწათგებურ ეზოში დადიოდნენ ყვირილით და სტვენით. ყველანი თითქმის ამას ყვიროდნენ: «კადონი გვინდა, კადონი! ანარ გვინდა ვიცერექტორი!»

ძნელია ამ აუღ-მაუღლის აღწერა. მამა-მინისტრი, პრე-ტეკტები, მოსამსახურეები, ყველანი სანთლებით დადიოდნენ ეზოში, ყვიროდნენ და სთხვავდნენ მოწათგებს დამშვიდებულიყვნენ. არ ვიცი რით გათავდებოდა ეს ამბავი, თუ რომ ზოგიერთი მოწათგები არ დალაღულიყვნენ სიწიბილით და თავიანთვე ნებით არ დამშვიდებულიყვნენ.

ამ რიგად დაკმორდით ჩვენს მომხრეებს და დავრჩით მარტო ჩვენის ღონის ამას, მარტო ჩვენ უნდა მოგვეყვანა თავს დაწყობილი საქმე, ესე იგი კადონი უნდა განგეთავისუფლებინა. — «წყუელი იყოს, ვინც დასამინებლად წავიდეს, სინამ კადონი არ დაგვიბრუნონ», შეკვირა სტორცამ. ეს ჰატარა ეშმაკი ყოველთვის წინ იყო და სხვასაც ამხნეებდა სიტყვითა და საქმით. გადაწყვიტეთ, რომ ანავინ არ წასულიყო დასამინებლად; მაგრამ როგორ გაგვეტარებინა დრო? სტორცამ დაუგრა პირით სამხედრო მარში და ჩვენც აუყვირით მას და ვზომავდით საწოლათასების სიგე-სიგანეს. ხანდისხან შევდგებოდით ხოლმე და დავიყვირებდით: «კადონი გვინდა! კადონი!»

რასაკვირველია, უფრო კარგი ბჭნებოდა უფროსების მხრივ, რომ მოეცადათ, სანამ დაგმშვიდდებოდით; ეს ამბავი მთელს დამეს სომ არ გაგვედებოდა, დავიღალებოდით და ძილი მოგვეკრეოდა; მაგრამ მამა-მინისტრმა განიზრახა გამოერეულიყო ჩვენს საქმეში. იმისმა მოსვლამ უფრო ძლიან გაგვაცხარა.

ვიდეო დავიწყეთ ყვირილი: «ჩვენ კადონი გვინდა!» ყველანი გაგვრახდით. უეტრად სტორცამ თავის სწახნი აიღო და

შუა ოთახში გადავდგა; დანარჩენი მოწათგებიც ასე მოიქცნენ: სახლებისა და ხალიშების სროლა დაიწყეს. რა გვინდოდა მასინ ამით? სრულიად არაფერი. ბოლოს სძა გავარდა და უფროსებსაც სჯეროდათ ვითომც ლოკინების დაწვა გვდამთბიყოს. სიცრუეა, ეს აზრადაც არავის მოსვლია. მხოლოდ ერთი პრეფექტი იფიქრებდა ასე, ჩვენ კი ყვერჩილისა და არეულობის მუტი არა გვინდოდა-რა.

ჩვენის ქვევით წრეს იქით გადავუდით. უკვლანი მოკვლადით იმ წაიდუმლო პირის მოსვლას, რომელიც არა ჩნდებოდა იმ დრომდის, სანამ დიდი გაჭირება არა ყოფილიყო და რომელიც ერთის თავის დასასვით მშვიდობიანობას ამყარებდა. უკვლას ელოდა ამ საოცარ პირს და უკვლას გაჩუმებული რადასაც იფიქრობდა.

ჩვენ არ მოვსტყუვდით. შორიდან მოისმა ნაცნობის ყარცის სძა, რომლის ბძახებაც არასოდეს ტყუილად არ გაივლიდა. ესლას უნდა მოსულიყო კაცი, რომელსაც უნდა მოესპო ყოველივე არეულობა და წინააღმდეგობა. — „ყოხადად იყავით!“ შეჭვირას სძარცამ: „იმასაც ისე დაუვსვდეთ, როგორც სსვას და მასინ ვადონი დაგვიბრუნდება.“ შეძრვიდა მოსტყუცი და შემოჭყენს ვიცე-რექტორი და მძმა-მინისტრი. საწოლს ოთახებში ასტყდა ჩოჩქოლი მოწათგეთ შორის. ზოგაერთას მოწათგენი ჩვეულებისამებრ პატივი-ცემით იკსჩედ წამოუდგნენ. მოისმა რამდენიმეს სძა, რომელშიაც სძარცას სძა უფრო ირჩეოდა: „ჩვენ ვადონი გვინდა, ვადონი!“

„სძა ჩაიწყვიტე!“ შეჭვირას სძარცამ პირმძა: „ვინაჭბედავს ჩემს წინაშე ლაპარაკის?“ უკვლანი დაჩუმდენს; სასლმძა პირმძა განაგრძო: „ეს რა ამბავია? აქ მე უნდ მქონდეს მონდომის ნება და არა თქვენ. გვეოფათ აბდენი წინააღმდეგობა.“

ვინც დანაშაულს მოინანიებს, მხოლოდ იმას ეპატიება. მაგრამ რაც შეეხება არეულობის მოთავეებს... ამ დროს ლამზას რაღაცა ესროლეს. ლამზა გატყდა და საწოლს ოთახში სრულუბით დახეულა. სიბნელემ უფრო გაამხსნია შეშინებული მოწათყეები. უვირილსა და თვეების ბარტყუნს ესლა უფრო ძალიან მოჭყენენ. ლამზის გაჭრობამ გაგვამხსნია ჩვენ, მთავრობა და მარცხდა.

თხუთმეტი წამი სიბნელეში დავჩნით. როცა სანთელი მოიტანეს, ჩვენ დავინახეთ ვადონი. იგი შემოვიდა ნამძინარევი და თვითონაც არ იცოდა, რაღა კონსოკულობით მას. სამჯერ მოისმა უვირილი: «გაუმარჯოს ვადონს!» ჩვენ ის სკამზე დავსვით და დიდის ყოფით საწოლ ოთახში წავიყვანეთ. ამის შემდეგ ყველამ დაუწყო ძებნა თავ-თავის საბანს და ჩაჩსავს. ათის წამის შემდეგ, სრული სიჩუმე ჩამოვარდა, შევირდებო.

თ ა გ ი XII

მედილის მეორე მხარე.—დამონი და პიკია.—ტრიუმფი
სკოლიდამ გამოსვლის დროს.

ტელქობისა და გიეობის მეორე დღეს გაცი როგორღაც უგემურად არის ხოლმე. ჩვენ ეს მეორე დღით გამოვსცადეთ. სინიდისი როგორღაც მტანჯავდა და არც ჩემი ამხანაგები იყვნენ დამშვიდებულნი. ჩვენ ჯერ არ ჩაგვეცვია, რომ საწოლს ოთახში მამა ვიცე-რექტორი შემოვიდა და პრეჟექტები გაიხმობესნი დიდ სანსა ლაზარაკობდენ; შემდეგ პრეჟექტი წავიდა, ვიცე-რექტორი კი იქ დარჩა. ადგილი მისასველრი იყო, რომ

პრეჰეკტს ჩვენის აჩუღობის გამო დაუძახეს. საშინლად დაუ-
ღონდით და ეს ამბავი სტორცას შეკატუობინე, როდესაც ჩვენ
სამეცადინო ზალაში შევედით.—, „მითომ რა არის!“ მიპასუ-
ხა იმან: „, „სომ არ ჩამოგვასწრობენ!“

ვიცე-რექტორს. თვალეში რაღაცა მრისხანება ეტყობოდა.
ნახევარ საათის უკან დაბრუნდა პრეჰეკტი და ვიცე-რექტორი
ვი წავიდა. რაღაცა მხიარულება იხატებოდა პრეჰეკტის სახე-
ზედ. ჩვენ თითქმის სუნთქვა შევწყვიტეთ. რამდენიმე წუთის
შემდეგ დაბრუნდა მამა ვიცე-რექტორიც და თან მოსამსახურე
მოსდევდა. „კადონ“, დაიძახა მან წარბების შეჭმუხვებით: „ჩა-
მოდით თქვენის ადგილიდამ.“ კადონი მომაკვდავსავით გაფიჭ-
რებული წინ წამოდგა. მღვდელის ბძახებით მოსამსახურემ და-
ცალა კადონის ყუთი და შეჭკრა იმის წიგნები და რკუელები.
ჩვენ კარგად ვიცოდით, რასაც ნიშნავდა ეს ამბავი.

საწყალი კადონი! სრულიად დამნაშავე არ იყო და ასე ვი
დასაჯეს; იგი იყო კანდიდატად დანიშნული საჩუქრის მისაღე-
ზად კარგის ყოფა-ქცევისათვის. უფროსებს სწორედ ბოდში
უნდა მოეხადათ იმის წინაშე უსამართლოდ დასჯისათვის. კა-
დონის დანაშაულობა მხოლოდ ის იყო, რომ იმის სახელი
აჩუღობის მიზეზად გახადეს... კადონის შემდეგ რიგი სტორ-
ცაზედ მიდგა. იმას არათყერი ცვლილება არ ეტყობოდა, არათყერი
აუღვლებს, მხოლოდ ხანდისხან ჩუმი ღიმილი გადუქრებდა ხოლ-
მე სახეზედ. ამ პატარა ბავშვში მომავალი გმირი იმალებოდა.

ამ რჩის მოწათის დასჯაში განკლილი ერთი საათი და-
უსრულებელ საათად გვეჩვენა. როდესაც სამეცადინო ოთახში
წასასვლელად ზარი დაგვირეკეს, მე მითხრეს, რომ კადონის
მასწავლებელი მოვიდაო. მეც წავედი იმასთან. კლასში რომ
დავბრუნდი, შეკამჩნიე, აღჭრედი თავის ადგილას აღარ იყო.

თავ-ბრუნ დაძვინდა. ანუ თუ ისიც გამოირიცხეს? ერთმა ჩემმა ამხანაგმა მითხრა, რომ ალტრადი ძამა ვიცე-რექტორთან წა-
 იყვანეს... არ ვიცი რაღაც მიხეხილი ალტრადის უუთი გავ-
 სინჯე: წიგნები და რეკულები ისევე იქ ქლაგან... ამან ცოტა არ
 იყო გამამხნიკა, მაგრამ იმის მოუსვლელობა კი მაწუხებდა.
 ბოლოს ერთმა ჩემმა ამხანაგმა გადმომცა წერილი, რომელსე-
 დაც ეწერა: „ალტრადისგან“ მე საჩქაროდ გავსენი წერილი
 და წავიკითხე შემდეგი:

„მე გამოირიცხეს. მე არ შექმლავ არ მეთქვა, რომ ლამ-
 პსა მე ვაკატერა. ნუ იღარდებ. ძამა-ჩემი დიდ-სახს არ იჯავ-
 რებს. შენი საფლავამდე
 ამ წერილის შინაარსი თუ არ ვხსენით, ვერავინ გაიკებს.
 მოიგონოს მკითხველმა ის დრო, როდესაც ერთმა ჩვენგანმა
 შეაწყუტინა ძამა რექტორს. ლაპარაკი და მითი გამარჯვება და
 უბრუნა მოწყალებს. სწორედ უნდა გითხრათ, ლამპის გაბტო-
 ხი მე ვიყავი. მე დავიკუხე, ჩვილე რაც ხელში შემსვდა და
 კესროლე ლამპას, თურმე ნუ იტყვიან ალტრადის ჩუხტი მომ-
 სვედრიყო ხელში და ეს ჩუხტი ალტრადის გამტყუების საბუ-
 თი იყო. ალტრადს დაეხსება თუ არა ეს ჩუხტი. მაშინვე მიმ-
 სვდაჩიყო, რომ ეს ჩემი ბრალი იქნებოდა, რადგანაც შევირ-
 დების გადაჩინა, სხვათრეკი არ შეიძლებოდა, — თავის თავსეღ
 მიელა ლამპის გატყუა, ჩემის გულდასათვის მძან თავის-თავი
 გაიწინა.

ალტრადის წერილმა ტყვიანაკრავსავით გამხადა ასეთი
 იმისმა ქვეყამ გაღვიძა ჩემში პეტროსიანი გრძობა: მე ვაკატერა
 ძამა რექტორის ოთახში, „მღვდელ“ შემუშავე მე ვაკატერა

ტესე ლამზა; ალტრედი დამნაშავე არ არის. დამსაჯეთ მე, იმი-
ტომ რომ დასჯის ღირსი მე ვარ; დიდი უსამართლობა იქნე-
ბა, რომ მართალი დამნაშავეს მაგივრად დაისაჯოს.“

მამა-რექტორი, რასაკვირველია, არ მოელოდა საქმის ასე
დახლართვას, ეს იმას როგორღაც არ ეჭაშნიკა და დაიუვირა:
„ეს რასა ჭკავს? დასტინით თქვენს უფროსებსა, თუ რა არის?
თქვენი თხოვნა აღსრულებული იქნება!“ იმას უნდოდა ზარის
დარეკა, მაგრამ მსწრაფლად შესდგა, დაჯდა თავის ადგილს და
განაკრძო ნელის ხმით: „მადლობა შესწირეთ ღმერთს, რომ
მე გულ-კეთილი ვარ და ამ საქმეს უფურცადღებოდა ვტოვებ. წა-
დით, ისწავლეთ, თქვენ მე თქვენის თავ-განწირულებით ვერ მო-
მატყუებთ. ეგ თავ-განწირულება პითიასკან თუ გისწავლიათ.
ალტრედმა აღიარა თავისი დანაშაულობა და უნდა დასჯილი-
ყო. ამას სიმართლე თხოულობს, მაგისტანს თავლთმაქცობით
თქვენ იმას ვერ უშეკლით. იგი იქნება გამორიცხული; ამას წინ
აღარა უდგას-რა.“ ამის ზასუნად მე რაღაცა წავიბუტბუტე.
რექტორმა მალალის ხმით შეჭყვირა: „მე არაფერი არ ვიცი.
ჩვენ ვეძებდით დამნაშავეს და ვიპოვეთ კიდეც. იქამდის ნუ მი-
მიყვან, რომ დედა-შენს ვაწუეინო. კმარა რაც მოხდა.“

რადა უნდა გვეჭნა! მე დავემორჩილე მამა-რექტორს, მაგ-
რამ მართლა სჯეროდა იმას ჩემი სიტყვები თუ არა,—ამისი
კი რა მოგახსენოთ.

ეგზამენის და საჩუქრების დარიგების დროც ახლოვდებო-
და, და, როგორც ზემოთ ვსთქვი, მე ამ დღეს უნდა მეწეინა
მოწაფეთა შორის.

აღწერილის არეულობისათვის ალტრედი გამორიცხეს. თქვენ
ვერ წარმოიდგენთ რა სამძიმოა მოწაფისათვის სკოლიდამ გა-
მორიცხვა. იმ დროს მოწაფის დანაშაულსაც თავის უფროსისა

წინაშე ისე უყურებდა მტარვალთა მოაზრობას, რაგორც სასულ-
მწითლს წინაშე დანაშაულობას. სკოლიდან გამოირიცხულს მოწა-
თეს მოძიკალი აღარა ჰქონდა; იმას არც სამსახურში მიიღებ-
დენ და არც სასწავლებელში. ყოველი გონიერი გაცი სასტი-
კად ჰგონებდა მოაზრობას შეგირდის ასე დასჯისათვის; მაგრამ,
საუბედუროდ, ასეთს მდგომარეობაში იყო ჰიმონტის საქმეები
1822 წელს.

აღძვრის გამოირიცხვამ სკოლა თითქმის შემძულა და
რთი თვე, რომელიც უაღრესად გავატარე სკოლაში, წელი-
წადებდ მესვენებოდა. მხოლოდ იმითღა ვნუგეშობდი, რომ
სეირნობის დროს ყოველ-დღე შევხვდებოდი სოლმე აღძვრის
და რამდენიმე წამს კელაშანაკობდი. იმას მოქალაქური ტანი-
სამოსი ეცვა და ძალიანაც უსდებოდა.

დადგა გუჩის შესრულების დრო. ხეულებისამებრ საჩუქ-
რებს სკოლის კელესიაში გვირიგებდენ. კელესიაში დავსდებო-
დით სოლმე სკამებზედ მუნდირითა და თეთრის სელთათმანე-
ზით. მატყვალნი, რომელნიც უფრო შეგირდების ნათესავნი
იყვნენ, კელესიის შუა ადგილას სსდებოდენ; არსაჲნიკოპოზს,
გუბერნატორს და სენატის თავმჯდომარეს უფრო სავატო-
ადგილებს ეჭირათ.

შეგირდებმა მშვენიერად აჯალობეს. მომღერლები რაჯერ
გამოიხმეს და ტაში დაუგრეს. არც მე დამიგრეს; ნაკლებად ტა-
ში, როდესაც წავიკითხე თხზულება განგებაზედ, დაწერილი
ჩემგან ლექსად. შემდეგ რიგ-რიგად გამოიხმეს ის შეგირდები,
რომელთაც საჩუქრები უნდა მიეღოთ. როდესაც რიგი რი-
ტორების კლასზედ მიდგა, მოისმა ძხილი: „პირველი საჩუ-
ქარი ეგუთუნის ბატონს ლორენცოს.“ — მე აუღე და წავიკითხე
არსიკოპოზისაკენ, რომელმაც მომცა დათვის გვირგვინი და

რამდენიმე წიგნი. მსურებლებმა აღტაცებით მიიღეს და ტაში დამიკრეს.

როგორც კი დაებრუნდი ჩემს ადგილას, კიდევ მოისმა: „პირველი სასუქარი იტალიურს. შოკოლაში კეუთენის ბატონს ლორენცოს.“ მე დავაწყე ჩემი წიგნები და გვირგვინი და წაკვდი ახალის წიგნების და გვირგვინის მისაღებად. ესლა კი თვით დედა-ჩემმა დამადგა თავზედ გვირგვინი და თვალ-ცრემლიანი გადაიხვია. აღელვებულნი და გაკვირვებულნი მსურებელნი ისე მიკრავდენ ტაშს, რომ გეგონებოდათ თვით კელესია ინგრეკაო. როგორც კი დაებრუნდი ჩემს ადგილას, ჩემი სასული კიდევ დამიხსეს: „გომეტრიისათვის სასუქარი ბატონს ლორენცოს.“ ამას მოჰყვა სასუქარი ხატვისათვის და სსუ.

თავი და თავი სასუქარი მჭევრ-მეტყველობისა და ლათინურისათვის საბოლოოდ გადასდეს. ორკესტრმა მშვენებრად დაუგრა; შეძეგ ეველანი გახუმდენ; ეველანი სმენად გადაიქცენ. — „სახატო სასუქარი ლორენცოს კეუთენის.“ მსურებლები აღელდეს. მამა-რექტორი წამოდგა, მოვიდა ჩემთან და თვალ-ცრემლიანი გადაიხვია. პრექტორი ღანცა ქვითინებდა. მეც თვითონ მთვრალსა ვგავდი ჩემის ბედნიერებით. დიაღ, მე ბედნიერი ვიყავი! იქ იყო ორი ჰატარი ყმაწვილი, რომელთაც თვალს არ გაშორებდი, რადგანაც იმათი ტაშის-კვრა ეველანზედ ძალიან მიამებოდა. ოჰ, ჩემო ერთგულო აღტრედ!

სასუქრების დარიგების შედეგ შურის-საჭმელს ოთახში წაკვდით, სადაც კარგი კახშიმი გველოდა და რომელზედაც მხოლოდ დასასუქრებულ შეგირდების ნათესაეებს შეეძლოთ დასწრებოდენ. აღტრედი მოეჭიდა დედა-ჩემს კალთაზედ და შემოჰყვა ზალაში, სადაც მე ახალი ჰატარის-ცემა მომელოდა. ეველა მოწაფეები და მასწავლებლები მოდიოდენ ჩემთან სთითაოდ და

მოცნიდენ, მსუურებელი ქალები და კაცებიც ასე მოიქცენ. ყველას უნდოდან ჰატანა გმირის ნახვა.

ვასშმის შემდეგ ყველანი დამშვიდდენ; მე გამოკეთსოვე მამა-რქეტორს და სხვა მასწავლებლებს, ავიღე ჩემი საჩუქრები ხელში და გამოვშორდი სკოლას... სამუდამოდ. აღტრედი ჩემს გვერდით მოდიოდან; თან მომდეკდენ მამან, დედა და ორი ძმა. ასე დაკბრუნდო ჩემის მშობლების სასლში.

(შემდეგ აქნება)

გაზაფხულის ქუხილი

(ტოტჩხვიდან)

მიუყარს ჰიჩკელა ქუხილი, სულ ჰიჩკელს გაზაფხულზედა,
იჭეპებს ლაყვარდს ცაზედა, სევდას მომიშეებს გულზედა!...
მიუყარს მე გრგვინვა იმისი, სმას აძლეეს მთა და ბარია,
ელებს, წამოიწინწკლებს, როგორც რომ ღამის ცვარია!...
მერე შაჭხედავ, დაუშო, ყუყუნა წვიმა, გრილ-თბილი,
აღვა მტკრის გორიანტელი, მოიწყო კელი, ხესილი!...
ვიშ! გამინათლდა გლას გული! დიდება უფლის სასულსა!
ცხოვრებას მამლეკს მეუფე, ყუყუნა წვიმის მნასკელსა!...
გადაიღარა. მზე სსივს ჭიქებს ყანაში ოქროს ფერადა,
ხიტებიც აგვიჭიკჭიკდენ, აღარ სცალთ გასაფრენადა!
მადლა გორიღვან ნაკადიც მოშსუის გამალებული,
ეგელა სმას აძლეეს ქუხილსა, სიტრცხლე მოწყურბული!...

მოხს

თ. რაფ. ქრისტაფი.

შენიშვნები ისტორიასა და არხეოლოგიაზე

რ. ძამსაშვილის «შემოკლებული ისტორია» და მლ. იოანე გვა-
რამაძის «ქართლის-ცხოვრება.»

ჩვენში არა ერთხელ გამოუთქვამთ, რომ ისტორიის და-
წერა შეუძლებელია, რადგან მასალა შემუშავებული და გამო-
ქვეყნებული არ არისო. ჯერ დიდი ხანი გაივლის, ვიდრე ჩვენ
ისტორიას ველირსებითო. სრულიად მართალი ასრია. დიდი-
ხანი გაივლის სწორედ, ვიდრე ჩვენ სისტემატიური ისტორიის
გვექმნება. სისტემატიურს ვერსს ისტორიისას უნდა წინ მი-
უძღოდეს ვრცელი და დაწვრილებითი გამოკვლევა წარსულისა,
ქაქტიკურის ისტორიისა; გადასინჯვა და კრიტიკული განსილ-
ვა მასტიანთა, მანუსკრიპტებისა და მემუარებისა. ვსთქვამთ, მ-
გალითად, რომ ჩვენ არ ვიცით, რამდენს ხანს მეფობდა რომ-
მელიმე მეფე, არ ვიცით, რა დროს გავრცელდა ქრისტიანობა,
რა დროს დაიწყო მწიგნობრობა და მწერლობა. უკეთუ ჩვენ
ისტორიულის ქაქტების თავი და ბოლო არ გვეცოდინება, ცხა-
დაა, რომ ამ შემთხვევაში ისტორიის სისტემატიურს ვერსზე
ლანჯარაკი სრულიად მეტი უნდა იყოს. ჩვენ გგონია, რომ ჩვენს
ისტორიაში, არამც თუ ზოგიერთა ქაქტი, ცნობა, არამედ
ზოგი მთელი ხანა ჩვენთვის ჯერ გაუგებარია და გამოუკვლე-
ველი. ამას გარდა უზირველესი საგანი ჩვენის ისტორიისა ჯერ
საიდუმლო შეწარ-ქვემ იმეოფება. სასკლდობრ, ჩვენმა ისტო-

რამი არ იცის, რომელს ტომს ეკუთვნის ქართველი სალსი ჭ. რომელს ენათა ჯგუფს მიესაკუთრება ქართველთ ენა. უკეთეს ისტორიას ერის დასახადი არ გამოუკვლევიან, დამეთანხმეთ, რომ დაწუბობაც ძნელი უნდა იყოს ისტორიისა. პირველ გვერდზე, პირველ სტრიქონზედვე უნდა შეასწოროთ კალამი და იკითხოთ, რომელს რასას და ტომს ეკუთვნის ქართველი ტომი.

ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ამ ბუნელის საგნის გარკვევას და განსასწავლავს, რომელსედაც დღესაც თავს იმტკიცებს აწა ერთი და ორი ძილოლოგი და ლინგვისტი, მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს მთლად ჩვენის ისტორიისათვის. საკაცობრიო ისტორიაში სამი მთავარი მოასპარევე ტომი მოღვაწეობდა: ტომი არიისა, სიმისა და ქამისა. ქამისა უფრო დაბლა იდგა გულტურით და საისტორიო ძალით, ვიდრე სიმი, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებს ძალას იხებდა, ვიდრე არიის ტომი, რომელსაც ეკუთვნის თითქმის მთელის კერძის სხვა-დასხვა სალსი. უკეთეს გამოკვლეულ იქმნება, რომელს ტომს ეკუთვნოდა ამ სამს ტომში ქართველი ერი, მაშინ, რასაკვირველია, ბევრი რამ ჩვენს ისტორიაში ცხადი შეიქმნებოდა. ბევრს რასმეს, რაც ჩვენ ჩვენში წაბადვის შედეგად მიგვანჩნია, — თავის განსაკუთრებული ალაგი მიეცემოდა. ბევრი რამ, რაც საკუთრად ჩვენი ყოფილა, სხვა სალსიან გავლენას ალარ მიეწერებოდა, რადგან ესლა გამოკვლეულია განსაკუთრებული სასიათი მოსსენებულ სამის მთავრის ტომის მიერ შექმნილის გულტურისა.

მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, უპირველეს ისტორიისა, უნდა გაჩნდეს ჩვენში შედარებითი ენათა-ცოდნა, რომლის მეორებით შესაძლებელ იქმნას გამოკვლევა მისი, თუ ვინ არის ქართველი სალსი, რა ტომისა და რა გვარისა არის იგი. ლინ-

გვისტივის განუშორებელი ძმა არსეოლოგონ არის, რომლის
 საგანია გამოძებნოს, ან მიწაში გამოსთასროს ნივთიერი რამ
 ნაშთი ძველის ცხოვრებისა, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ეს
 ამა და ამ დროს ესა და ეს ჩვეულება ჰქონია, ესა და ეს უნე
 სჭერია, ამა და ამ მიმართულებას მიჭყლია მისი ჭკუა და
 გონება, მისი გრძნობა და სული. როდესაც თქვენ სთხრით
 ქრისტიანობის უწინარეს დროის საფლავს, ჰხედავთ შიგ ძველად
 ერთგვარად დამარხულს, თვით საფლავს, შიგ ნივთებს, მათ
 გაკეთების და შემუშავების სელოვნებას, ზედ კიდევ ნასატებს,
 ან წარწერებს, თქვენ თვალ-წინ ცხადად გესატებათ არა ძველად
 მატანებში ამოკითხული სურათი, არამედ მტკიცე მეტნიერული,
 შეურყეველი წარმოდგენა მამა-პაპათ ყოფა-ცხოვრებაზე. როდესაც
 თქვენ საფლავში ჰმზოულობთ ფულს ზედ-წარწერით, ია-
 რადს, ან ასე თუ ისე გაკეთებულს ნივთს რასმე, რომელზედაც
 ბარელიეფებია მოფენილი, თქვენს გონებაში ისატება ნიშნ-
 დობლივ, აუცილებელს თვალ-და-თვალობით, ცხადი სურათი
 წინა-პაპთა აღებ-მიცემობისა, განათლებისა, სელოვნობისა,
 მხატვრობისა, მწიგნობრობისა და სხვანი და სხვანი. სულ
 სხვაა მაგ. როდესაც თქვენ ჰხედავთ სვეტის-ცხოველს მცხეთა-
 ში, რომელზედაც ზედ-წარწერა ცხადად გიჩვენებთ მის მოხუ-
 ცებულობას, ან ბავშვს შესამის ეკლესიას. ქუთაისში და გუ-
 ლათს, ამ დიდებულ საანსტიტუტო ნაშთს და სულ სხვაა,
 როდესაც ამაზე მოგითხრობთ, თუნდ ისეთი მანათლი და კუ-
 თილ-სინიდასიერი მწერალი, როგორც არის ვახუშტი ბატონი-
 ნიშვილი. თქვენ თვალთ უყურებთ ისტორიულს ძეგლს და მის
 აღმშენებელს ქორენიკოსს და გული გრძნობს, რომ აქ ყოველივე
 ეჭვი გაივანტეულია; და როდესაც ჰკითხვლობ მხოლოდ აღწე-
 რას რომელიმე ნაშთისას, მაშინ მეტნიერული ეჭვი გხრავს და
 გულს გიღვს.

ლინგვისტი მოგიტანს ჭიეროგლიძის, ასიზ-ბაბილო-
ნურს ნაწერს, სენდ-აკესტის ნაწიგეტს; ვედებიდამ საგალობელს
და თვალ-და-თვალ დაგიმტკიცებს, რომ ვედების ენა ევროპიულ
ენების მამათ-მთავარია, ისე, როგორც მაგ. ლათინური მამათ-
მთავარია რომანულის ენებისა: ჭანსტუსულისა, ესპანიურისა
და სხვანი. დაგიმტკიცებთ აშკარად, უოველსავე ეჭვს გარეშე,
მატემატიკურად, რომ ჭიეროგლიძურს ნაწერს და ძველ ეგვიპ-
ტელთ ენას არავითარი კავშირი არა აქვთ ევროპიულ ენებთან,
ზგრეთვე რომ სიმიტური ენა შეადგეს სრულიად ცალკე განსა-
კუთრებულს ჯგუფს ენების კლასიფიკაციაში, წყობილებასში.

აქედამ ცხადად სჩანს, რომ ვიდრე ისტორია იწეება, ე.
ი. ვიდრე წერილობითი ნაშთი და სასსოვარი განირჩევა ძვე-
ლების ცხოვრებაზე, მოთხრობას; თუ მატანიე, თუ მემუარი, —
ჯერ ლინგვისტიკა და არხეოლოგია მიუშაობს. ისტორიულ
დროშიაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დასკვნანი ისტო-
რიულის არხეოლოგიისა ისტორიის მწერლისათვის და მის
უყურადღებოდ დატოვება მრავალ შეცდომასში შეიევასს მარტო
მატიანეებსზე და მემუარებსზე დამყარებულს ისტორიის მწერალს.
აგრეთვე საჭიროა ხასხეში ჭქანდაეს კაცს ისტორიულ გეოგრა-
ფიის დასკვნანი.

ჩვენში თუ ვინმე შრომობს და რისამე გამოძიებაში შე-
დის, სრულიად მეცნიერულად არა შრომობს და მეცნიერულად
არ იძიებს. ჩვენი გონება შეუხვეველია თითქმის მეცნიერულს ძი-
ებას. სოლო მეცნიერების დედა-ბოძი არის ჭაქტი, სათვალ-
და-თვალთ გამოცდა, ექსპერიმენტი. იქ, საცა ჭაქტი არა მი-
შაობს და თვალ-წინ არ ვიდვას და ურომელო სჯასში უბმულ-
ხარ, მარტო ლოლიკით გატაცებული, ს:ქმე და მეტადრე მეც-
ნიერული საქმე არ ვარვიგდება. დრო მეტაფიზიკისა, ურომე-

ლო მსჯელობისა, ლოდივისა და სქემებისა დიდი ხანა გავიდა და ისტორიას ჩაჯბარდა. ესლა მეცნიერების ხასიათი სულ სხვა გვარია. მეცნიერებაში ესლა მტკიცედ დამყარდა ის აზრი, რომ მსჯელობა უზირველეს ყოვლისა უნდა ჭაჭტუნედ, გამოცდასუნედ და სიმართლიანს დაკვირვებასუნედ იყოს დაფუძნებული.

ამ ხასით მეცნიერული გზა, გზა ჭაჭტებისა და დაკვირვებისა არის ერთად-ერთი ფარ-სმალი ძიებისა და გამოკვლევისათვის, სწავლისათვის. ამ მხრივ ჩვენში უმეტესობის უმეტრება და უცოდინარობა ისე ვრცელია და განუსაზღვრელი, მეცნიერების მეთოდების შეგნება ასეთი იშვიათი შემთხვევაა, რომ ძნელად თვით მაწინავე მოღვაწეთა დასში, ესრედ-წოდებულს საზოგადოებრივ ცნობრების ბელადთა წრეში, ორსა და სამს იზოვნით, რომ მეცნიერულს მსჯელობას იყოს შესვეული. ძნელად იზოვნით თვით მწერალთა შორის, რომ ჭაჭტი, უცილო საბუთი, სიმართლიანი დაკვირვება მიახნდეს დედა-ბოძად თავის მსჯელობისა. მწერლები ჩვენში იქნება ბეგრნიც არიან, მაგრამ მათ შორის ორსა და სამს ძლივს იზოვნით, რომელიც რაიმე მეცნიერების შტოს წამომადგენელად იქმნას ცნობილი ჩვენს მწერლობაში. გარნა რა მწერალია ის მწერალი, რომელიც ერთ-გვარის კადნიერებით სწვდება სულ სხვა-და-სხვა საგანს სხვა-და-სხვა ცოდნისას. ამ გვარს ღობე-ფორეს მოდებულ მწერალთ ჩვენში ჭკუის სმა აჭეთ დავარდნილი, პუბლიცისტების სახელი აჭეთ მოხვეჭილი და მშობლიურის განვითარების ბურჯებად და მხანათობლად ითვლებიან. მაგრამ ან ვი რა ტყუილ-უბრალო ლაშარაკია! რას უნდა დაებადნა, ერთი მითხარით, გონებრივი მუშა-საღსი ჩვენში თუნდ რომ რაიმე სასწაულით განხუნილიყვნეს ჩვენში მეცნიერნი, ვინ იტყვის, რომ მათ საჭმეს მიუცემდით და მშვირებს არ დაკსოცავდით. სად წაეღოთ თა

კანთი გონება და მომსადებელი გონებრივის მუშაობისათვის ტვინი?...

ზბა მითხარით ამ გვარ პირობათა შორის რა დაჭბადავს სჯარტველოს ისტორიას, რა გაახენს მეცნიერებას, ვინ გამოკვდება იმ ვრტველს მოსამსადებელს მუშაობას, რომელიც ისტორიის შემუშავებას უნდა წინ მიუძღოდეს.

ამ მხრივ ჩვენ დიდ გამოცანად მიგვანხია ბ-ნის ძამსაშვილის მიერ შედგენილის «საქართველოს მოკლე ისტორიის» გამოცემა და ძღვ. გვარამამისაგან დაბეჭდილი «ქართლის-ცხოვრება.»

ვითომ მეცნიერული და სპეციალური «გამოკვლევა» ძღვ. იოანე გვარამამისა ფრიად ვრტველია. ძარტო უძველეს ისტორიას სჯარტველოსას, რომელიც ძას თავის წიგნში მოუთავსებია, უჭირავს 276 გვერდი. ვაცს პირველის შესდვით ეგონება, რომ ზი სწორედ ამის დაძწერს. ჭჭრია მეცნიერულ მუშაობის სერსების ცოდნაო: აულია ერთი პერიოდი სამშობლო ჭეუენის ისტორიისა, უძველესი დრო, დრო ქრისტიანობის უწინარესი და ჭვერ იძას იკვლევს კლასიკურ მწერალთა და სხვა მრავალ-წყაროთა შემწეობითაო. ძავრამ სამწესაროდ მსოლოდ პირველის შესდვით ეგონება. ახლო დაკვირებისა და ამ წიგნის გადაკითხვის შემდგვ, ეს თხზულება პატრივტიკული ძღვდღისა იძღენის უარარობითა და უშინაარსობით არის სავსე, იძღენს უცოდინარობას. იჩენს იგი, როგორც გამოკვლევისა და ძიების სერსისას, ისე ძაქტებისას, რომელნიც მეცნიერებისაგან უკვე შეურეველად გამოკვლეულნი არიან, რომ სწორედ თავსა და ბედს გაწეველინებს, ვიდრე ბოლოძღე ჩაიკითხავდეთ. ყოველისფერი არეულია ამ შრომაში: ზეპირ-გადმოცემა და თქმულებანი, სსხალხო ნაწარმოებნი, რომელშიაც ვითომ სალხის

მითოლოგია ისტება და სსკ. ღ სსკ. მ. გვარამაძის აზრით ნოე ქართველია; მან პირველად სამესხეთოში გააშენა კაზი, დააყენა ღვინო, და რადგან ღვინოს ქართულად ნუნუაჲ ჰქვანს, ხოლო ნუნუა და ნოე ერთი და იგივეა თითქმის, მაშასადამე ნოე ქართველი ყოფილაო, გვაუწყებს პატივ-ცემული ავტორი. და განა მართო ამას გვეუბნება მამა იოანე? იმის გამოკვლევით მთლად ნოეს შთამომავალ ქართველების უპირველესი წინა-პარნი ევა და ადამიც კი საქართველოში დასაფლავებულან. აი რა საინტერესო დაწვრილებით გვიამბობს ძველ-ისტორიკოსი ადამ და ევას ამბავს:

«მეცნიერნი ამბობენ ადამ ევა (როგორც თვით წიგნშია ისე მოვიყვანთ ყველა წყობილს მარგალიტს ავტორის თხზულებიდან) სამოთხეში სულ ცოტა ხანს დაშთაო, ზოგნი 6 დღეს ან 8 დღეს ჰგონებენ; ზოგი 40 დღეს და ზოგნიცა სსკა-და-სსკა აზრისა აჩიან, შეიძლება ესთქვათ, რომ 33 წელი დაშთენილ-იყვნენ, რა ხანიც დაჰყო იესო ქრისტემ ამ ქვეყანაზედა, და თუ მრავალი წელი მივაწვროთ არ შეესტყებით; რადგან იმ უცოდველ ცხოვრებაში ეგრედ დამტუბარიყვნენ, რომ ერთ დღედ არც კი მიახნდათ ათასი წლები?»

«ამბობენ სინკელი და სსკანი—განაგრძობს გამოჩენილი სიბრძნის მკვლეველი,—რომ ღმერთმა ადამი ისეთი დიდის ტანისა დაჰბადა, რომ ფეხზედ დადგომისა ცას შესწვდა; ვიდრე ანგელოზნიცა გაჰკვირდნენო, მერმე ხელი დაადგა თაუზედ ადამს და დაამდაბლა ათასი მხრის სიმაღლე დაშთაო: სსკანი ამბობენ სამასი მხარისაო! ამ გვარივე ყოფილან წყალ-ჩღვნის დეკვირნი, რომელთ დროსაც მოსდა წყალ-ჩღვნა!» და სსკანი და სსკ. სულ ამ გვარად. (გვ. 28 და 30).

ნოეს ცოლსა ნოემზარა ერქვაო. ნემზარა სოფელია ახალ-

ქალაქის მახლობლად. სხანს, დასკვნის ჩვენი ავტორი, «იქ უცხოვრია პირველშივე ნოეს, იქვე დაუსაფლავებია თავის ცოლი, რომლის გამოც დაშენის მისი სასულ-წოდება.» (გვ. 32).

აი ასეთია ძილოლოგიური და ლინგვისტიური განვითარება მამა იოანესი და ავრეთიკა მისი მკაცრი და მედგარი ლოდიკაც. დაუმატოთ ყველა ამას ის ულახათო, უკანონო ენა, რომლითაც სწერს ეს რუსთველის სიზაბავრელი შთამომავალი და დარწმუნდებით, როგორი საკითხავია მისი წიგნი.

ჩვენ ამით გავათავებდით მღვდლის შრომასზე პასხს, მაგრამ ვშიშობთ, რომ მღვდელმა მეტის-მეტ კანდიერებაში არ ჩამოკვართვას ამ გვარი მოპურობა დიდის თხზულებისადმი და ამიტომ შევხედებით კიდევ რამდენსამე ხანს ამ თხზულებაზე. აჭა მკითხველთა კიდევ ადგილი ამ სამაგალითო თხზულებიდან და რაც გაიგო ან შეიძინო, ჩვენ ნუ გაკვირვებ, ნუ გაბვიზიანებ:

«ქამს უცხოვრია კახეთისაკენ, მით სწოდებია მის სადგომს უტი (უდი, უსანდომო.) მისი ოსე. წამხდრობისათვის ქმის ძე ხუსმან იცხოვრა არცანში, მით მის სადგომს ეწოდა ქუსტი: აქედან არიან ჩვენი კაკასიის ქუძები (ქისტები). ხუსის ძემ ნებროთმა იცხოვრა ჩვენ მცხეთის მახლობლად, მით ეწოდა ადგილს არმაზი (რათა არმაზი და არა სხვა რამე?) ნებროთის ძმებს უცხოვრია ჩვენი ხეობის სავანი ხეეს და ევლოს, აწევერის მახლობლად გოშაძის გვერთიდ (თუ გოცირიძის გვერდით, მამაო?) ელახსა. ქამის მეორე ძეს ქანანს უცხოვრია ჩვენ გატუხილ სიდთან თბილის ქვემოდ, მით სწოდებია სუნანი. (უთუოდ, მამაო, ჩვენი ქანანოვებიც ან იმ ქანანისაგან წარმოსდგებიან, ან მისგან მიუღიათ სასულ-წოდება?) ქანანის ძეს ქეტუჩს ჩვენი აჭარის ქედას უცხოვრია. ჩვენ ქეუენას

დახადებულ ნებროთის შვილებს ორჯმენის ასულის ილარისა-
გან ჭკქმეკია ერის დიდო, მით სწოდებია მის სადგომს ლუ-
კეთში დიდო, და მეორეს ტანტალო, ამასაც ჩვენს ატრის უც-
უცხოვრია: მით დაჩქმეკია ადგილ სადგომს დანდალო. ამათი
დედა სადაც მოძვედაცა აფხაზეთისკენ და დასაფლავებულა სწო-
დებია ილორი.»

უჭ, ღმერთო! დაგიტანჯეთ ჩვენცა და თქვენც დაგტანჯეთ,
მკითხველო. ვიკმაროთ წამება. მაგრამ ის კი არ იფიქროთ,
რომ ჩვენ განგებ ვარჩევდით სუსტ ადგილებს. აიღეთ და გა-
დაშალეთ რომელი გვერდიც გსურდეთ, თუნდ მე-20, თუნდ
მე-100, მე-200 ყოველგან ერთი და იგივე სიბრძნეა. ჩვენ ამოუ-
წერთ კიდევ მცირე ადგილს ამ საისტორიო თხზულებიდან,
რომ დაგწმუნდეთ, ვითარ დიდია ავტორის ისტორიული გან-
ვითარება.

«ეს ამბავი ჰარსეთს რომ მივიდა (კამბიზის სიკვდილი);
ვიცლა მოგვმან თავი მძერდად დაიჭინა და მოტყუილებით გა-
მეფდა, მაგრამ მატყუვარება ძალე შეუტყვე და მოჭკლესს დი-
დებულებმან, მერმე 7 დიდებული ანჩჩიეს, მზის ამოსვლისა
დანიშნულ ადგილს მიმაკლობისა, რომლის ცხენიც პირველად
დაიჭინებინებდა ის უნდა გამეფებულიყო. მით დარის მეცხენემ
იმ დამე! იმ დანიშნულ ადგილს დახა ცხენი და გვერდით მი-
უბა ჭავი ცხენნი, გათენებისა სახლში მოიყვანა, რა მზის ამოს-
ვლისა 7. დიდებულები მიდიოდნენ ცხენებით. დარია ბტასპის
ცხენმა დაიჭინებინა მით გამეფდა და უწყო გავრცელება ჰარსუ-
ბის სახელმწიფოსა, ამან მოინდომა საბერძნეთის დაპყრობა,
მით ბერძნების მხედართ თავნი წინ აღუდგნენ. ამის პირველი
მეორე და მესამე ომის სამზადისები 492—490 & 488 წლების

ელვისაგან და ნაინ ნაინ შემთხვევათაგან არ მოემარჯვა და კიდევც მოკვდა.»

ამასე მეტად აღარ შევაწუსებთ მკითხველებს ბრძნულის ციტატებით და მხოლოდ ღრმად სიტყვას ვიტყვით გამოცემის გარეგნობაზედ. წიგნი თუმცა იაფად ჰქონდა, (50 კაპ.) მაგრამ იმდენის გარეკეთების შეცდომებით არის სავსე, რომ სწორედ ტანჯვას მისი ვითხვას. ამასთანავე ქალაქი ერთ-გვარი არ არის: ხან თქვით ქალაქადსა ნახეკდი, ხან მოშავოზე, ხან სულ შავზე. მკითხველს უიმიოდანც გაჭირვებულს მრავალის შეცდომებით, ამ ჭრელის სანახარობით უფრო უჭრელდება თვალთ, და კიდრე რა-სამ გვერდს წაიკითხავდეს, მოსდის ძილი ზედ წიგნზე, თითქო ჭიჭიოტიზმის ზედ-გაყენით შეიზერეს და დააძინესო.

ასეა კი მოგვიტყვეთ მკითხველო და გაგიტყდებით, რომ თუმცა დიდი იყო ჩვენი მრავალ-მოთმინება, და ცდილობა, მაგრამ ჩვენც რამდენჯერმე დაგვაძინა ამ ჭიჭიოტიეოსმა წიგნმა და ამის გამომ ჩვენ ჩვენი ვქენით, მან თავისი და ბოლომდის კერ ჩავიკითხეთ ეს თხზულებათა გვირგვინი, ეს მეცნიერულ გამოკვლევათა სპეციალური ნიმუში.

მეორე თხზულება ბ.ნ. რ. ძამსაშვილს—ცამციკეს კეთონის. ეს შრომა „შემოკლებული ისტორია“ არის, ანუ უკეთესთქათა უფრო მოთხრობათა ქართულ საფხის ცნობრებაზე, კიდრე ისტორიას, როგორც საზოგადოდ ესმითო — თავდაბლობით გვეუბნება ავტორი წინა-სიტყვაობაში და თანაც სწივის რიგისამებრ წყაროების უქონლობაზე და მასალების გამოურჩევლობაზე ისტორიის რიგინად შემუშავებისათვის.

კარგი და კეთილი. ამ გარემოებს სსხეში მივიღებთ: ჩვენი ისტორია სსხალხო სკოლებისათვის არის დაწერილია უბრალო და მდაბიურის ენითაო, — კვლავ გვეუბნება იგი. ესეც ჰატიოსანი. მასსადაძე ბ-ნის ძამსაშვილის ისტორიის ხასიათი შემდგობია. ერთის მხრით იგი არ არის მტკიცედ, მეცნიერულად შედგენილი სისტემატიური გურსი საჭარტველოს ისტორიისა, საცა ყოველი ძაქტი — თვით სიმძრთლეს, თავის ალაგას სის; ყოველივე ციქირი — შეურყეველი ბობია, თვით მცირე რამ ცნობაც ბრძმელსა შინა გამოკლებული ოქროსა და მეცნიერულ ანალიზით გამორკვეული. — მეორეს მხრით ეს ისტორია არის მოსწავლე, მოზარდის თაობისათვის დაწერილი და მასსადაძე ყოველს ჰედაგოგიურს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ქართულად ასე გამოდის: ეს ჩემი თხზულება თუმცა მეცნიერული არ არის, მაგრამ ჰედაგოგიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება გი შეუძლიანო, ანუ სკოლებში სახმარებლად ვარგიაო. ე. ი. თან მეცნიერული არ არის და თანაც მეცნიერულიაო.

მკითხველსა ვსთხოვთ, ეს მოუნებელი აზრი, ეს ორი ერთად მოუთავსებელი შეხედულება ერთსა და იმავე საგანზე, დროებით მოათავსოს როგორმე ერთად, ვიდრე არ დამტკიცდება, რა უთავ-ბოლო შრომა უნდა იყოს ბ-ის ძამსაშვილის — ცმციკვის შრომა და რა ასწრავებული თხზულება უნდა იყოს მისი შემოკლებული «საჭარტველოს ისტორია».

მართალია, ათასჯერ მართალია, რომ შემოკლებული ისტორია ძამსაშვილისა არავფრს მეცნიერულს არ წარმოადგენს. ძაქტიურის მხრით მასში იპოვება მრავალი შეცდომილება, რომელთაც აქ გაკვრით დავასახლებთ. ფილოსოფიურის მხრით ისტორია ძამსაშვილისა აგრეთვე ვერ აკმაყოფილებს კრიტიკის

მოთხოვნილებას. — იგი არ სჩვენებს, როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა საქართველოს ხალხი, მისი ჭკუა, გონება და გამორცდილება. ე. ი. ისტორიაში არ არის ის, რაც მის ჰიბრეულს დანიშნულებას შეადგენს: ესა და ეს ხალხი ამ დროს რა მდგომარეობაში იყო, შემდეგ როგორ შეიცვალა ეს მდგომარეობა და როგორ მიიღო ერმა ის სახე, რა სახეც მას ესლას აქვს. ანუ ნადირის მდგომარეობიდან როგორ გამოვიდა რომელიმე ხალხი, მიწაზედ როგორ დამკვიდრდა, გააშენა სოფლები, ქალაქები, შექმნა კულტურა და კაცად-კაცობა როგორ განიმტკიცა და განივითარა. აი საგანი ისტორიისა. შენც არ მომიკვდე, ამას ვერ ჭხედავდე ძამსაშვილის ისტორიაში. ამ ისტორიაში ცხადად ჭხედავ მხოლოდ ერთს: რომ ქართველები მუდამ განვითარებულნი და გონიერნი იყვნენ, ყოველთვის მამაცი, სულ-გრძელნი და მტერს თითქმის მუდამ ამარცხებდნენ. ის დრო, რა დრო იყო, როცა ქართველმა კაცმა არ იცოდა მოქალაქობა, გონების ვარჯიშობა, არ ჭქონდა ზნეობის სიწმინდე და გემოვნება აღზდილი, — ამასუ ჩვენ არაფერი არ შეგვიძლიან გამოვიტანოთ ძამსაშვილის ისტორიიდან. საფუძველი ისტორიისა, დედა-აზრი მისი — შრომერესიული ზრდა და განვითარება ხალხისა, ერისა, განმტკიცება მისის ჭკუისა და გონებისა, ეროვნობის ცნობიერობის გაძლიერება და საზოგადოებრივის სინდიკატის სიწმინდე, კულტურის შემდეგ ნომადობა, ნომადობის შემდეგ მიწაზედ მტკიცედ დამყარება მის შემოქმედებისათვის, შემდეგ სელონობის აღორძინება, აჭება და მიტება, ვაჭრობა და ფული, თოფი და ძარბა, — ერთის სიტყვით თანდათანობითი ზრდა ერისა ზნეობრივი, ნიკთიერი და კულტურული, ეს ქვა-კუთხედი, ეს სული ისტორიისა, სულ შეტია, ძამსაშვილის აზრით, ისტორიის სახელმძღვანელოსათვის.

რაც შეეხება ჰელაგოგიურს მოთხოვნებს, რომელსაც გვერდი ვერ აკელება მოზარდ-თაობისათვის დანიშნულს სასელ-მძღვანელოში, არც ეს მოთხოვნებსა დაკმაყოფილებული ავ-ტორის შრომაში. რომ გადაფურცლოთ ძამსაშვილის ისტო-რია და ჩაიკითხოთ ბოლომდის, თქვენ შესვდებით მრავალს ჭაჭტებს, ერთმანერთსედ მიუჩილს, განუწყვეტელს მასალას, სა-დაც ვერ შეამჩნევს განუვითარებელი კაცი, რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რას—მცირე; რომელი ჭაჭტია საგულის-სმიერო და ღირს-სახსოვარი, რომელი—მხოლოდ საინტერე-სო, მნიშვნელობას მოკლებული და გამართობელი. მოსწავლე ბავშვს რომ მისცე ეს სასელმძღვანელო, სულ თავ-გზას დაჭკარ-გავს, თვალები აუჭრელდება და გონებას დაუბნევს. მის თავში მხოლოდ ციფირები, ქრონოლოგიური ცნობები და აუარებუ-ლი სასელები მეფეთა და კიდევ მეფეთა აირეკა, ხოლო აზრი კი, თვით შინააზრი, თვით სული ისტორიისა სულიდამ გამოეც-ლება.

ჭაჭტიკურის მხრით ცხადია, რომ ისტორია შემოკლე-ბული, გინა გავრცელებული, როგორც მოვიხსენეთ, ძნელი შე-სადგენელია. „ქართლის-ცხოვრება“, ეს თითქმის ერთად-ერთი ბურჯი, რომელზედაც ვაძს შეუძლიან დაემყაროს, არის მა-ტიანე და მხოლოდ მათიანე. როგორც უკველს მათიანეში ისე «ქართლის ცხოვრებაშიც» შეკრებილი მასალა კრიტიკულს განხილვას მოითხოვს, მეცნიერულ გარკვევას საჭიროებს. რო-ცა საისტორიო და საარხეოლოგიო მეცნიერება განარკვევს ამ შეუშუშაკებულს და ჯერ უვარგისს მასალას, გასწმენდს, განა-სუფთავებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება მასზედ დამყარება.

ჩვენს ქართლის ცხოვრებას ის ღირსებაც არა აქვს, რაც ნამდვილს მათიანეს, რომელიც ისტორიულ მოკლენათა თანა-

მედროვე მწერალისაგან არის აღწერილი. აქნობამდე მანც გეჭონდა ეს ეკვი «ქართლის ცხოვრებასე», როგორც მატია-
 ნუზე. ვასტანგ მეექვსე ამბობს მის შესახებ, რომ მე შევეკრი-
 ბეო მატიანენი სხვა-და-სხვა ადგილიდამ, გაკასწორეთ და ისე
 დავბეჭდეთო. ვინ იცის წელთა-მწერალთაგან იყო დაწერილი ის
 მატიანენი, რომელიც მან შეჭკობა, თუ არა. ვსთქვათ ასეც
 იყო. მერე რაც მისმა ბძქენმა კაცებმა გაასწორეს, სწორედ
 გასწორებად შეიძლება ჩაითვალოს? იქნება კი არ გაასწორეს,
 უფრო აურ-დაურეეს, რადგან მამინ არც მეცნიერულის გამო-
 კვლევისა და არც ჭეშმარიტების ძიების სახსრები და ხერხები
 იყო ისე ცნობილი და ჩვეულებად გადაჭეუელი, როგორც ეს-
 ლა, და არც ისტორიული განკითხება იყო დიდი იმ დროს.
 კარვია კიდევ, ესლა ვიცით, რომ სოგიერთა ნაწილი «ქარ-
 თლის-ცხოვრებისა» ნამდვილს მატიანეს წარმოადგენს, თანა-
 მედროვე წელთა-მწერალისაგან ნაღვაწს. მაგრამ, კიდევ კამბობთ
 ნამდვილი მატიანეც რომ გეჭონდეს სელში, ეს კიდევ არა ვმა-
 რა ისტორიულის შრომის დაწერისათვის. არა ვმარა კიდევ, რომ
 მოკლენის თანა-მედროვე მემატიანე იჯდა და ნიშნავდა ქალა-
 დსე მოკლენას. სხვათა ზირობათა შორის მემატიანე ერთს ზი-
 რობასაც უნდ აკმაყოფილებდეს, სიმართლიანად აღწერდეს ქაქტს,
 მოკლენას. ხოლო ეს ზირობა არ მოეთსოკება. მკვლეს წელთა-
 მწერალს. იგი გაგონილს, შეთხზულს, საამბობს და ნახულს
 სშირად ერთად ურევს. თავის მსჯელობით და გრძნობით შიგ
 ერევა ქაქტის მოთხრობაში. სჯის ისე, როგორც აგონებს გუ-
 ლი და გონება. ხოლო გული და გონება მისი მოცულთა ცრუ-
 მორწმუნეობით, შიშით, სასოებით და სხვა-და-სხვა ვნებათა
 ლეღვით, რომელიც მას ბეკრად უმლის სელს სიმართლიანად
 ქაქტის აღნიშვნისათვის, სწორე და შეუპოვარს მსჯელობისა-
 თვის.

აი ამისათვის არის, რომ ის შეცდომანი, რომელიც „ქართლის ცხოვრებისა» ძამსაშვილის ისტორიასაც გამოეჩინა. ჩვენ ვგეგმავთ სხვა-და-სხვა საისტორიო ნაწილებს და თხზულებას და რაც თვითვეულში შეცდომა იყო, ის ჩვენ არ გამოეჩინა. ვსთქვამთ ერთსა და ორს ისტორიულს წიგნში ორიოდ სანი ძაქტი ნამდვილად გამოკვლეულია, ორიოდ, სანი მოსაზრება და მოვლენათა განმარტება ნამდვილია, აქედამ კიდევ ის არ გამოდის, რომ ძაქტების შესახებ ძამსაშვილი აქ არ გამოეჩინა შეცდომას მესამე და მეოთხე თხზულებისას და ამ უკანასკნელებში მათი განმარტება არ ეჩვენებოდა ჩვენს ავტორს უფრო სიმართლიანად. «ქართლის-ცხოვრების» შეცდომას, ვსთქვამთ, იმეორებს ვასუშტი, ვასუშტისას—თეიმურაზ ბატონის-შვილი და სხვ., ვინ არის განმარტებული, რომ სწორედ რაც მათა აქვთ შეცდომით მოუყანილი, ის ძამსაშვილმაც არ მოიხსენა შეცდომითვე, და რაც იქნება სიმართლით არის მათგან აღწერილი, სწორედ ის არ გამოეჩინა, შეცდომა არ ეგონა. ვიმეორებთ, სად არის ისე კრიტიკულად გასწავლილი ჩვენი საისტორიო წყარო და მასალანი, სად და როდის განარკვეა ივინი ისეთმა კაცმა, რომელიც მეცნიერულის იარაღით ყოფილიყო შეჭურვილი, რომ ვიცოდეთ ან მე, ან იმან, რომ აი ესა და ეს შეცდომაა, ესა და ეს მართალი და ჭეშმარიტებაა. ვინ შეუთანასწორა ჩვენის მატანეს ნამდვილი სხვათა მოსამსჯელე ქვეყანათა მატანეთა ერთსა და იმავე დროს. ე. ი. სინქრონულის მეტოდით ვინ განარკვეა «ქართლის-ცხოვრება» და სხვ. და სხვ.

ამ მიზეზებისაგან წარმოსდგება, რომ ძაქტიკური შეცდომა ბევრი მოიხილება ბ-ნ ძამსაშვილის შრომასში. თუნდ ის, რომ საქართულოს სამსჯელები იყო: შავი ზღვა და კასპიის

ზღვა, ვაკვასიის მთები და მდ. არეზიო. ეს სომ ჰოლიტიკური სამზღვრები იყო და ისიც მხოლოდ ერთის ეპოქის განმავლობაში. ეტნოგრაფიულს სამზღვრებს ვი არ უჩვენებს ძამსა-შვილი არსად თავის თხზულებაში. სემისამიდა და სეზოსტრისი შემოვიდნენ საქართველოში, სეზოსტრისმა დასტოვა საქართველოში 4,000 ეკვიპტელნი, რომელთაც შეერთეს ქართველი ქალები და დამკვიდრდნენ ჩვენშიო. საიდგან და რით შეიძლება ან ერთისა და ან მეორე ამის დამტკიცება? ეს არის მხოლოდ ზღაპარ-თქმულება და ძამსაშვილის შრომაში თავისი სასული უნდა ერქვას. ავტორმა ვი ეს მოგვითხრო დოგმატიკურის კილოთი, რომლის შესახებ ეჭვიც ვი არაკინ უნდა ვაბუდოს. ავრეთიკვა მოთხრობა ალექსანდრე მაკედონელის ყოფნაზე საქართველოში, რომლის შესახებ დამტკიცებულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი არა ყოფილა სრულიად ჩვენს ქვეყანაში. ფარნაოზ მეფემ შემოიღო მხედრული წერაო. რითი შეიძლება ან ამის დამტკიცება. მატინე ამბობს ამას, მაგრამ მისი სიტყვა მის სიტყვადვე უნდა იყოს მოხსენებული თანამედროვე საისტორიო შრომაში. ჰალეოგრაფიული მეცნიერება ვი უფრო იმას ამტკიცებს, რომ მხედრული წერა სუტურის შემდეგ შემოვიდა და მისგან გამოერკვია: რომ მეცხრე ან მეათე საუკუნეს ქრ. აქეთ უნდა ეკუთვნოდეს მისი, შემოღებაო. ბევრს აღარ გამოკვიდებით ამ მხრივ ბ-ნს ავტორს.

ორიოდე სიტყვასაც ვიტყვით ბ-ნ ძამსაშვილის ისტორიის გამოცემასზედ ზ ამით გავათავებთ ჩვენს შენიშვნებს. «მოკლე საქართველოს ისტორია» ძალიან დაბალ ხარისხის ქალაღზსუა გამოცემული და შედარებით ვი ძალიან ძვირად (70 კაზ.) ღირს. თუმცა ეს ასეა, მაინც ისე ძლიერია ჩვენში საქართველოს მოკლე ისტორიის წიგნის საჭიროება და მოთ-

სოკნილება, ისე სწუყრინს ხალხს ცოდნა თავის წარსულისა, რომ იგი არ ერიდება არც წიგნის სიძვირეს და არც მის ნაკლებულეკანებას. როგორც დაგვარწმუნე, მარტო ქუთაისში გაყიდულა ამ წიგნის 400-მდე ეგზემპლიარი სულ ორის კვირის განმავლობაში. პირველი მაგალითია ამ გვარ გამოცემითათვის ჩვენის მწიგნობრობის ვაჭრობაში. კარგი ნიშანიც არის ჩვენის ერის გამოფინილებისა და კინატროთ მსოფლოდ, რომ უფრო რიგიანის და კარგის შრომით დაკმაყოფილებულიყოს ეს სურვილი ერისა და ქვეყნისა. ხოლო ბ-ნს ძამსაშვილს იმისთვისაც მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ მას შეუგნია ხალხის უაღრესი საჭიროება და როგორც შესძლება, ისე მოუხდომებია მისი დაკმაყოფილება. ზოგს ძამსაშვილის შრომა წინ ნაბიჯის წადგმად კი არა, გზის ასკვად მიანია, მაგრამ ეს ჩვენ შეცდომა გვკონია. ძამსაშვილის ნაკლებეკანებით სავსე შრომას მოჭეკება უფრო რიგიანი შრომა. ამ უკანასკნელს კიდევ უფრო კარგი და ამ გვარად მოგვმოადება თავიდან ია უმეტრება წარსულისა, რომლითაც მოცულია ესლა ჩვენი გონება, ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ. როგორც ვიცით, ძამსაშვილის ცდა პირველი მაგალითია ჩვენში: პირველს დაწოზბილს საქმეს მუდამ მრავალი ბოძიგი სსკევრა. დრო და მეცადინეობა გაასწორებს ყოველს ამას და იქნება დიდმა ხანმა აღარ გაიაროს და ჩვენც გვადირსოს ზედმა რიგიანად და მეცნიერულად დაწერილი ისტორია ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და მამა-პაპათ თავ-გადასაკვალზე.

უპუღბართი ნაბიჯი *)

«ნამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იცინან, რასა იქმან».

რადაც უცნაურს ვარსკლავსედ დაზადებულა ჩვენი სახალხო სკოლა. თითქმის ყოველი, ვინც კი ცოტადენის უფლებით არის შემოსილი, დაუძინებლივ მიესწრაფის და ცდილობს, რომ სახალხო სკოლა თავის წმინდა დანიშნულებას—ცოდნის ღ სწავლის მოფენას საფხში—დააცდინოს და გახადოს გადაბირების იარაღად. ერთი შედეგი ამ მიმართულებისა არის—შეუსაზამო მნიშვნელობა და ადგილი, რომელიც ჩვენს სახალხო სასწავლებლებში მიენიჭა რუსულს ენას. ამ ენის სწავლება მძიმე ტვირთად აჭვიდეს ერთ-კლასიან სახალხო სკოლებსაც, სადაც სამის წლის განმავლობაში ჩვენი ბავშვები ქართულს წიგნსაც ძლივსა სწავლობენ და კანაჩრობით იძენენ ელემენტალურს ცოდნასა.

ჩვენი სკოლა ამ ტვირთს კიდევ როგორმე აიტანდა, ერთს ვარკმობას რომ იგი საშინელს ღოდად არ გადაექცია. ზოგს სკოლებში რუსულის ენის სწავლება ქრისტიანულად როდი მომართეს, ტაშკენტურს გზავდ დააყენეს. ყველგან და ყოველთვის უცხო ენა უსწავლებიათ დედა-ენის შემწეობით ღ საგანგებოდ შედგენილ სახელმძღვანელოების დახმარებით. ჩვენში კი რუსულს ენას ასწავლიან რუსულს წიგნებში, რომელნიც რუსის ბავშვებისათვის არიან დანიშნულნი. ცოტად, თუ ბევრად ყველას ესმის ამ წე-

*) ეს წერილი სრულად და უცვლელად ვერ იბეჭდება.

სის უგუნურება; მაგრამ ბევრს არა აქვს მთლად ნაგრძნობი და შეგნებული, თუ რა მავნებელს უკიდურესობას წარმოადგენს ამ გვარი სწავლება უცხო ენისა. დედა-ენისათვის სასკლმძღვანელოს შედგენა და უცხო ენის სწავლებისათვის წიგნის შეთხზვა სულ სხვა-და-სხვა საფუძვლებზედ არის დამყარებული, რადგანაც პირველს შემთხვევაში ბავშვმა იცის ენა და მეორე შემთხვევაში კი სრულიად უმეცარია. დედა-ენის სასკლმძღვანელო აგებულია სხვა-და-სხვა ივერობის პრინციპზედ: რაკდენადაც უფრო ძლიერია იგი სხვა-და-სხვა სიტყვებით, მათის ერთმანერთთან დაკავშირებით, სალსონსურის გამოთქმებითა, იმდენი უფრო სასარგებლო და მიმზიდველია ბავშვისათვის. უცხო ენის შესწავლისათვის დანიშნული სასკლმძღვანელო კი ყოველთვის არის აშენებული ერთსფერობაზედ: აქ განსაზღვრულს რაოდენობას სიტყვებისას წიგნის შემადგენელი არასოდეს არ უნდა გადავიდეს; წინააღმდეგს შემთხვევაში ბავშვის გონებას გადამეტებულს სამუშაოს მისცემს და წარმატებას შეუძლებელს გასდის.

რომ ჩვენი აზრი ცხადი გავხადოთ, ანთიმეტეიკას დავისმარებთ. შვიდი-რვა წლის ბავშვს შეუძლიან ერთის წლის განმავლობაში დაისწავლოს ხუთას-ექვსასი უცხო სიტყვა. ამიტომ სასკლმძღვანელო უცხო ენისა, პირველის წლისათვის დანიშნული, უნდა იზყოფდეს მხოლოდ ექვსასამდის სიტყვას და ავარჯიშებდეს ბავშვს მათ დაკავშირებაში ერთმანერთთან. რუსულს საბავშვო სასკლმძღვანელოებში კი, რომელნიც ჩვენს სკოლებში არიან მიღებული, კერწასავთ იმისთანა პატარა წიგნსა, რომელშიაც სუთი-ათასზედ ნაკლები სხვა-და-სხვა სიტყვა დაითვლებოდეს. აიღეთ, მაგალითად, პაულისონის პირველ საკითხავი წიგნი, დასთვალოთ პირველს ხუთს ფურცელზედ მოთხრო-

ბებში მოთავსებული სსკა-და-სსკა სიტყვები და თქვენ დაწმუნდებით, რომ ეს ხუთი ფურცელი იხერხებს მთელის წლის სიტყვიერს მასალას ქართველის ბავშვისათვის, ჩადგან ათი ჰატარა მოთხრობა, ამ ხუთს ფურცელზედ მოთავსებული, შესდგება ექვსასზედ მეტს სიტყვიდან. ეს სიმრავლე სიტყვებისა წარმოსდგება იქიდან, რომ ყოველი შეძგეო მოთხრობა იხერხებს სრულიად სსკა სიტყვებსა, ვიდრე წინანდელი, ამის გამო ბავშვი დღეს ნასწავლს სიტყვებს სვლის გაკვეთილში ვერ იმეორებს, და სვალ გაცნობილს სიტყვებს ზეგ კვლარ შესვდება მოთხრობაში. წარმატება კი ყოველს სწავლაში, როგორც მოგხსენებათ, დამყარებულია გამოცრებაზედ, რომელიც საზოგადოდ ითვლება სწავლის დედად, და ენის შესწავლაში კი დედაც უნდა ჩაირიცხოს და მამაც. ჩადგანაც თითქმის ყოველი შეძგეო მოთხრობა წინანდელს სრულიად არა ჰგავს ლექსიკონითა და შესდგება სსკა, ჯერედ ბავშვისთვის უცნობის სიტყვიერიდან, ამიტომ მას ყოველ-დღე ახალის ლექსიკონის დასწავლა ძლიერ უძნელდება და ამ სიძნელის დამლევის დროს ავიწყდება წინანდლით დასწავლილი სიტყვები, ამ გვარად ბავშვის გონება თან-და-თან ითვისებს სწორედ ცხრილის სასიათსა, რომელშიაც წყალი არა დგება, რაც უნდა ბერძი ასსა შიგა. ამ გვარად უგვარო ვარჯიშობა ტვინს სწორედ ისევე ასუსტებს და ახშობს, როგორც მუცელს საჭმელი, რომელიც გუჭში არა დგება და ნოყიერს ნაწილებს არა სტოვებს სსკულში.

მეორე ნაკლულეკნება თავის მკვებლობით ამას ძირს არ ჩამოუვა. ბავშვმა უცხო ენიდან ჯერ უნდა შეისწავლოს ის ძირები, რომელნიც მისს დედა-ენასაცა აქვს და მერმე შეუდგეს იმ ძირების შეთვისებასაც, რომელნიც შეადგენს განსაკუთრებულს თვისებას უცხო ენისას. ამასთან ბავშვი ენის ძირ-

მებს უნდა გააცნო თან-და-თან, ცოტ-ცოტათი და არას დროს ერთს გაკვეთილში რაკდენისამე ჭორმის გაცნობას არ უნდა გამოუყენო. ეს ელემენტარული აქსიომაა და მის უარ-ყოფა უცხოენის სწავლების დროს ხეივს არ დააყრის არც ბავშვის გონების განხნას საზოგადოდ და არც ენის შესწავლას—გერძოდ. აიღეთ ახლა რუსული საკითხავი წიგნები, ჩვენს სკოლებში გავრცელებული, და თქვენ ჰირველსაკე მოთხრობებში ნახათ, მაგალითად, სქესურს დაბოლოებით, რომელსაც ქართული ენა სრულიად მოკლებულია, ჭ იმისთანა რუსულის ენის გასაკუთრებულს სიტყვის ნაწილებსა, როგორც არის дѣпричастіе. რა უნდა გააწყოს ბავშვის გონებამ ამ უცხო ჭორმების გაუკალს ტეში და რა გზით შეუძლიან მას გადაჩქეს დაუხშევი და დაუმანხეველი.

დაუმატეთ ამას სრულიად უცხო, გაუგებარი შინაარსი, რუსულის ცხოვრებიდგან ამოღებულნი, რომელიც დედა-ენაზედაც რომ იყოს გამოთქმული, მაშინაც კი მიხდომბ მისი ბავშვის გაუძნედეება, და თქვენ დამეთანხმებით, რომ ჩვენს სკოლებში რუსულის ენის ამ გვარი სწავლა შეადგენს მართლა რომ მძიმე ტვირთსა.

* *

ესრეთი ტაშკენტური მიმართულება რუსულის ენის სწავლებისა მით უფრო მოუთმენელია, რომ კაი ხანია წამალი აღმოჩენილია ამ სენისა, გაკვეთულია ქრისტიანული გზა, რომელზედაც გადასკვისათვის ლიტონის სურვილის მეტი არა არის რა საჭირო. ცამეტიოდე წლის წინად ერთმა განათლებულმა ქართველმა, საუბედუროდ უდროვოდ დაკარგულმა, შეადგინა მეთოდური სახელმძღვანელო რუსულის ენისა ქართველთათვის, განსვენებული—გერასიმე კალანდაჩიშვილი—იყო იშვიათის ნი-

ჭის, მხნეობის და პატიოსნების კაცია. ამასთან იგი თვითონ სწავლიდა რუსულს ენას თოთხმეტის წლის განმავლობაში სასწავლებელში, რომლის მმართველად იგი იყო დანიშნული. როგორც თეორიით, ისე პრაქტიკით მას კარგადა ჰქონდა შესწავლილი საგანი, რომლის სწავლებას სწორე, ნაყოფიერ გზაზედ სურდა დაეყენებინა. ამიტომაც სახელმძღვანელო მისი აღმოჩნდა სისტემატიურად შემუშავებული და პედაგოგიურად დალაგებული. ვინც კი გულ-დადებით გაიცნობს ამ სახელმძღვანელოს და თავის მსჯელობას სვინიდიუსზედ დაამყარებს, არ შეუძლიან არა სთქვას, რომ პედაგოგიის მოთხროვნილებანი: ადვილიდგან გადადი ძნელზედ, მარტივიდგან რთულზედ, ნაცნობიდგან უცნობზედ, ახლოელიდგან შორეულზედ, მეტ-ნაკლებობით არ იყოს დაცული ამ სახელმძღვანელოში.

პირველი პარაგრაფები ისე არიან შედგენილნი, რომ თითქმის ყოველს წინადადებაში სიტყვებს აქვთ დასაწყისი ფორმა და სახელობით ბრუნვის გარდა ბავშვს სხვა ბრუნვა თითქმის არა ხვდება. ამ პირველს პარაგრაფებში ვერ შეხვდებით ვერც სქესურს დაბოლოებას, რომელიც ჩვენის ბავშვისათვის შეადგენს უცხო, ძნელად შესათვისებელს ენის ფორმასა. სახელმძღვანელოში საზოგადოდ წინ არიან მოქცეულნი ის ფორმები რუსულის ენისა, რომელნიც ქართულს ენასაცა აქვს ჯ მხოლოდ შემდეგში მისდევს მათ განსაკუთრებული ფორმები რუსულის ენისა, რომელნიც უფრო ძნელნი არიან შესათვისებლად. სიტყვები და ფრაზები შეეხებიან ჯერ იმ საგნებსა, რომელნიც გარს ახვევიან ბავშვსა და რომელნიც უფრო ხშირად იხმარებიან ლაპარაკში და საბავშვო მოთხრობებში, შემდეგში შეხვდებათ სახელები და ფრაზები შორეულის საგნებისა. გრამატიკიდან არიან მოყვანილნი ელემენტარული ცნობანი მხო-

ლოდ სიტყვის ნაწილებზედ, ზმნების უღვლილებასზედ და სს-სელების ბრუნვასზედ, იმისთანა ცნობები, რომელნიც მიუცდილებულს საჭიროებად მიაჩნიათ მოსამზადებელის გუჩისათვის იმ პედაგოგებსაც კი, რომელნიც გრამატიკას ენის სწავლებაში მცირე მნიშვნელობას აძლევენ. ამასთან ვეკვან, სადაც კი საჭიროა, რუსულის ენის ძირებში შედარებულია ქართულის ენის ძირებთან. ქრისტომასტიული ნაწილი ამ უამად შეიცავს სამოც პატარ-პატარა მოთხრობასა, რომელნიც ან ქართულიდან არიან ნათარქმნი, ან სასოკადოდ შინაარსი აქვთ სრულიად ადვილი გასაკები ქართულის ბავშვისათვის. წიგნის ბოლოს ლექსიკონია დაბეჭდილი, რომელიც ბავშვს ღონისძიებას აძლევს ყოველ უცნობის სიტყვის მნიშვნელობა მასინვე გაიგოს და თუთიყუშსავით გაუგებრად არც ერთი სიტყვა არ დაისწავლოს.

ეს ღირსებანი სახელმძღვანელოსი ერთმა პატრიოსანმა რუსის პედაგოგმა, რომელიც თვითონ ჩინებული სპეციალისტი იყო რუსულს ენაში და რომელმაც შეადგინა მშვენივრად—პედაგოგიურად შემუშავებული რუსული გრამატიკა, ღირსეულად დაათვას, სიხარულით მიეგება მის მოკვლენასა, აჩვენა მისი უზარატესობა მის გვარს წიგნებზედ (მაგალითად მარგოს წიგნზედ) და გამოაცხადა იმედი, რომ ეს წიგნი სახელმწიფო ენის სწავლებას დააყენებს სწორე და ნაყოფიერს გზასედაო.

ეს იმედი ასრულდებოდა მეტ-ნაკლებობით, ჩვენში რომ წმინდა წელის პედაგოგები ბლომად ყოფილიყვნენ და იყვნენ. მაგრამ საუბედუროდ, ამ გვარნი პირნი ჩვენში ბევრნი არ არიან. რომელს სასწავლებელშიაც კი ამ სახელმძღვანელომ მოიკიდა ფეხი, ვეკვან გონივრულს გზასზედ დააყენა რუსულის ენის სწავლება. როდესაც ამ რვა წლის წინად პეტერბურგიდან გამოგზავნილმა რევიზორმა დაშინჯა ჩვენებური სასუ-

ლიერო სასწავლებლები, გაკვირვებული დარჩნა, სხვათა შორის, რუსულის ენის გონივრულის ცოდნით თბილისის და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში და წაიღო პეტერბურგში მთელი გროვა მოწაფეების თხზულებებისა, რომელნიც კლასში მის თვალ-წინ იყვნენ დაწერილნი. ერთი უმთავრესთაგანი მიზეზი ამ წარმატებისა იყო—გონივრული სმარება მოსამზადებელს კლასში კალანდარიშვილის სასკლმძღვანელოსი, რომელს გარემოებასაც რევიზორმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია.

მაგრამ უმეტეს ნაწილ სასწავლებლებში კი ამ სასკლმძღვანელოს გზა შეეკრა ჯ რუსულის ენის სწავლება რუსულის წიგნების ანბანადვე დარჩნა. რადა? იმიტომ, რომ ზოგიერთა გაუბატონების დევისი იყო და არის: რუსულის ენის სწავლება რუსულისავე ენის შემწეობით. იმათ იმ გვარი სწავლება რუსულის ენისა, როგორც ასწავლიან ევროპიულს ენებს გუვერნიორები, რომელთაც ბავშვის დედა-ენა სრულიად არ იცინან, იღვალად მიაჩნიათ. ისინი ჩვენის სკოლების მასწავლებელად ნატრულობენ იმისთანა პირთა, რომელთაც ქართული სრულიად არ ესმით; რუსულის გაუგებარ სიტყვების სასწავლებლად რუსულ-ქართულს ლექსიგონს კი არ უგზავნიან მასწავლებელთა, მათთვის იბარებენ ძვირფასს აკადემიურს სლოვარსა, რომ ქართულის ენის უცოდინარმა მასწავლებელმა გამოიყენოს ეს უცხოელი გამოცემა. კალანდარიშვილის სასკლმძღვანელო ამ მიმართულებას წინ ეღობოდა და ფრთას ჰკვეცდა. იგი რუსულის ენის სწავლებას იმ ფეხზედ აყენებდა, როგორცედაც უნდა დადგეს ყოველ უცხო ენის სწავლება. იგი ითხოვდა რუსულს ენაში ვარჯიშობას ქართულის შემწეობით; ქართულს ტექსტს კჭირა თითქმის ნახევარი წიგნი და რუსულს ენის გაკვეთილებზედაც ბავშვი ვარჯიშობდა სამშობლო ენის და წიგნის შესწავლა-

ში; იგი მოითხოვდა, რომ რუსულს ენას, რუსულს კითხვა-წერას და რუსულს გრამატიკას გასძღვლოდა უთუოდ ქართულის ენის, ქართულის კითხვა-წერის და ქართულის გრამატიკის ცოდნა. იგი შეუძლებლად ხდიდა სკოლაში მასწავლებლად ქართულის არა-მცოდნე პირსა.

ერთვის სიტყვით წიგნი იყო ნამდვილი ნაყოფი ჩვენის პედაგოგიისა.

და მოდი ამის შემდეგ და გული ნუ მოუვიდოდათ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ტაშკენტურს გზას მტკიცედ ადგანან პედაგოგიაში. მათ უოკული ღონის-ძიება იხმარეს იმ სახელმძღვანელოს გზის შეკვრისათვის, შინაურმა უგულმართებმაც ბანი მისცეს და ამის შედეგი შეიქნა ისა, რომ არსებობს ბრძოლაში წიგნს ძლიერ დასძლიეს რუსულმა წიგნებმა, რუსულის ავტორებისაგან შედგენილებმა და რუსეთის ბავშვებისთვის დანიშნულებმა. წელიწადში ჩვენს ქართულს სკოლებში იყიდება, დაახლოვებით რომ ვთქვათ, ექვსი ათასი ეგზემპლარი რუსულის ენის სახელმძღვანელოებისა. ამ რიცხვში «родное слово»-ს, «даръ слово»-ს, «нашъ другъ»-ს და სხვა პეტრბურგის და მოსკოვის პედაგოგების წიგნებს წილად ხვდებათ ოთხი-ათას-ხუთასამდის ეგზემპლარი, და კალანდარიშვილისას კი მხოლოდ დანარჩენი მცირე რიცხვი ათას-ხუთასი ეგზემპლარი.

ამ გვარია საქმის მდგომარეობა! გამოუსადევარს, სრულიად უცხო წიგნებს, მესხიერების და გონების დამამახინჯებელს, განიერი გზა აქვთ გახსნილი ჩვენის სკოლებისაკენ, და სასარგებლო წიგნისთვის კი თითქმის სრულიად შეკრულია ეს გზა.

ქვლას წარმოიდგინეთ, რომ ამისთანა უსამართლო მდგომარეობის დროსა, როდესაც წაღმართობა შევიწროებულია და უკუღმართობა გამარჯვებული, გამოვიდა ვინმე ჩვენგანი და სმას აღიმაღლა არა უშინსკის, ჰაუფსონის, გერბახის, ზარონ ვორცხის პედაგოგების სრულიად მავნე წიგნების წინააღმდეგ, არამედ მამაცურად გამოილაშქრა კალანდარიშვილის სასულიერო ნაწარმად, რომლის გაკიცხვისათვის და მისის ვითომ მავნელობის დამტკიცებისათვის არ ითავილა არც ქორი, არც ცილისწამება წიგნზე და არც გადასხვათეობა ზოგიერთა პედაგოგების აზრების ნაწილებებისა! რა უნდა დაერქვას ამისთანა შიკსს: მეგობარი სკენის სკოლისა, თუ მისი მოლაღატე? ღვთის ერთგული მოსამსახურე, თუ ეშმაკის მამებელი?

სამწუხაროდ, სწორედ ამ გვარი უკუღმართი საქმე დაემართა ავტორს იმ წერილისას, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ «ივერიის» თებერვლის წიგნში...

რამ აიძულა მისი დამწერი? ჩვენ არ გვიყვარს ბინძურის მიზღვის ძებნა რომელიმე მოქმედების სასახსნელად. ავტორის საქციელს ამიტომ არ მივაწერთ არც პიროვნის სიბრძნეს, არც წყალობის და სუბსიდიის ძებნას, თუნდაც მტკიცე საფუძველიც გვაქონდეს. ჩვენ ვსხნით მის უკუღმართის ნაბიჯს მხოლოდ უმეტრებით, რომელიც ჩსვირს ივით არასა ხედავს.

თქვენ სრულიადაც არ უნდა გაგიკვირდეთ ამისთანა წერილის დაბეჭდვა «ივერიაში.» «ივერია» მეტად სტუმარ-მოყვარეა და ბეჭდავს წერილებს არამც თუ შორი-ახლო მესობლების წინააღმდეგ, არამედ თვით რედაქტორების ნაწარმოების კრიტიკულს გარჩევასაც ყოველთვის ადგილს აძლევს. მაგრამ არ გგონოთ, რომ ჩვენ ბატ. ბორას ნაწარმოებს ვადარებთ იმისთანა წერილს, როგორც იყო, მაგალითად, ბატ. ხუდა-

დოკის კრიტიკული წერილი «ივერიაში.» მათ შუა თითქმის ისეთივე გაუზომელი მანძილი სძევს, რამოდენიც ენატანია ბატალინის ნაცოდელაში და, ესრედ ვსთქვათ, მისაილოკის კრიტიკულ წერილის შორის... «ივერიის» რედაქცია ღირსია ჩვენის გულითადის მადლობისა ამ წერილის დაბეჭდვისათვის, რადგანაც ამითი მარჯვე შემთხვევა მოგვცა ერთს საჭირო საგან-ზედ ქართულ საზოგადოებასთან მოგველაპარაკანა. თვითონ წერილის დამწერი კი რის ღირსია, ამას ესლაც მიხვდა მკითხველი და იმედი გვაქვს შემდეგში უფრო კარგად იგონდნოს.

როცა ბატ. ბორას წერილი წავიკითხეთ, ჩვენ მასინვე მოგვაგონდა ნეტარ-სესენებული ოთოთანთ ქორი. მოგვსენებათ, რომ ეს ქორი მეტად წუწვი რამ იყო. თავის გამორჩენა ძლიერ უნდოდა, მაგრამ ნაყოფიერის საქმისათვის კი წელი სწყუდებოდა. როდესაც გარეულს მტაცებელს ფრინველებს გამოუყენებდენ, ის იქვე მოტრიალდებოდა, შინაურს ფრინველებში ჩაეროდა და უფიჯგვირებდა. შინაური ფრინველები, მართალია, მალე კისერში ცემით გაგდებდენ სოლმე, მაგრამ ამ შემთხვევით საჩუბლობდენ კატაკტები, ყვავები და რავდენსამე წიწილს მოსტაცებდენ სოლმე. მაგრამ ოთოთანთ ქორის ქორი მაინც ერქვა, რაც უნდა უსეირო ყოფილიყო. წერილის ავტორს ამ სახელს ვერ დავუხსაკუთრებთ. ვერც იმაზედ დავეთანხმებით, რომ ის ქუთათური ბორასა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შთელს ქუთაისში ვერ იპოვნით ისეთს უმნო მზაძავს ოთოთანთ ქორისას. იგი არის—რადა დაკმალოთ ცოდო გამყლანებული სჯობია—ნამდვილი თბილელი კირკიტა. დიდი შეცდომა მოუყა ბ. ბორას, თუ ამ სახელის შეცვლაში საწყენს რსამე ნახავს. კირკიტაც ფრინველია ბორასავით და მასსადამე ფრინველის მითვისებული სახელი მას ზედაკე რჩება. განსხვავ-

კება მსოფლიდ იმასია რომ, ბოქა კეებერთელა მძლავრი ფრინ-
ველია, კირკიტა კი წვრილმანი და უღონო, პირველი საკუთა-
რის ძალით აკეთებს ყოველს საქმეს, მეორეს კი თუ წყვილი
კირკიტა მანინ ან დაქმნა, თავის საკუთარის ღონით ვერ
საქმეს ვერ გააჩივებს, თუნდა ეს საქმე ისეთივე ადვილი იყოს,
როგორც ჭოჩივანა წვრილის დაწერა.

რად გადაიცვა თბილელმა ფრინველმა ქუთათურის ტყავი?
ძალიან პატიოსანის მოსაზრებით: იმას სურდა ეჩვენებინა ჩვე-
ნის საზოგადოებისათვის, რომ ვითომ ქუთათური ბოქა ხანს
ამდგეს ღისის მთის იქიდვან იმ თბილელ კირკიტას, რომელიც
ერთ კანცელარის ღოცვა-გურთხევით და დაჩივებით ადგენს
ჩუსჩუსის უნის სახელმძღვანელოს და რომელიც ცდილობს კა-
ლანდაჩიშვილის წიგნის კიცხვით გზა გაუგვილოს თავის ტაშ-
კენტურ ჰედაგოგის ნაყოფსა.

დაიღ, რომდესაც ჩვენს გადაშობილებულს ხანაგში სუფევს მკვიდ-
რი ერთობა, სასტიკი სისტემა მოქმედებისა, ყოველი ნაბიჯი
გაზომილი აქვთ და ყოველი სიტყვა აწონილი და შეერთებული
ძალით მიისწრაფიან თავიანთ სურვილის მისაღწევად, ჩვენ, ჩვენის
გვატომობის დამცველნი და მის აღორძინების მონატრულნი,
ვართ საშინლად გატალ-ტალკეებულნი, არც გზა გვაქვს ბეჯითად
გაკვალული, არც პლანი მოქმედებისა მოსაზრებული და თუ
ჩვენგანი ვინმე მისდგეს სწორე გზასა და კვალში უდგია გა-
დამბირებელთ მოქმედებასა, ჩვენ არამც თუ ხელს არ წავასმარებთ,
არამედ რაღაც პირუტყულს სიამოვნებასა ვგრძნობთ, რომდესაც
მას კენჭების და ქვების სროლით ხელს ვუცრით და ვაბრკო-
ლეთ ან საკუთარის მოქმედებით, ან რომელისამე უსუსურის გაბ-
რჩევებით. რა გვენადგლება, თუ ამ უგუდმართობით მოწინააღ-
მდეგეს ვასარებთ და გუადვილებთ მას გულის-წადილის მიწეკასა!

მაგრამ, სასურველად, ჩვენს საბაკევიჩებზედ ცხადდება რუსული ანდაზა: მრჩოლავს ძროხას ღმერთი რქას როდი მიანიტებსო. ჩვენს კრიტიკოსსაც კიცხვის სურვილი დიდი დაჭყოლია, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ძალა ჭ ღონე ბუნებას მისთვის არ დაუნათლებია. მისი წერილი ამიტომ იმისთანა რამ ნაცოდელაჩია, რომ ხელის შეშლა არავისი შეუძლიან. მისი სისუსტე ისეთი აშკარაა, რომ ერთმა ჩემმა ნაცნობმა სუძრობით მითხრა: შენ თვითონ განძრავს დაგიწერია ეკ წერილი სუსტად, რომ ადვილი გამარჯვება დამისასურროვო. გამარჯვებისა რა მოკასსენოთ და მართლა მთელს წერილში სუფევს საშინელი სიწიწიროვე და წერილმანობა აზრისა, და ამ მხრით იგი ღირსეული ამსანაგია გადაღმეღის წერილისა «ღედა-ენის» წინააღმდეგ. ამოგლეჯა რავდენიმე სიტყვისა სასულმძღვანელოდგან, ან შეთხზვა სიტყვებისა, რომელნიც სასულმძღვანელოში არ მოიზოვებიან და ავტორს კი საჭიროდ მიანჩნია ეს სიტყვები წიგნის გაკიცხვისათვის, მოუსარშავი, მოუნულებელი აზრები, რომელთაც დასამტკიცებლად მოსდევს სშირად გადასწავთერებული ნაწიგებები ჰედაგოებისა, თუმცა ეს ჰედაგოები კირკიტის გვარისანი იყვნენ—აი რისაგან შესდგება შინაარსი მთელის წერილისა, რომლისათვის სწორედ აფსუსია ივერიული ქართული ენა. მთელს წერილში ვერ იზოვნით ვერც ერთს ანალიზს, ვერც ერთს დედა-აზრსა, ვერც ერთს გამოხატულებას, რომელთაც საგანი პრინციპის სძერაში აჭყავდეთ და იჭიდგან ანათებდენ მას. შკითხველი ამ წერილიდგან ვერ შეიტყობს ვერც იმას, თუ რა მიმართულებანი იბრძვიან ესლა ჩვენში რუსულის ენის შესწავლის დროსა, თუ რა მეთოდები არსებობენ საზოგადოდ უცხო ენების შესწავლისათვის, რა დროს და რა გარემოებაში სჯობიან ერთი მეთოდი მეორესა და სხვანი. ცხადია მხოლოდ

მკითხველისათვის ერთად-ერთი ლიტონი სურვილი ჯეტონისა: წერილმანად ჯიჯგონოს და გაჭკიცსოს სასკლმძღვანელო, რომ რომეორმე იგი დაამტკიცოს საზოგადოების თვალში და გზა შეუკრას. მაგრამ იგი თვითონვე ჩავარდება ორმოში, რომელსაც უთხრის სსკასა.

ჩვენ მსადა ვართ ყოველთვის აღმოვუჩინოთ შემწეობა პატიოსანთ და მტოდნე პიროთა, რომელნიც განიძრახებენ სასარგებლო წიგნებით გაამდიდრონ ჩვენი საზავმო და სახალხო ლიტერატურა; მაგრამ ჩვენი საზოგადოება არას დროს არ აბოგინებს ამ წმინდა ასპარეზზედ უკუღმართ პიროთა, რომელთაც საზოგადო ინტერესი სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ. ტყუილად ესვევიან ისინი ფრინველების ტყავში. ამითი ჩვენს საზოგადოებას ერთს წამსაც ვერ მოატყუებენ. ნუ დაავიწყდებათ მათ ის დღე, რომელიც ეზოპოსის სიტყვით დაადგა ერთს «ბუდაურსა», რომელსაც ღომის ტყავში გასვევით საზოგადოება უნდა მოკტყუებინა.

* * *

ბ. ბორამი ძლიერ მამაცად გამოილაშქრა სასკლმძღვანელოზედ, ისე მამაცად, რომ ბევრით წინ გაუსწრო თვით გადაღმელსაც კი. ანც აცივა, ანც აცსელა და იგი პირდაპირ მანუ წიგნად აღიარა. მაგრამ წიგნი შესდგება სამის განყოფილებისაგან: პირველი შეიცავს ანბანს, სიტყვებს, ძრახვებს და ელემენტარულს ცნობებს გრამატიკიდან, — მეორე საზავმო მოთხრობებს, გამოცანებს და ანდაზებს და მესამე — მოკლე რუსულ-ქართულ ლექსიკონსა, რომელ განყოფილებასა სთვლის მანუდა? ქრისტომატია იზურობს სამოცს პატარ-პატარა მოთხრობათა, რომელნიც თითქმის ყველანი ქართულიდან არიან გადათარგმნილნი, რომელთა შინაა ისი ნაცნობია ბავშვისათვის.

და რაც უნდა უმეტესი და მამაცი იყოს კაცი; ვერც გაბე-
დავს სთქვას, რომ ეს ქრისტომატია ბევრით ძალზე აზრ-
გეს უოკელს რუსულს პირველს საკითხავ წიგნებსეუდ ჩვენის ქარ-
თულის სკოლებისათვის. მაგრამ იქნება ბ. ბოროს ეს ნაწილიც
მავნებლად მიაჩნია სწორედ იმიტომ, რომ იგი ქართულის
თვისებისა და მას ამჯობინებს რომელსამე პეტერბურგის პე-
დაგოგის უსეიროთაგან უსეირო წიგნსა? ჩვენ ეს არა გვეო-
ნია, რადგანაც უოკელს უმეტრებს საზღვარი უნდა ჰქონდეს.
ლექსიკონი რუსულ-ქართულია და ვერ დავიფიქრებთ, რომ იგი
მავნედ მიაჩნდეს იმის გამო, რომ რუსული სიტყვები ქართუ-
ლად არიან განმარტებულნი და არა რუსულად. მასთანადამე დარ-
ჩა პირველი ნაწილი წიგნისა, რომელსაც ავტორი მავნებლად
რაცსავს. მაგრამ მოსაზრებანი, რომლითაც მას სწადიან გაა-
მართლოს თავისი მსჯელობა, ან ჭორბუდ ღ ტყუილსეუდ არიან
აშენებულნი ან მტენარ გაუგებრობაზედ.

ავტორი თავის წერილს, რომელიც აზრების დაუღაგებ-
ლობითა, წინ და უკან გადასტომ-გადამოსტომით გადაღმელის
წერილს ეჯობება, იწყებს უბრალო ჭორით და ამითი პირ-
ველსავე საბიჯზედ მკითხველს აჩვენებს, რომ მას წიგნის გან-
ხილვა კი არ უნდა საზოგადო სიკეთისათვის, არამედ სურს
მისი გაღანძვლა, გაუიცხვა. მეექვსე გამოცემის წინასიტყვაობა-
ში მთელს პირველს გვერდზედ ლაპარაკია წიგნის დანიშნულე-
ბაზედ ზავებებისათვის; მხოლოდ მეორე გვერდზედ ნათქვამია
გაკვრით: «ეს ნაკლულევანება უშლიდა წიგნის სმარებას იმ პირ-
თაცა (ზავებების გარდა), რომელთაც სურდათ თავის-თავად
ესწავლათ რუსული ენა. ეს უკანასკნელი სიტყვები მხოლოდ
აღიარებენ იმ ფაქტსა, რომ ჩვენში კალანდარიშვილის სახელ-
მძღვანელოს, სკოლის მოწაფეთათვის დანიშნულს, ხმარობენ

სოფიურთა მოზრდილნიც რუსულის ენის შესწავლისათვის, რად-
განაც მათთვის ცალკე წიგნი არ არსებობს. ზ. ბოჩას ეს სიტ-
ყეები არამც თუ სრულიად გადაუსხვათერებია, არამედ ადგილიც
უცვლდა, მეორე გვერდიდგან თავში გადაუტანია, გაკვერით ნათ-
ქვამისათვის უმთავრესი მნიშვნელობა მიუტნია და ღაღადებს:
წიგნი შედგენილია უმთავრესად დიდებისათვის და სკოლებში გი-
ცდილობენ მის გაგრცულებასა.—რა ძალა ადგა, როდესაც ამ
ჭოჩს სწერდა? ძალიან გულთ სურებია, რომ თავის-თავისა-
თვის მიეცა საბუთი, ესმარა რაკდენიმე სრდილობიანი სიტყუე-
ბი, რეგორც: შესამე ურმის თვალთ, მძიმე ტვირთი და არა
პედაგოგი. იმდენს ვერ მიმსგლარან აქამდის, რამ შვესუ და
ზრიუფლის სიტყუებით ვერასა სდებიან და მხოლოდ თავის-თავს
ანებენ არამც თუ ლილმუტები, არამედ ის მსსვილი მწერ-
ლებიც, რომელნიც თავის-თავს გულივერებად რაცსვენ. რას
მოეწია ამ ჭოჩებით ზ. ბოჩა? იმას, რომ ყოველივე ნდობა
დაუგარტა პირველსაკე ნაბიჯრედ თავის სიტყუებს იმ მეთსუე-
ლების თვალში, რომელთაც წიგნი გაცნობილი აქვთ, ან წერი-
ლის კითხვის დროს გაიტნობდენ. ასეთი შედეგი აქვს ყო-
ველთვის საქციელსა, რომელიც სდება პატიოსნებისა და ჭკუის
გარეშე.

მეორე ჭოჩი შეესება ვითომც წინააღმდეგობას მეექვსე ჭ
მეშვიდე გამოცემათა წინასიტყუაობის შუა. მეექვსე გამოცემის
წინასიტყუაობაში ხვენ კამბობდით, რომ განანდარბიშვილის სა-
სულმძღვანელოში რუსული ენა უნდა დაიწყო მას უგან, რო-
დესაც ბავუვი შესწავლის ქართულს წერა-კითხვას და შეითვი-
სებს ელემენტარულს ცნობებს ქართულის განამატივიდგანო. შემ-
დეგ პირდაპირ ვასანულებდით შესამე წელიწადს, რომელიც მასწავ-
ლებელთა კრებამ თბილისში დაასანულა უფრო მარჯუე დროდ

რუსულის ენის სწავლების დაწყებისათვის. ჩვენ ეს წინასიტყვაობა მეშვიდე გამოცემისათვის ჩაგურთეთ, რომ სახალხო სკოლების მასწავლებელთა ყოველთაგანს თავალწინა ჰქონდეთ ჩვენი აზრი ამ საგანზედ, თუმცა ეს წინასიტყვაობა ძლიერ არ ეპიტნავენათ და ამისგან კიდევ უფრო ერთგულად უგვრენ გზას წიგნსა. მეშვიდე გამოცემის წინასიტყვაობაში ჩვენ ვუხვევებთ რა იმ ქაგტსა, რომ რუსულის ენის სწავლება მესამე წელიდგან მეორე წელიწადს გადაიტანეს, (ამ ქაგტის დაფასებად იყო წინასიტყვაობაში, ვამბობთ, რომ მეორე წელიწადს სახელმძღვანელოდგან გამოსტოვონ ცნობები რუსულის გრამატიკიდან და მესამე წელს გადაიტანონ, რადგანაც მხოლოდ მესამე წლისათვის შეიძენენ ზავშეები საჭირო ელემენტარულს ცნობებს ქართულის გრამატიკიდან. პირველს შემთხვევაში ჩვენ ვაღვიარებთ ჩვენს აზრსა, მეორე შემთხვევაში ვუხვევებთ ოქტიანოვს ქაგტზედ და ვამბობთ თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ სახელმძღვანელო არ გაუჭმდეს და მისი სმარება შესაძლო ღ საზგო იყოს. ჩვენ არა გვგონია, რომ ამ შემთხვევაში სხვა გვარად მოქცევა შესაძლებელი ყოფილიყო. მართალია, ჩვენ შეგვეძლო სახელმძღვანელოს გამოცემაზედ სრულად ხელი აგვეღო, მაგრამ ამითი ვის გაკასარებდით?... ბურთი და შეიდასი სულ მთლად დარჩებოდათ უშინსკის, ჰაულსონის, გერბახის და სხვების წიგნებსა. ჩვენ ვარჩიეთ ისევ წიგნის გამოცემა და იმ ფეხზედ დაყენება, რომ შესძლებოდა... წმინდა რუსულ წიგნებთან. წინააღმდეგობას აქ მხოლოდ ის პირი ნახავს, რომელსაც კილვისთვის სული მისდის. ჩვენ შეგვეძლო სხვა გვარადაც მოქცეულვიყავით: გაგვეკეთებინა ტაშკენტურის მიმართულების სახელმძღვანელო და გამოგვეცა ნაცვლად კალანდარიშვილის სახელმძღვანელოსი; მაგრამ ეს ყოვლად პატიოსანი შრომა სხვისა-

თვის დაგვიტომა სამუდამოდ.

მესამე მიუტეკებელს ცოდვასაც ახრალეს ბატ. ბოჩა წინასიტუკაობასა. ოთხის წლის წინად ჩვენ გამოგვსტეკით აზრი, რომ რუსულის აღმაცერა შრიტტს ქართული სელი ვერ უდგება, რადგანაც ქართული წერა შესდგება პირდაპირის და მრგვალის ასოებიდან, და ვუჩიეთ . . . რომ რუსულიც ქართულსავით ეწერინებინათ მრგვალის და სწორე ასოებით. ჩვენი აზრი დამყარებული იყო და არის გამოცდილებაზედ და დაკვირვებაზედ. ვინც კი ქართული ვიცით რუსულის ჩინებულის ხელის მცოდნე, თითქმის ყველა მრგვალსა და სწორე ასოებსა სხამს. მაგალითად, ჩვენი პატრივტიული ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე რუსულსაც თითქმის იმავე მრგვალისა და სწორე ხელითა სწერს, როგორც ქართულსა. ნაწერი გამოდის მშვენიერი, მჭიდროდ აკებს სტრიქონებსა, ერთი ორად მეტი ეტევა ქალაღზედ და ამასთან, რაც უნდა წერილად იყოს დაწერილი, ასეთი გარკვეული სელი გამოდის, რომ ბეტიც კი თავისუფლად ვითხულობს. ჩვენის დიდი ხნის პრაკტიკის დროსაც შევნიშნეთ, რომ ის მოწაფეები, რომელნიც რუსულს ასოებს მრგვლად და სწორედ სწერდენ, უფრო ადრე და უფრო უკეთესს წერას სწავლობდენ, ვიდრე ისინი, რომელნიც აღმაცერა შრიტტს მისდევდენ. ამას ისიც უნდა დავუმტოთ, რომ რუსული აღმაცერა შრიტტი ქართულს წერას უმჯობის, რადგანაც სელი ბავშვისა, თუ დიდისა, რუსულად აღმაცერად ასოების წერას დაჩვეული, ქართულის მრგვალ და სწორე ასოების წერის დროს უნებლიედ ცვლილობს მიმართულებასა და ქართული ნაწერი ამის გამო კვარგავს თავის განსაზღვრულს სახეს და სილამაზეს. ჩვენის აზრის გამოთქმა მით უფრო საჭიროდ დაკინასეთ, რომ . . .

ძლიერ ცდილობდენ... ქართული წერს რუსულის წერის თვისებას დაუმორჩილან და მრგვალის ხელის მაგიერ აღმატერა წერს შემოიღონ.

ამ ჩვენს წადილს, რომ რუსული წერს დამორჩილდეს ქართულის წერის თვისებასა, ისეთს კეთილშობილს აღმოვათქვამთ მოუყვანია ბ. ბორა, რომ უმეცართაგან უმეცრებად რაცხს იმ მასწავლებელს, რომელიც ამ ჩვენს აზრს დაადგება და მისისა ხანე მუქანას უგზავნის მათ:... მე რომ ნება მქონდესო, ერთ დღესაც არ დაუყენებდიო... მაგრამ ჩვენის მამაც მვილავის საუბედუროდ, სწორედ იმ დროს, როდესაც მისი მისისა ხანე მსჯელობა იბუკდებოდა, ჰეტეწებურგში ერთს ჰედაგოგიურს კრებაზედ ჰედაგოგებმა და მეცნიერებმა შესაძლოდ და სასარგებლოდ იცნეს სწორედ იმ გვარში ცვლილება რუსულს წერაში, რომელიც ჩვენ რავდენიმე წლის წინად წარმოვსთქვათ: წარსულს იანვარში ჰედაგოგიურ მუზეუმში წერის სპეციალისტმა გერჩაბმა გამართა ბასი შესახებ რუსულის წერის შეცვლისა და ამტკიცებდა, რომ ესლანდელი აღმატერა შრიტტი უნდა შეეცვალათ უფრო სწორედ და მრგვალს შრიტტი ტზედ, რადგანაც ეს უკანასკნელი შრიტტი უფრო ადვილი საწერია, ასოები უფრო კარგეული გამოდის, მომეტეული ნაწერი ეტევა ქალაღზედ, საწერს რეუელს, კალამს უფრო ბუნებითი მღებარეობა აქვს და ამიტომ ბავშვი უფრო გვიან იღლება წერის დროსაო. კაი ხნის ბასის შემდეგ საქმე დაბოლოვდა ამ გვარის გადაწყვეტილებით: „ბოლოს კომისიამ დაასკვნა, რომ მრგვალი ხელი იფრიად მომარჯვებულად უნდა ჩაითვალოს მოწოდებებისათვის, რომელიც ცხადად დაიწყებენ წერასა. რაც შეეხება მის შემოღებას სახალხო სკოლებში, თუცა მრგვალის ხელის სარგებლობაზედ აქაც ვერ ვიტყვით“

უანსა, მაგრამ საქმის სამუდამოდ გადაწყვეტა გამოცდილებას უნდა მივანდოთ. (,ГОЛОСЪ“ 31 № ამ წელს).

თუ აღმსტერს რუსული შრიტტი იცნეს თითქმის მავნებლად რუსთა ხელისათვის, რომელნიც დიდი ხანია შეჩვეულნი არიან მას, რაკუნად მავნებელი უნდა იყოს იგი ქართველთა ხელისათვის, რომელსაც ათასი წელიწადი მეტია შეთვისებული აქვს სწორე და მრგვალი ხელი? განა ახირებულის ჭკუის შატრონი არ უნდა იყოს ამის შემდეგ ქართველი, გამომსარჩლებელი აღმსტერს რუსულის შრიტტისა, რომელიც ასე ძნელია ქართველის ხელისთვის და საძინლად ამხინჯებს თვით ქართულს წიქსს.

ახლა ხატ. ბოლომდე თვით გასინჯოს და გადასჭრას, გამოცდების ღირსი რომელი არიან: ისინი, რომელთაც ემუქრება, თუ თვითონ იგი?

წინასიტყვაობაზედ უფრო მომეტებულად ჰვიცხავს ხატ-ბოლოს რუსულს ანბანს, სახელმძღვანელოთა თაგში დაბეჭდილსა: ჩვენ ამ ანბანზედ წინასიტყვაობაში ვაძიებთ: „წიგნის დასწრისში ჩართულია ანბანი, რომელიც არის შედგენილი სინტიტიურად მეტოდანზედ. ანბანი შესდგება ქართულის და რუსულის საკუთარ სახელებადგან და იმ გაქართველებულ რუსულ სიტყვებადგან, რომელნიც ახლა მთელს საქართველოში იხმარებიან. სსვათრვი ანბანის შედგენა მოუხერხებელი იყო. ჩვენ რომ იგი რუსულის სიტყვებადგან შეგვედგინა, თუნდაც ქართულს ენაზედ მათის გადათარგმნით, ზავსუ ვირველსავე ნაბიჯზედ ავიდებოდით ორს სიბნელეს: ასოების გაცნობას და სიტყვების გაგებას.“ ასოების რიგზედ დალაგების დროს ჩვენ ხელვმძღვანელობდით მხოლოდ ერთის აზრით: წინ წაგვეძღოლა ის ასოება, რომელნიც ქართულს ანბანშია აჩრის და ბოლოს მოგვექცია

წმინდა რუსული ასოები, რომელთა შესაბამი ასოები ქართულს ანბანში არ არსებობს. რომეუ რიგის ასოებში წინ მოკჭენენ ისინი, რომელთაგანაც უფრო შესაძლო იყო საჭირო სიტყვების შედგენა და ბოლოში დაიჭირეს ადგილი დანარჩენმა ასოებმა. ბ. ბოჩას ეს დაწყობილება ასოებისა სრულიად არ მოსწონს. რატომ? იმას საჭიროდ მიაჩნია რუსული ანბანი ჩვენის ბავშვებისათვის დანიშნული, იმავე რიგზედ იყოს დაწყობილი, რომელიც მიღებულია რუსის ბავშვებისათვის შედგენილს ანბანებში. მაგრამ განა იგი იმ აზრისაა, რომ პირველი ანბანი, რომელსაც ქართველი ბავშვი შეისწავლის, უნდა რუსული იყოს და არა ქართული?...

ქართული ანბანი ბევრად რთულია რუსულს ანბანზედ რომორც თავის ელემენტებით, ისე ასოების გამოთქმით და დაკავშირებით. რაკი ეს ანბანი ქართველმა ბავშვმა შეისწავლა, რაკი მან გაიცნო კითხვით და წერით იმისთანა რთული და ძნელი ქართული ასოები, რომორიც არის წ, ქ, ჯ და სხვანი, მისთვის სულ ერთია რომელს რიგზედ გაიცნობს რუსულს ასოებსა, ოღონც კი წმინდა რუსული ასოები, რომელნიც მართლა ძნელი არიან ჩვენის ბავშვებისათვის, ბოლოს იყვნენ მოჭტეულნი. ეს ისეთი მარტივი მოსაზრებაა, რომ უცხო ენის შესწავლაში ყველგან ჭეშმარიტებად არის ცნობილი და ამიტომ თქვენ ვერ ნახავთ ვერსად იმისთანა სახელმძღვანელოს უცხო ენისას, სადაც ანბანი ელემენტების მიხედვით იყოს დაწყობილი. გადაიფიქრეთ მრავალი სახელმძღვანელო უცხო ენებისა და თქვენ ყოველგან შეხედებით ჩვეულებრივს წესზედ ჩარიგებულს ასოებსა, და თუ ჩვენში დაყინებით ითხოვენ, რუსული ანბანი, ჩვენის ბავშვებისათვის დანიშნული, აშენებული იყოს დედა-ანბანის პრინციპზედ.

სსკაფრივაც არ მოსწონს ბ. ბოჩას რუსული ანბანი. იმას შეუძლებლად მიაჩნია, რომ ჩვენმა ბავშვებმა რუსული კითხვა ისწავლონ ქართულის და რუსულის საკუთარ სახელებს შემწობით. რატომ? წერილი ამის ვასუსს არ გაძლევთ, და დაწმუნებულნი ვართ, რომ თუნდა მთელი გონება მკილავისა გადააქოთოთ, კერც იქ იზოვნით რაიმე საფუძველსა. კიდევ ამბობს: რუსული ასოები უ, ხ ბოლოს არის მოქცეულიო და წინ კი იმისთანა სიტყვები უძღვის მათ, რომელშიაც ეს ასოები იხმარებიანო. პირველის ასოს შესასებ ეს მართალია, ამ ასოს გაცნობამდის ბავშვი კითხულაბს ამისთანა სიტყვებს: **Адам, Бежан, Соломон**; მაგრამ განა სიტყვის გამოთქმას რასმე უშავებს ამ ასოს გამოტოვება? სრულიადაც არა. ეს ასო მომეტებულია რუსულს ანბანში და მისი გამოკლება კაი ხანია სურთ რუსეთში. მეორე ასოს შესასებ რომ ნათქვამი მართალი იყოს, ჩვენ დამნაშავენი ვიქნებოდით, მაგრამ ეს ტყუილია, როგორც ტყუილია ისიც, ვითომც ჩვენ იმისთანა ორიოდ სიტყვა, როგორც **ЩИЩЫ, ЩИТЫ**, ანბანში ნახმარი, ქართულად არ გადავთარგმნეთ და ბავშვისათვის გაუგებრად დავსტოვეთ.

ბოლოს ბ. ბოჩა ამბობს, რომ ამ რუსულის ანბანის შედგენას დიდი შრომა არ უნდოდაო. ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ისიც კი ყველას ესმის, რომ უფრო ნაკლები ცოდნა და შრომა უნდოდა მის უკუღმართის და მანვე წერილის დაწერას.

ჩვენი მკილავი იქამდის უღმობელია, რომ წიგნს იმასაც კი უწუნებს, რადა ჭკვიან პრაკტიკული გურსიო. პრაკტიკული გურსი მას იმავე მიზეზით ეწოდება, რა მიზეზითაც დაწმუკია ესევე სახელი რომერტსონის, კერკოუსის და სხვების სახელ-

მძღვანელებს, რომლებშიაც ენის სწავლება დამყარებულია მაგალითებზე და მაგალითებიდან დასკვნის გრამატიკის ცნობებზე. რუსულის ენის შენობის ასწავლა და მის განხორციელების განმარტება რომ წინ უძღოდეს მაგალითებს და ეს უკანასკნელი მოყვანილნი იყვნენ საზოგადო აზრების დასამტკიცებლად, მაშინ თეორეტიული კურსი ექვემდებარება. განა ბ. ბორა იმდენად უმეცარია, რომ ეს არ ესმოდეს?... პრაქტიკული კურსი ჰქვია და გაცვეთილის ძირზეთ ვი სავსეა სასელმძღვანელო. წიგნი რომ სავსე ყოფილიყო ადამიანთა შორის უხმარ ძირზეთა, მაშინ ხომ «პრაქტიკული» კურსი ზედ გამოჭრილი იქნებოდა მისთვის? თქვენის სიტუვიდან კაცი სხვა დასკვნას ვერ გამოიყვანს და ამისი უარობა ვი ექვსის წლის ბავშვისათვისაც აშკარაა.

სასელმძღვანელოს უმთავრესი ნაკლებეკანება ბ. ბორა ხედავს «გაცვეთილს ძირზეთში». ამ გარემოებას ისეთს მნიშვნელობას აძლევს და ისეთს დიდს შეცოდებად სთვლის, რომ ერთსელ ლაზარას ან დასჯერდა და მეორე ადგილასაც დაუბრუნდა მას. ამ შემთხვევაში, როგორც სხვებშიაც, წიგნის ნამდვილს ღირსებას სთვლის მის ნაკლებეკანებად. ყოველი სხვა საგნების შესახებ «გაცვეთილს ძირზეთის» ხმალება დიდი ნაკლებეკანებაა, ენის შესწავლაში ვი შეადგენს უშირეეკესს ღირსებასა. რასა ჰქვია «გაცვეთილი ძირზეთი?» იმისთანა გამოთქმითა, რომელიც, საჭიროების გამო, ისე ხშირად იხმარებინა, რომ მართლს სრულიად გაცვდებოდენ, მათი გაცვეთა რომ შესაძლებ ყოფილიყო. როცა ამისთანა ძირზეთს ხმარობთ რომელიმე საგნის ან მეცნიერების შესახებ, თქვენ თქვენის მსმენელის გონებას აჩაგითარს მასალას, საზრდოს ან აძლევთ და რუსულის ანდაზისა ანაიფოს, უღვიწო ქვევრიდგან ცარიელ

ში გადაგაქეთ. მაგრამ როდესაც ამ გვარს სშირად სასმარბელებს სიტყვებს და ძრახვებს ასწავლით ბავშვს უცხო ენაზე, თქვენ ენის შესწავლას იწყობთ იქიდან, რაც უფრო საჭიროა, რაც უფრო გამოსაყენებელი და სასარგებლოა. აიღეთ საუკეთესო სახელმძღვანელოები უცხო ენებისა, გადაფურცლეთ ჭ თქვენ ნახავთ, რომ ესენი სავსენი არიან «გაცვეთილის სიტყვებით ჭ ძრახვებით.» სშირად აქ თქვენ შევხვდებით თითქმის უაზრო ძრახვებზე, ოღონდ კი ესენი სშირად სასმარბელის სიტყვებისა და გრამატიკულ ძრახვებისაგან იყვენენ შემდგარნი. ნიმიშიად გადაშალეთ კოსოვიჩის სახელმძღვანელო, რომერტსონის მეთოდზედ შედგენილი, ჩიკითსეთ მერვე ჰარაგრაქი და ჩვენის ჯარის სიმართლე სრულიად ცხადი იქნება. ამ გვარს უაზრო ძრახვებს კლანდარასვილის სახელმძღვანელოში სრულიად ვერ შეხვდებით; აზრი, სშირად სასმარბელი სიტყვები, ძრახვები და გრამატიკული ძრახვები ერთად არიან შეერთებული.

სწორედ სასაცილოა ის მოსახრება, რომლითაც ზ. ბორჩამ თავის მსჯელობა უნდა განმართლოს, «საჭიროა (?) ამბობს იგი, რა სიტყვა, რაივე აუცილებლად საჭირო(?); ერთი უფრო სშირად ისმარება უბრალო ლაპარაკში, მეორე უფრო იშკიათად. რად ვასწავლო ჯერ შირველი და მერმე მეორე, როცა შირველი თვით ლაპარაკში სშირად ისმარება და ისეც კარგად დანსსომდება ბავშვსა?» ჩვენ აქამდისინ იმ აზრისანი ვიყავით, რომ ჩვენის სოფლის სკოლის მოწათვეები მარტო კლასში ისმენენ რუსულსა, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, საშინლად მოტყუებულნი ვყოფილვართ; თურმე ჩვენი ხალხი რაღაც საოცარის მანქანებით მთლად გარუსებულა და ჰატარა ქართვლებს თურმე დღე და ღამე რუსულად ესაუბრებიან შინაურნი ჭ

გარეულნი. ხუმრობა რომ იქით იყოს.... განა ხატ. ბოჩას ერთს სოფელში მანც უნახავს რუსულად მოლაშაჩაკე გლეხობა? მამ. რად ამბობს ისეთს მოუწიებელს სიტყვებსა?

ამ გვარმა მტკნარმა უწრობამ შეიძლება ადვილად დაზადოს მკითხველის გონებაში შედეგი ცილისწამება ავტორსედ: იგი უთუოდ ადგენს რუსულის ენის სასულმძღვანელოს და რადგანაც იმ გვარად დალაგება სიტყვებისა და ძროსებისა, რომ წინ უძღოდენ უფრო სშირად სასმარებელნი უფრო იშვიათად სასმარებელთა, ძნელია და დიდს შრომას ითხოვს, ამიტომ საჭმის გასაადვილებლად პირველი და მეორე რიგის სიტყვები და ძროსები ერთმანერთში აურევია და რომ ეს ნაკლებეკანება დაჭტაროს, ჰვიცხავს მოპირდაპირე დირსებას კალანდარიშვილის სასულმძღვანელოსას... ცილისწამება ცუდი რამ არის და არა ავტორმა არ უნდა მიიყვანოს მკითხველი იქამდის ყოვლად უწრო სიტყვებითა.

ოდესმე ვიცნობდით ერთს ასირებულს დოგმატიცსა, რომელსაც ასკარა აქსიომასაც ვერ დაჯერებდით, თუ საღმრთო წერილიდგან ტექსტის ნაგლეჯს არ მოუყვანდით. რადგანაც საღმრთო წერილის ნაგლეჯებით თქვენ შეგიძლიანთ ბეჭი, ერთიერთმანერთის წინააღმდეგი არის დაამტკიცოთ, ამიტომ ამ ჩვენს დოგმატიცს მისი ამსახავები დღეში ოცჯერ მანც გახბრიეკებდენ სოღმე და აჯერებდენ ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგ არსების ჭეშმარიტებას. ამ სულიერსავით ბ. ბოჩასაც ძლიერ უყვარს ჰედაგოგიურ ციტატების ნაგლეჯები. სხვას შეუძლიან ამითი ისარგებლოს და არა ერთხელ გახბრიეკოს იგი, რადგანაც ჰეყანახედ ვერ მოსძებნით სისულელეს, რომელსაც არ ემოწმებოდეს რომელიმე ნაწიეკტი ჰედაგოგიურის ციტატისა. ჩვენგან ამ გვარს გახბრიეკებას ბ. ბოჩა არ უნდა მოელო-

დეს. ჩვენ გავაცნობთ მას ერთს ციტატას, რომელიც ეკუთვნის ანა რომელსამე კირკიტა ნემეცის ჰელაგოგს, რომელსაც წვრილმანობაში და ნაცარ-ქექიაობაში წასვლია გონება, ანამედ გამოჩენილს მეცნიერს, რომელიც დედა-აზრებით ნათელს ჭებენს ბეჭებს სტეფანსა და მათ შორის ჰელაგოგიურსაცა. აი რას ამბობს ინგლისის მეცნიერი ბენი: «ელლისა თავის საინტერესო წერილში ენის შესწავლის შესახებ ბეჭითად თხოულობს სიტყვების სისტემატიურს დაფასებას იმის მიხედვით, თუ რაკდენად სშირად იხმარებინ. იგი ამტკიცებს, რომ სიტყვების ხმარების რიტუმა უნდა გადასწვიტოს ისა, თუ რა რიგზედ უნდა იქმნან შეტანილნი სავარჯიშოში. ეს ზღანი შესრულა ნესმოტმა შესახებ ინგლისურის და ნემეტურის ენისა. ამისი ასრულება ითხოვს წინასწარ გამოძიებას, თუ რომელი სიტყვა რაკდენად სშირად იხმარება. მე თვითონ იმ აზრისა ვარ, რომ ამ პრინციპით ანა მარტო ენების შესწავლაში უნდა სელმძღვანელობდენ, ანამედ უფრო ვრცლად უნდა გამოიყენონ. ვარგი იქნებოდა, რომ წინადვე გამოეკვლიათ რიტუვი ყოველის ცნობის ხმარებისა—და ამის შემდეგ ამოეჩინათ წინად სასწავლებლად ის ცნობები, რომელნიც უფრო სშირად და უფრო დიდს შემთხვევებში იხმარებინ. ენის შესწავლა უნდა დაიწყოთ უსაჭიროეს სიტყვებიდან, მერე გადავიდნენ უბრალო ლაზარაკში სახმარს სიტყვებზედ და ბოლოსათვის გადასდონ სიტყვები, რომელნიც იშუათად იხმარებინ. (ბენი, სწავლების მეცნიერული საფუძველნი, გვერდი 273).

იაკობ ბოგებაშვილი..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პოლიტიკის მიმოხილვა

ეგვიპტელები დამარცხების შემდეგ.—ინგლისელთა გაჭირვება შინ და გარეთ.—დინამიტო—მოკავშირე ირლანდიელთა.—არეულობა საფრანგეთში.—მართლა მონარხიელების ბრალია, თუ რესპუბლიკელებისა?—არეულობა ესპანიაში.—ეროვნული მოძრაობა ავსტრიას ნემეცებსაც დაუტყოთ.

ძნელია, როდესაც კაცს გადაწყვეტილი ჰქონდა ანაჰეს, გადაჭრილს გზას ან ადგას, როდესაც სიტყვით სსკას ამბობს და საქმით კი სსკაფრეო იქცევა. ძნელია ამისთანა მდგომარეობა კერძო კაცისთვის, მაგრამ ერთი ათად და ოცად უფრო ძნელია სასკლმწიფო კაცისთვის, რომლის მოქმედებას მთელი საღსი შესტკერის და რომლის ნასტომის შესღას ერთს წუთს ტელეგრამა დედა-მიწის ზურგზედ მოჭეფენს სოღმე. ესეთი ქცევა ისე ამცირებს ადამიანის ღირსებას და მეტადრე ღირსებას სასკლმწიფო კაცისას ისტორიის თვალში, რომ აწცერთმა სასკლმწიფო კაცმა ან უნდა გაჭბეღოს გზას იქით გადასკევა, თავისივე სიტყვის აბუჩად აგდება, თუ ეს ნამდვილ სასკლმწიფო საჭირკობით ან იყოს გამოწკეული. მაგრამ სამწუნსაწო ეს აწის, რომ პოლიტიკაში სიტყვების უადგილოდ სმარება მოდად შემოვიდა და ღიზლომატები ყოკელისფერს პოლიტიკის საჭირკებას უძსინან, რაც კი მათდამი მინდობიღის სასკლმწიფოს გაზარზაშებას და სსკების დამცირებას სკლს უწყობს: ინ-

დოქტორი აჯანყდენ ინგლისელების წინააღმდეგ, — და ინგლისის პოლიტიკის საჭიროება მოითხოვდა ამ ქვეშევრდომ ხალხისათვის შიშის რხეი თავს დაეცათ, საზღაპრებში ტყვიის მაგიერად აჯანყებულები ცოცხალ-ცოცხალი ჩაეწოთ და ისე ესროლათ! ირლანდიელებმა მოინდომეს სრულის თვით-მმართველობის მოპოება, — და ინგლისის პოლიტიკის საჭიროება მოითხოვდა ამ კუნძულს დამოუკიდებლად, რა გზითაც უნდა იყოს; ეკვიპტელებმა მოინდომეს თავიანთ ქვეყნის განთავისუფლება ინგლისის კავიტალისტების კლანჭებისაგან და კიდევ და კიდევ ინგლისის პოლიტიკის საჭიროება წამოაყენეს წინ ამ კავიტალისტებმა და დააჯერეს მმართველობა, რომ თუ ესლავე ჯარის-ჯარმათი არ განჯანყე ეკვიპტეში და მშვიდობიანობა არ დამყარე, ეს-ეს-წრის ინგლისის დიდებულს სასულს ანდერძი აეკება და იქნება შეურაცხველი თან მოჭეუესო.

დიაღ, ძლიერი სიტუკაა ეს «პოლიტიკის საჭიროება» და ძლიერი რე-პირი მასვილიც: მთელს ხალხს გინდა გააბედნიერებ, გინდა სულს ამოართმევ, რჩევე შემთხვევაში პოლიტიკის საჭიროება მზად არის და შენს მოქმედებას სასულმწიფოსადმი ერთგულებად ჩასთვლიან.

სხვათი რითი, თუ არ «პოლიტიკის საჭიროებით» უნდა აიხსნას ინგლისელების მოქმედება წარსულს წელს ეკვიპტელების წინააღმდეგ? ამ დროს ინგლისის მოთავედ იყო და დღესაც კიდევ არის პოლიტიკაში გამოჭასრჩეული გლადსტონი, რომელიც მთელი თავისი სანგრძლივი სიცოცხლე პარლამენტში თუ ყუენალებში იმას ქადაგებდა, რომ ინგლისმა სხვა ხალხთა საქმეში გარეკას თავი უნდა დაანებოსო; რა ჩვენს საქმეა ვლანისტანი და რუგუსების ქვეყანაო; ისა სჯობს, რომ ჩვენ ჩვენი შინაური საქმეები წესიერად განვაკეთოთ და სხვებმა თავის

თავისა თითონ იცინაო. გლადსტონი ყოველთვის ამ პოლიტიკას მისდევდა და ამ პოლიტიკის ძალით ჩამოაგდო. თუ არა ძირს ბიკონსფილდის სამინისტრო, მიანება თავი მისგან დაწყებულ ომებს შორეულს ქვეყნებში და შინაურ საქმეებს შეუდგა; მაგრამ ასტყდა ეგვიპტის არეულობა და იმავე გლადსტონმა—მშვიდობიანობის ცხარე მქადაგებელმა—ჟარი-ჟარსედ გაგზავნა ეგვიპტეში და გაუდგა თავის წინამოადგილე სამინისტროს კვალსა.

მერე რა მოიგო ან ინგლისმა, ან გლადსტონმა ბრძნულის პოლიტიკის თავის-დანებებით და ისედაც უსაჩმაზარ ინგლისის სამოფლობელოს გადიდების სურვილით? ის, რასაც მოიგებს ხოლმე გაუძაძარი მსუნაგი ადამიანი, რომელიც რამდენსამე თავს საჭმელს არა სჯერდება და უნდა, რომ რაც კი რამ სუფრასედ არის, ყოველისთერი კუჭში მოითავსოს, თუნდა რომ ყელშიაც აღარ ეტეოდეს. აქამდის ყოველ-გვარ საჭმელს ინულებდა ინგლისი: ოც-და-ათმა მილიონმა ხალხმა ჩანთქა კარგი მსუქანი ნაჭერი ამერიკისა, ჩანთქა ასი და ორასი კუნძული სსვა-და-სსვა ზღვებზედ და ოკიანებზედ გაბნეული, ჩანთქა ორასის მილიონ ხალხით დატვირთული ინდოეთი, მაგრამ გაუძაძარობა ვიდრე არ ასვენებს ღვიძლს სელსს აქეთ-იქით აპოტინებინებს—ხომ საჩემო ლუკმა არსად არის რომ ხელში ჩავიგდოო. წინა წერილში ჩვენ გაკვრით მოვიხსენიეთ, რომ ეროვნულმა მოძრაობამ და თავისუფლების მოპოების სურვილმა ინგლისის სულ-ჭკვიით მოგდებულ ერთა შორის ჯერედ გამოურკვეველი ჩოჩქოლი აღძრა და ეს ჩოჩქოლი, რაც დრო მიდის, უფრო და უფრო ცხადდება, უფრო და უფრო დამონაკბუნელი ენის ატყობინებენ თავიანთ მეპატრონეთ. ჩვენც ვაზნა ვართ, ჩვენც ვაცურის გრძნობით გვიღვივის გული და თუ

თქვენ სსკებზედ უფლების სურვილი გაქვთ, ჩვენ ჩვენს თავზედ უფლების სურვილს მანაც არავინ არ უნდა შემოგვეტილოს. ვინ იფიქრებდა რომ შემდეგ შარშანდელის უცბად მოგებულის ომისა და ეკვიპტეში სრულის მშვიდობიანობის დამყარებისა, ასე ძალე კიდევ გამოჩნდებოდა ნიშანი უკმაყოფილობისა და ერთხელ მოხარსული საქმე ინგლისს კიდევ საჭიროდ გაუსდებოდა. ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, მაგრამ საქმე კონამდვილად ასე არის. ინგლისის გამარჯვებით უკმაყოფილო ეკვიპტის სასულემწიფოებს ინგლისი სულ იმას ეუბნებოდა: მე ეკვიპტე სახემოდ როდი მინდა; მე მინდა მხოლოდ მშვიდობიანობა დაკამყარო და მეჩუ კი მშვიდობით ჯ გამარჯვებით. მაგრამ როგორც უკანასკნელად მოსულის ამბებიდანა სჩანს, რეგვიანი ეკვიპტელები არ აცლიან ინგლისელებს ამ კაცობრიულის გულ-კეთილობით სავსე განსჯისთვის აღსრულებას და ესე ჯე აგრძნობინებენ თუნი: თქვენი არც ავი გვინდა, არც კარგი და თუ გაგვეცლებით ძალიან მადლობელი დაგვჩნებით. მართლაც და ისე ასირებულან ეს ეკვიპტელები და ისეთს წინააღმდეგობას უჩვენენ მათდა გასაბედნიერებლად შესინჯულ ინგლისელებს, რომ ღორღ დეჭერისს, ინგლისიდან ეკვიპტის მოსაწყობად და განსაგებლად განგებ გაგზავნილს ვირს, შეუთვლია თავის მთავრობისათვის: ეკვიპტელების მოჩულებას ამ ღონისძიებით, რა ღონისძიებაც მე სელთა მაქვს, შეუძლებელიაო; ან სრულებით უნდა ინგლისს შემოგვეერთოთ ეს ქვეყანა და ისე მოვეპყრათ, როგორც ჩვენს ქვეშევრდომებსაო, ან ბარგით ბარხანით აქედამ გავვეწალოთ.

უმაღურებაა, დიდი უმაღურება ეკვიპტელების მხრივ, მაგრამ აი კიდევ მაგალითი უმეტესის უმაღურებისა:

ამას წინად ეკვიპტის ქალაქს ალექსანდრიაში ახალმა პო-

ლიციის პრეპეტმა გამართა სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ინგლისელი და ეკვიპტელი მოსულები. ტკბილი საჭმელები რომ მოიტანეს და დალიეს ჩვეულებრივად სადღეგებლო ინგლისის დედოფლისა და ეკვიპტების ქედივისა, წამოდგა თურმე ეკვიპტის ჯარის პოლკოვნიკი პაკრი-ბეი და სმამალა წარმოსთქვა: «მე ვინატრი ამ სტაქნით ჩემს ქვეყნის განთავისუფლებას, ვინატრი — ჩქარა დამდგარიყოს ის დღე, როდესაც უცხო-ქვეყნელი აქედამ განხეკებულნი იქნებიან.» ამ სიტყვას სტუმრები ძლიერ აელელებინა, პოლიტიის პრეპეტს, ინგლისელების ერთგულ მონას, პაკრი-ბეი სახლიდამ დაეთხოვნა, მაგრამ ამ უცნაურ სადღეგებლოს, ანუ სადღედანსასწულოს ამბავი ელვასავით მოსდებოდა ქალაქს, პრეპეტის გარებთან აუარებელს ხალხს შოყვარა თავი, პაკრი-ბეი დიდის აღტაცებით მიეღო და მხიარულის კიყინით გაეცინა.

*
* *

განა მართო ეკვიპტეში უჭირს საჭე ინგლისს? განა მართო ირლანდია თხოულობს თავისუფლებას? განა მართო ინდოეთში იჩენს თავს ჩუმი მაგრამ მით უფრო მეტად საზარელი აღელებს? არა, თითქმის ყველგან ასეა, სადაც ვი ინგლისის სული გაუწვდება და სად არ გაუწვდება სული! თვით ინგლისშივე ინგლისის საუკეთესო მამულის-შვილნი გრძნობენ ამ გვარს არა-ნორმალურს მდგომარეობას და გაბედვით, გულ-წრფელად აღიარებენ, რომ ამ გვარ ფოფას ბოლო უნდა მოელოსო. გამოჩენილმა ინგლისის ორატორმა ჯონ ბრაიტმა წარმოსთქვა ამას წინად შემდეგი მწვავე, მაგრამ სრულიად მართალი სიტყვა: «თქვენი პოლიტიკა უკანასკნელ საუკუნეში, — ეუბნებოდა იგი ინგლისელებს — უშეკლებელი შეცდომაა, რომელმაც მრავა-

ლის ადამიანის სიცოცხლე და კიდევ უფრო მრავალი თუელი შეიწირა... ინდოეთის დაპყრობა შეცდომას, მისი ხელში ტერას — სიმდიდრის ფლანგკას და თავის დანებება აუცილებლად საჭიროა... ირლანდია იმოდენა სისხლს არ დაღვრიდა, ინგლისს რომ ირლანდიელებისათვის დაპირებული სინიდიისის თავისუფლება მიენიჭებინა. ამის მაგივრად ირლანდიელებს მოასვიეს თავზედ უსამართლო და საზინღარა წეს-წყობილება, რომლის მსგავსი ჯერ არც ერთ ქრიატიანს ერს მეორესთვის არ შეუქმნია... მე მკონიაო, — დაუმატა ბრაიტმა — ეს ორი საუუუნეა ჩვენ მივდევთ კეისრების კვალს და კერძო-მსახურს რომისა ვხამავთ და მშვიდობიანობის ღმერთს კი პირ-მოთხოვებით ათასობით ტაგრებს ვუგებთ. ნუ თუ არ მოვიდა დრო დავანებოთ თავი ამ გვარს მოჭმელებას, ნუ თუ ამას არ მოითხოვს ჩვენი პოლიტიკა, დაძვარებული სიმართლეზედ ზნეობის. სიმალეზედ და მშვიდობის სიყვარულზედ?»

ეს ხმა მამულის მსურველ სიყვარულით აღვზნებულის კაცისა, სწორედ გამაფთხილებელი საყვირის ხმაა გზა-დაბნეულ ინგლისისათვის. თუ ინგლისმა ბრაიტის რჩევას არ მისდია, არ დასთმო პატივისა და დიდების მოყვარეობა, არ მიანიჭა პოლიტიკურად მოწიფულს ქვეშევრდომ ხალხთა სრული თვითმმართველობა, — ვინ იცის რამდენი მსხვერპლი შეიწირება კიდევ უღმობელ პატივის-მოყვარეობის ტრიაზუმზედ!

ირლანდიელები აღარა ხუმრობენ. მათ შეჭკრეს კავშირი იმ საზარელ ნაეთიერებასთან, რომელსაც დინამიტი ჭქვიან და რომლის ძალასთან თოფის წამლის ძალა კაცს უბრალო სათამაშო ეტონება. ცალ ხელში მათ ხანჯალი აიღეს და მოსაკლავად არ ინდობენ ინგლისის მმართველობის უმთავრეს თანა-შემწეთ, მეორე ხელით დინამიტით სავსე უუთებს ქვეშ უწ-

ღობისაგან თხოულობდა ულუგმა-პუროდ და უსაქმოდ დაჩ-
 ჩენილ მუშებისათვის. პარტიში თურქი ბოლოს დროს სამოც-
 ათასსჯედ მეტი მუშა უსაქმოდ დაჩჩენილა და გასაკვირველიც
 არ არის რომ ამოდენა ხალხს, ცალკე შიმშილითა და ცალკე
 თავის ცოლშვილის საცოდობის ყურებით წაქეზებულს, უწე-
 სოება მოესდინა რამე. და მართლაც რომ მოასდინეს ისეთი
 «უწესოება», რომელიც რესპუბლიკის მმართველობას გასაი-
 თხილებლად უნდა ეყოს: რამდენიმე ათასმა მუშამ დაბრუნებულ
 კომუნარების ხელმძღვანელობის ქვეშ პარტიის შეიღებულ თა-
 ვი მოიყარა და გაემართა ელიზების სასახლისაკენ, სადაც პრე-
 ზიდენტი სცხოვრობს. გზაზედ კიყინითა და მარსელეისას
 სიმღერით მუშურის მადანები გაცარცვეს და მადანის მინე-
 ბი მიღწე-მოღწეს. რესპუბლიკის მმართველობამ და პარლამ-
 ენტმა ეს არეულობა გულგრილად მიიღო და როგორც უბე-
 დურებაში ჩავარდნილი კაცა ნუგეშად მცირე მიზღვს ეძებს რას-
 მე, პარლამენტაც იმითი ინუგეშა, რომ მუშებში ბევრი მო-
 ნარხიელი კრია და იმათ წაქეზეს ხალხი მუშურების გასაცარ-
 ცვავად და სხვა უწესობის მოსახდენად; ამით მონარხიე-
 ლებს უნდოდათ რესპუბლიკისათვის ჩირჭი მოეცხოთო. ამას,
 გარდა გამცარცველებს შორის სოგიერთებს ორმოც-სამოცი
 ჭრანკი ედოთ ჯიბეში და რაში ეჭირებოდათ ასე მდიდრებს
 მუშურების გაცარცვაო. რომ იტუვიან წყალ-წალბული ხავსს
 ეჭიდებოდან, ისე მოსდის რესპუბლიკურ მმართველობასაც.
 მასმ მმართველობას ავიწყდება, რომ უბრალო მუშა-ხალხს იმის-
 თანა კანონები ეჭირებება, რომელთაც ულუგმაპუროდ არ დააგ-
 დონ იგი და თუ რესპუბლიკა მუშა ხალხის კეთილ-დღეობა-
 ზედ არ იზრუნებს, ამ უკანასკნელისათვის სულ ერთია რესპუბ-
 ლიკა ეჩქმება სახელმწიფოს, თუ მონარხია, პრეზიდენტი იჯ-

დებს დიდებულ სასახლეში, თუ თვით-მზერობელი ხელმწიფე საფრანგეთის პარლამენტმა მთელი ერთი თვე იმას მოანდომა, როგორ მოვექცეთ ნამეფ გვარეულობის პრინციბსა და როდესაც ამ უქმის ლაპარაკის შემდეგ ნამდვილმა პოლიტიკის საჭიროებამ თავი იჩინა, როდესაც სამოცი ათასმა გლახა-ლატაკმა სახელმწიფოს პური მოსთხოვა და ცხნადად აჩვენა, თუ ნუბით არ მომცემ, ძალით წავიღებო, მაშინ რესპუბლიკურმა მმართველობამ ეს მოძრაობა ისე და ისე ბედ-შავ მონარხიელებს გადააბრალა და რაკი ამ ძნელ სახელმწიფო ვითხვას—რა უნდა ეშველოს უსაქმოდ დარჩენილს მუშა ხალხს?—ნამდვილი პასუხი ვერ მისცა, თავისა და სხვის დასაშროშმინებლად ხალხის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა არცა და ორიოდ ხალხში გარეული მონარხიელი არეულობის მოთავედ და მიზეზად ჩასთვალა!

ესპანიას კიდევ უარესი დღე ადგას საფრანგეთზედ. ქრისტეში გულ-გახსნილია და რასაც გრძნობს, მაშინვე უნდა გამოაშვარავოს. მმართველობსაც ეს უნდა და სათავეში სწევდეს, თუ სამუდამოდ არა, დროებით მანც, აღშფოთების მიზეზს; ესპანიელები თურმე სხვათერივ იქცევიან. ესპანიაში ფარულად მთავრობის წინააღმდეგ, შემდგარა ძლიერ საზოგადოება, რომელსაც ას-ათასამდე ერთგული წევრი ჰყავს და მათ შორის უმაღლეს საზოგადოებისა და მმართველობის წარმომადგენელნიც. ამ საზოგადოებას «ხელ-შავი» ჰქვია და მისნი წევრნი თუმიცა ერთმანეთს არ იცნობენ, მაგრამ მტვირედ ასრულებენ ყოველსავე ბძახებს თავის ფარულ მთავრობისას. არაფერს არ ერიდებიან ივინი: არც გაქურდვას, არც კაცის-კვლას, არც რკინის გზებზედ მთელის მატარებლის გაჩერებას და წყარებელ ხალხის გაცარცვას. ეს ფარული მმართველობა, რომელიც კანონ

ნიერს მმართველობას კრიჭაში ჩასდგომია და რომელიც დღე-
კანდღამდე საიდუმლოდ მოქმედებდა, გამოწვეულია კიდევ და
კიდევ იმ ძნელი, საპასუხო კითხვის გამო რომელიც ერთმან-
ერთის გვერდით ათავსებს ესპანიის უზომოდ მდიდარს გრანდს
და უღრმესად ღარიბს გლეხს.

* * *

ეროვნული მოძრაობა ავსტრიის ნემეცებსაც დაეტყუოთ! ეს
ამბავი გასაკვირველად უნდა ღარიბს იმას, ვინც კი ამ უცნაურ
სახელმწიფოს წეს-წყობილება იცის. ავსტრიაში უმთავრესი კრი-
და სახელმწიფოს განმგე, — ნემეცების ერთ სხვა კრი მხოლოდ
ბოლოს ხანებში მოიპოვეს იქ ცოტა თუ ბევრი თვით-მმართვე-
ლობა და ცდილობენ ნემეცების მონობიდან გამოსვლას. არ
ვიცი თუ ამ შინაურ ორგულობას გაუცეცხლებია ავსტრიის ნემე-
ცები, თუ ბისმარკის ბრძანებლობის სიტყვას მიუზიდავს, — მაგ-
რამ ეს კი მოხდა, რომ ერთმა ავსტრიის პარლამენტის დეპუ-
ტატმა — შენერკმა სტუდენტობის ურილობასეუდ წარმოსთქვა,
რომ ავსტრიის ნემეცები უნდა გერმანიასა შეუერთდნენ, შენერკ-
რის სიტყვამ ძალიან შეაფუცხუნა ავსტრიის მთავრობაც და
პარლამენტიც. რად უნდა მომხდარიყო ეს ამბავი? რატომ შე-
შლილად არ ჩასთვალეს ის დეპუტატი, რომელიც ავსტრიის
ნემეცებს ურჩევს შინ ბატონობას თავი დაანებეთ, და გარკვე-
სხვას დაემოხავეთ? იმიტომ რომ შენერკის სიტყვა დროს
მანკენებელი სიტყვაა, რომელიც ამგარად ამტკიცებს ეროვნულ
მოძრაობის სიძლიერეს, ავსტრიის ნემეცები მზად არიან დას-
თმონ სხვა ხალხსეუდ ბძანებლობა, ოღონდ კი არ უმტყუნონ
ეროვნების დედა-აზრს და შეუერთდნენ გვარტომობით მონათუ-
სავე, ჭ თუნდ ვრუსიის დესპოტიზმის ქვეშ მთვთოლვარე, ერსა.

წიგნის წიგნი

თავადი ბრიგადი ლეიტენანტი

მ. ბელიანი

გარდაიცვალა ორშაბათს, 21 მარტს 1883 წ. ქ. თბილისს და დასაფლავდა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, შაბათს, 26 მარტს.

ჟერ არ შემწავლა საფლავი ჩვენის უკვდავის პოეტისა, ჟერ არ შეწყვეტილა აუარებელ თანაგრძნობის ტელეგრამების მოსვლა საქართველოს ყოველის კუთხიდან და უცხო ქვეყნებში გახეულ ქართველებისაგან, ჟერ კიდევ თვალთაგან არ გამჭრალა დიდებული სურათი ძვირფასის ცხედრის გამოსვენებისა, — და ჩვენც ჟერ ვერას ვახერხებთ — მძიმე მწუხარების გამოთქმის მეტს — ვერც მის ღირსეულად დაფასებას, ვერც მის საკლუდეკანების ჩვენებას, როგორც «ზეკარდმო ცხებულ» პოეტისას და როგორც საზოგადო მოღვაწე პირისას. ამის დროც მალე მოვა და როცა უნდა მოვიდეს, მაინც დაგვიანებული არ იქნება, რადგან გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ნიჭს სამკვიდროდ მთელი საუკუნოები აქვს მინიჭებული.

გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზედ თითქმის მთელი თბილისში მყოფი ჟარი დაესწრო, მუსიკის ორი სარო სამ-

გლავიარო მარშს უკრავდა ჭკუბოს საფლავში ჩასვენების დროს ზარბაზნებმა გრიადი მოიღეს, მაგრამ ეს სამხედრო პატივი ბევრს სსკა ღენერალსაც ღირსებია. რაც არ ღირსებია სხვას ჭ რაც მართლა რომ დიდებულ შესედულობას ამღევდა სამწუხარო პრეტენსიას, — ეს იყო მრავალი დათინისა ჭ ყვავილების გვირგვინები, რომელთაც ამშვენებდენ მის ლექსებისაგან ამოკრეფილი ზედ-წარწერები და რომელნიც უძღვნა მას, როგორც პოეტს, თითქმის მთელმა ქართველმა ერმა. ვის არ მოესურვა მერე გვირგვინით შემკობა ჩვენის უხუცესის პოეტისა? აჟ იყო გვირგვინი თავდაზნაურობისა, ქალაქის ქუთაისისა, ორბელიანთ გვარისა, ჯარისა, თბილისისა და ქუთაისის რედაქციებისა, ქველ-მოქმედ საზოგადოებათა, სტამბებისა, მუშებისა, ბაულებისა, მაგრამ უფრო შესანიშნავი და საგონობელი იყო ოცამდე გვირგვინი სხვა და სხვა სასწავლებლებში მყოფ ქართველ მოწაფეთა, რომელთაც მოკუთხიანთ თავიანთ ჯიბეები ჭ იქნება უკანასკნელი გრთში ამოკლათ, რომ წრთელის გულით წარმოთქმული პატივისცემა არ მოკვლათ თავიანთ საყვარელ პოეტისათვის.

სამოც ათასზედ მეტი სული დაესწრო ამ დიდებულს სანახაობას და ესლა, ვგონებთ, არც ერთი ქართველი არ დარჩენილიყო, რომ დაწვრილებით არ იცოდეს გრიგოლ ორბელიანის დასათფლავების ამბავი. მართლა რომ ძლიერი უნდა ყოფილიყო იმ კაცის ნიჭი, რომელსაც თუმიცა ამ უკანასკნელ თხუთმეტის წლის განმავლობაში თითქმის არცა-რა უწერია, არცა-რა უმოქმედნია, მაგრამ რომელმაც მთელს ერს თავის სიკვდილით ცხადად თავალ-წინ დაუსახ თავისი უწინდელი ღვაწლი მამულის წინაშე, მთელს ერს თავის საფლავზედ თავი მოუყარა, სული ხელს მიაცემინა და თვით ერთმანერთის მოწინააღმდეგეთაც აგრძნობინებინა: — «რაც დაგვარგეთ, — უკვ-

ლანი კტირით მას, ყველასთვის საუნჯე იყო იგი და მამასა-
დამე ჩვენ ყველას ერთი გრძობა უნდა გვქონდეს და ერთი
ტკივილი უნდა გვაწუხებდესო. ამ ტკივილმა ბრძებისათვისაც კი
თვალი იჩინა გრიგოლ ორბელიანის საფლავზედაო.»

«სიკვდილით ჭბადავ ცხოვრებას» სთქვა ჩვენმა ახლად გარ-
დაცვალეულმა პოეტმა, როდესაც დაუკვირდა იგი ბუნების ძალ-
თა მოქმედებას და ჩვენც, — გარდამეტებული არ იქნება რომ
ვსთქვათ—გრიგოლ ორბელიანმა თავის სიკვდილით გააღვიძა
ზოგიერთ გულში აღზავ-მზუუტავი ნაპერწკალი, მოუსპო სა-
სო-წასწკვითილება და ჩაუნერგა იმედი ერთობის დამკვიდრებისა.
ეს გრძობა ისე ძლიერი იყო, ისე იმეჭმედა დიდსა და პატა-
რჯსედ და თვით იმისთანებზედ, რომელთაც თავის დღეში მას-
ზედ არა უფიქრიათ-რა, რომ საღსში გაცხარებული ლაპარაკი
მოისმოდა: «დღეს იმისთანა დღეა, რომ, ვინც კი ჩვენის
ერის ერთგულმა ჩვენთან უნდა დასწრებულყოფო. ვისაც შეე-
ლო მოსკლას და არ მოვიდა,—ეტყობა ჩვენთან საერთო არა
უნდა ჭქონდეს-რაო და თუ დაგვომეს, ჩვენც დავთმობთ, ვნა-
ხათ, ვინ უფრო დაზიანდება.»

P. S. ჭლამჭა ქეთისმა ორასის კერსის სიშორიდან გა-
მოჭკზავნა გვირგვინი გრიგოლ ორბელიანის საფლავზედ დასა-
დებად. ჭლამჭა თბილისს დაზარდა გვირგვინის გაკეთება იმ გა-
ცისათვის, რომელმაც—სხვა რომ არა იყოს-რა—ვინ იცის რამ-
დენი იმის მცხოვრებთაგან დაიფარა თავის მკურდის მტრის
ტყვიისათვის მიშუერთო იქნება თბილისის ჩვევის სძოლსანთა
გვარების ჩამოთვლად აგვისხნას ეს უცნაური ამბავი?

- ი. ლ — ქეს. გულივერის მოგზაურობა იბეჭდებოდა «კრებულში» და აღარ გვასსოვს სრულად დაიბეჭდა, თუ არა. იქნება თქვენგან გადმოთარგმნილი თავები იქაც იყოს დაბეჭდილი და ტუეილი ვაჟია გაგეწიოთ. მაინცა ჭ მაინც ნაწილ-ნაწილად თარგმანის ბეჭდვა ჩვენ არ შეგვიძლიან, თუ ხელში სრული თხსულების თარგმანი არ გვექნება.
- ა. მ — შეილს. თქვენი ლექსი, უკაცრად კი სუ ვიქნებით, ხალხურს არა ჭგავს და არც ლიტერატურის ნაწარმოებად ჩაითვლება.
- ბ. მ. დ. ი — ქეს. თქვენგან შეკრებილ ლექსებშიც სოგიერთებს დაბეჭდავთ.
- ბ. ი. — ლს. თქვენი «ახალი დრო» არ იბეჭდება. თქვენი «სკედრი პოეტისა» შილღერიდამ არის გადმოთარგმნილი; ეს არ უნდა დაგემაღათ. ქართულად კვ ლექსი უფრო დასაბამად არის გადმოთარგმნილი და «ცისკარში» დაბეჭდილი.
- პ. ბ — სოეს. «დამწრად მღელღ» რა არის, ვერ გავიგეოთ. ლექსი სუსტია, ვერა ვბეჭდავთ.

ნ 383
1883

განცხადება.

ამა 1883 წელს ქურონოს «ივერიანულ» ხელის მო-
წერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასო მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომე-
ლიც იმუოიება გოლოვინის პროსპექტზედ (ბუღვარზე) ონანოვის სასლებში № 9 ღ აკრეოვე შაკერდოვის სააკენტოში.

მუთარსში, შილაძის მადანაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მას-
წავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ღ იუელი შემ-
დგვის ადრესით უნდა გამოგზავნონ.

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ქურონალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ,
მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტოროები ილ. ჰავეზაძე ღ ი. მაჩაბელი.